საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკატერინე ნარეშელაშვილი

პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე საქართველოში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა - საჯარო მმართველობა

შიფრი 1109

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

ივლისი, 2017 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ჩვენ, ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ეკატერინე ნარეშელაშვილს მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე საქართველოში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი: „---“ „----------“ 20-- წელი

ხელმძღვანელი: _____

ხელმძღვანელი: _____

რეცენზენტი: _____

რეცენზენტი: _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკატერინე ნარეშელაშვილი

პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე საქართველოში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

წარდგენილია დოქტორის აკადემიურ ხარისხის მოსაპოვებლად

„----------“ 2017 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების სადისერტაციო ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული დანიშნულებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.
ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.
ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტირებებისა, რომლებიც მოითხოვს მხოლოდ სპეციფიკურ მიმართულებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ავტორის ხელმოწერა _____

რეზიუმე

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. პროფესიული განათ-ლება, რომელიც საქართველოს განათლების ერთიანი ეროვნული სისტემის შემადგენელი ნაწილია და თავისი თანამედროვე ფორმითა და შინაარსით ფაქტობრივად ახალია ქართული რეალობისთვის, განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების საგანია. პროფესიული განათლება მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური სფეროა, რომლის გარეშეც შეუძლებელია ქვეყნის გაძლიერება და განვითარება. ამიტომ პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაცია დღეს განსაკუთრებულად აქტუალურია. მისი უპირველესი და უმთავრესი მიზანია სისტემის გადაყვანა ისეთ მდგომარეობაში, როცა ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომი იქნება ყველა მსურველისთვის და ასეთად დარჩება ყოველთვის, მუდმივადცვლადი ეკონომიკური მდგომა-რეობის მიუხედავად. სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ფართომასშტაბიანი, მიზნობრივი ინოვაციებისა და თვითონ სისტემის სტრუქტურის, ფორმებისა და ამ ფორმათა ურთიერთქმედების მექანიზმების ტრანსფორმაციის საშუალებათა კომპლექსის შემუშავება. პროფესიული განათლების მთავარი მიზანია შესაბამი დონისა და პროფილის, შიდა თუ საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუ-ნარიანი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ოპტიმიზაციის შედეგად მოსალოდნელია: მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლების პრინციპიდან გამომდინარე, გაიზარდოს ინტერესი პროფესიული განათლების მიმართ, ამაღლდეს მოსახლეობის კვალიფიკაცია, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, ხელი შეეწყოს კერძო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. უმუშევრობა მოსახლეობის პრობლემას წარმოადგენს და ის აღიარებულია ქვეყნის ყველაზე დიდ გამოწვევად. თუ საქართველოში დაინერგება სწორი პროფესიული სწავლების სისტემა, რომელიც სრულიად დააკმაყო-ფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უარყოფითი დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ თანდათან გაქრება. უკანასკნელ წლებში პროფესიული განათლების სფეროში გატარე-ბული რეფორმებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს გადასაწყვეტი პრობლემები და მნიშვნელოვანი ამოცანები. ისეთები, როგორიცაა: პროფესიული განათლების სტრუქტურული და ინსტიტუციური რესტრუქტურიზაცია, დაწესებულებათა ქსელის ოპტიმიზაცია, პროფე-სიულ განათლებაზე ხელმისაწვდომის გაზრდა, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება, მათი ტექნიკურ-მატერიალური ბაზის განახლება, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარება, პროფესიული განათლების სისტემის სამართლებრივ-ნორმატიული და ფინანსური უზრუნველყოფის საკით-ხების გადაჭრა, პროფესიულ განათლებაში დამსაქმებლებისა და სხვა

სოციალური პარტნიორების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა, მასწავლებელთა ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მიერ და სხვა. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მიზნისა და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი ამოცანების რეალიზაციის პროცესში გამოვლინდა, რომ პროფესიული განათლების სისტემა ჯერ-ჯერობით არასაკმარისად არის ორიენტირებული შრომის ბაზარზე, გარდა მოდულური და დუალური პროგრამებისა, რომლებიც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს თავსებადობას შრომის ბაზართან; საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, მით უმეტეს მაღალმთიანეთის პროფესიულ სასწავლებლებში პროფესიული აკადემიური კადრების ნაკლებობაა, ამ მხრივ საჭიროა პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება, არსებული საგნისადმი ცოდნის განახლება, ახალი ფორმის და სამუშაო მეთოდების ათვისება; სასწავლო დაწესებულებების ტექნიკურ-მატერიალური ბაზის განახლება და ინფრასტრუქტურის განვითარება; ახალგაზრდებში პროფე-სიული განათლებისადმი დამოკიდებულება არადამაკმაყოფილებელია, საჭიროა პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და მიმზიდ-ველობის გაზრდა; პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობაც, ასევე, ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ქვეყნის ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საჭიროებს მაღალი დონის პროფესიული კადრების მომზადებას, რისი მიღწევაც შესაძლებელია პროფესიული სასწავლებლების გადასვლით ინოვაციური განვითარების გზაზე, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეფექტური და მდგრადი ფუნქციონირების საშუალებას მისცემს.

Abstract

Development of education and science system is one of the main priorities of the Government of Georgia. Vocational education, which is a component part of the Georgian integrated national system of education and is actually new to its modern form and content, is a subject of special care and attention. Vocational education is a significant socio-economic field, without which it is impossible to strengthen and develop the country. Therefore, the optimization of professional education system is especially actual today. Its primary and most important goal is to transfer the system in a position where quality education will be available for all desirous, despite the constant changing economic situation. For the optimal functioning of the system, it is necessary to develop a complex of large-scale, targeted innovations and the means of transformation of mechanisms for the structure, forms and interaction of the system itself. The main goal of vocational education is to prepare appropriate level and profile competetive specialist for internal and international labor market according to the internationla standards. As a result of optimization, it is possible to increase the continuing interest in vocational education, increase the population qualification, create new jobs, promote the development of private small and medium business and increase their competitiveness. Unemployment is a problem for the population and it is recognized as the country's biggest challenge. If vocational education right system will be developed in Georgia, which will satisfy the requirements of the labor market, the negative attitude towards vocational education will gradually disappear. In recent years, the significant changes were made by reforms in vocational education field. However, there are still problems to be solved and important tasks, such as: restructuring of structural and institutional vocational education, optimization of institutions network, increase access to vocational education, strengthening existing vocational educational institutions, renovate their material-technical base, development of new vocational education institutions, solution of legal-normative and financial reliability issues of vocational education system, ensuring actual involvement of employers and other social partners in vocational education, teachers' financial support by the State and more. The realization process of dissertation work and related scientific-research objectives revealed, that the vocational education system is not yet sufficiently focused on the labor market, except modular and dual programs that more or less provide the conformity to the labor market; There is a lack of professional academic staff in almost all regions of Georgia, especially in mountanious regions, in this regard, it is necessary to increase teachers' qualifications, update knowledge to existed subject, use new forms and working methods.in order to improve the qualification of teachers, upgrade knowledge to the subject, assimilation of new forms and working methods; Renovate technical and material base of educational institutions and development of infrastructure; Attitude to vocational education in young people is unsatisfactory, thus it is necessary to promote popularization and attractiveness of vocational education; Access to vocational education is also one of the topical issues.

The country's current socio economic condition requires the preparation of high-level professional staff, that can be achieved through the introduction of vocational education on the path of innovative development, which will enable educational institutions to provide effective and sustainable functioning.

შინაარსი

სატიტულო გვერდი 1

ხელმოწერების გვერდი 2

საავტორო უფლების გვერდი 3

რეზიუმე (ქართულ ენაზე) 4

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 6

შინაარსი 7

დისერტაციაში გამოყენებული აბრევიატურები 9

შესავალი 10

ლიტერატურის მიმოხილვა 18

შედეგები და მათი განსჯა 32

თავი 1. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლები 32

1.1. პროფესიული განათლების როლი საზოგადოების განვითარებაში 37

1.2. პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციები 41

1.3. პროფესიული განათლების რეფორმების განხორციელების ისტორიული პირობები 49

1.4. პროფესიული განათლების განვითარების უცხოური გამოცდილება 51

თავი 2. პროფესიული განათლების სისტემის მართვა 63

2.1.მართვის ცნება და სპეციფიკა პროფესიული განათლების სისტემაში 63

2.2. პროფესიული განათლების მართვის ნორმატიულ-სამართლებრივი ასპექტები 69

2.3. პროფესიული განათლების სფეროს ბიუჯეტირება - სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ხელშემწყობი ფაქტორი 74

თავი 3. პროფესიული განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები 78

3.1. პროფესიული განათლების მოდერნიზაციის პრიორიტეტული მიმართულებები 91

3.1.1. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლება, როგორც პროფესიული განათლების მოქნილობისა და მიმზიდველობის გაზრდის ერთ-ერთი ფაქტორი 91

3.1.2. დუალური განათლება-სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება 97

თავი 4. პროფესიული განათლების მდგომარეობა თანამედროვე საქართველოში 100
4.1. მენტალური თავისებურებები საქართველოს პროფესიულ განათლებაში 101
4.2. პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში 109
4.3. პროფესიული განათლება საქართველოს რეგიონებში 116
თავი 5. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის გზები და საშუალებები 126
დასკვნა 129
გამოყენებული ლიტერატურა 133

დისერტაციაში გამოყენებული აბრევიატურები

ETF - ევროპის განათლების ფონდი

UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა

MCA - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი

GIZ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება

SDC - შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო

EQAVET- ევროპის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა

VET- პროფესიული განათლება

EQFM-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის ევროპული ფონდი

ESTS -კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა

ESQA-ევროპაში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობები

UK NARIC- ბრიტანეთის ნაციონალური აღიარების საინფორმაციო ცენტრი

CPI- სლოვენიაში სამომხმარებლო ფასების ინდექსი

INNOVE-ესტონეთის განვითარების ფონდი

ЛУУА- სატყო სკოლები

ШШ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

ССС - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

SCO - სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი (SCO)

ADC- ავსტრიის განვითარების სააგენტო

შესავალი

"საჭიროა ისეთის სკოლების დაარსება, რომელშიაც ასწავლიან ჩვენ შვილებს, როგორ და რანაირად შეიძლება მცირე შრომით დიდის ნაყოფის მიღება. ამისთანა სკოლებში ნასწავლები ისე ბარგად აღარ ეკიდებიან ოჯახს, როგორც სხვა სკოლებში სწავლადამთავრებული. მე უნივერსიტეტელი გახლავართ და ხვალ რომ სამსახურიდან გამოვიდე, მშიერი მოვკვდები, იმიტომ, რომ ჩინოვნიკობა მისწავლია და სხვა არაფერი. ჩემთვის რომ მიწის დამუშავება ესწავლებინათ, ჩინოვნიკადაც გამოვდგებოდი და უჩინოვნიკობოდაც მშიერი არ ვიქნებოდი… მე ამ აზრისა ვარ, რომ სამეურნეო სკოლას უფრო მეტის სარგებლის მოტანა შეუძლიან…"

/ილია ჭავჭავაძე, 1893/

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება და სრულყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ზრუნვასა და ყურადღებას ითხოვს პროფესიული განათლება, რომლის თანამედროვე სისტემა ფორმით და შინაარსით ძირეულად შინაარსით ძირეულად განსხვავდება საბჭოური პროფტექნიკური განათლების სისტემისგან.

დღეს პროფესიული განათლების ძირითად მიზნებს წარმოადგენს: მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პიროვნების პროფესიული განვითარება, სოციალური დაცვის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრებით შრომის ბაზრის უზრუნველყოფა, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გზით დასაქმებული სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და თვითდასაქმებაში დახმარების გზით ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობა.

ცოდნას დაფუძნებულ საზოგადოებაზე გადასვლის თანამედროვე პირობებში პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ერთიანი სტრატეგიის პრინციპებს ემყარება, რაც გულისხმობს განათლების ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე პროფესიული განვითარების, ცოდნის განახლებისა

და სრულყოფის შესაძლებლობას აძლევს.

ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული განათლების განვითარება, რამაც უნდა განაპირობოს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის დაძლევა, თანამედროვე პროფესიული განათლების მთავარი მიზანია.

პროფესიული განათლების სისტემის მართვის უპირველესი და უმთავრესი საზრუნავი მისი ისეთ მდგომარეობაში გადაყვანაა, როცა ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომი იქნება ყველა მსურველისათვის და ასეთად დარჩება ცვლადი ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განათლების სისტემის ცალკეულმა ელემენტებმა ისეთი თვისებები უნდა შეიძინოს, რომელთა შეხამება ერთიან სისტემას უფრო მაღალ დონეზე აიყვანს.

განათლების ყველა საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფისა და შედეგების გაუმჯობესების უმთავრესი წინაპირობა განათლების ადმინისტრატორების, პედაგოგებისა და აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარებაა. შრომითი მოტივაციისა და პროფესიული ზრდის წახალისებისთვის საჭიროა საქმიანობის შეფასებისა და კარიერის დაგეგმვის სამართლიანი და ეფექტური სისტემის შექმნა. ამ კუთხით კი მნიშვნელოვანია თავად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების განვითარება, პედაგოგთა გადამზადების სისტემის მუდმივი დახვეწის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობის გაზრდა, პედაგოგთა პროფესიული ასოციაციაციების გაძლიერება.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პიროვნების ისეთი რესურსები, როგორიცაა: ცოდნა, გამომგონებლობა, ფანტაზია, უნარები, კეთილი ნება. მათ გარეშე შეუძლებელი ხდება მყარი პროგრესის მიღწევა მშვიდობის დამყარებისა და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის საქმეში. აღნიშნული თვისებების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს განათლება. სწორედ განათლებაა საზოგადოებრივი და სახელმწიფო სისტემე-

ბის ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი ფაქტორი და, აქედან გამომდინარე, განათლების სისტემის მართვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მოძიებული ინფორმაციის ანალიზი. სადისერტაციო თემის სპეციფიკა დაეხმარება საჯარო მმართველობის სფეროს წარმომადგენლებს სწორად გააანალიზონ პროფესიული განათლების საჭიროება.

თემის აქტუალობას განსაზღვრავს პროფესიული განათლების მნიშვნელობა გარდამავალი პერიოდის საზოგადოების რეფორმირების პროცესში. თავად პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირება გამოწვეულია, ერთი მხრივ, საბაზრო პირობებთან ადაპტაციის აუცილებლობით, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის საჭიროებით.

თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირეულმა ცვლილებებმა განსაკუთრებული მოთხოვნები გააჩინა პროფესიული განათლების ხარისხსა და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონის მიმართ.

პროფესიული განათლების ხარისხი, რომელიც დღეს ეკონომიკური პოტენციალის ნაწილად მიიჩნევა, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია. აქედან გამომდინარე, პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდა, მართვის ოპტიმიზაციის გზით, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. მართვა განათლების რეფორმის ის კომპონენტია, რომლის არსებითი ცვლილებები განსაზღვრავს განსახორციელებელი გარდაქმნების შინაარსსა და ტემპს. ამგვარად, მართვის ოპტიმიზაციის პრობლემა განათლების სფეროს ძირითად პრობლემად იქცა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციონირების პროცესისა და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე სისტემის მდგომარეობისა და მართვის ოპტიმიზაციის ეფექტური მექანიზმების ძიება თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში.

კვლევის მიზანთან შესაბამისობაში დასახულია შემდეგი ამოცანები:

1. პროფესიული განათლების სისტემის სტრუქტურის, შინაარსის, სისტემაში არსებული მდგომარეობისა და განვითარებაში მიღწეული შედეგების გაცნობა/გაანალიზება;
2. პროფესიული განათლების სისტემის მართვის სპეციფიკის გაცნობა;
3. პროფესიული განათლების სისტემის სამართლებრივ-ნორმატიული და ფინანსური უზრუნველყოფის შეფასება;
4. საქართველოს მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების გაცნობა და პროფესიული განათლების განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა;
5. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე პროფესიული განათლების სისტემის ორიენტაციის დადგენის მიზნით შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პროფესიული განათლების დაწესებულებებში მოქმედი სასწავლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა;
6. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციისთვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ პროფესიული განათლების მიზანი. ეს არის სისტემა, რომელიც ამზადებს კვალიფიციურ კადრებს სხვადასხვა სფეროებში სამუშაოდ. სწავლების პროცესს ანხორციელებენ სხვადასხვა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებები. პროფესიული განათლება სისტემატიზირებული ცოდნის მიღებისა და პროფესიული შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენა/განვითარების საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ, კონკრეტული სპეციალობით სამუშაოს წარმატებით შესრულების შესაძლებლობას იძლევა.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა თემის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდოლოგია, კერძოდ: წყაროებზე მუშაობა (წყაროების მოძიება, დალაგება-დახარისხება, მონაცემების ამოწერა-დაგროვება), კვლევის შედეგების და მოძიებული ინფორმაციის ანალიზი, ასევე, ლოგიკური აზროვნების საფუძველზე დასკვნების გამოტანა.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სხვა მეთოდოლოგიაც, რომელმაც ხელი შეუწყო თემის სიღრმისეულ განსჯას, კერძოდ, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული კანონებისა და ნორმატიული აქტების, თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების ანალიზი და შეფასება.

სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის პროცესში ორიენტირებული ვიყავი ლოგიკური არგუმენტების მოძიებაზე, არგუმენტირებული წერილობითი მსჯელობის წარმართვაზე, კრიტიკული აზროვნების, კითხვისა და წერის უნარების სრულყოფაზე, მართლწერისა და ორთოგრაფია-პუნქტუაციის წესების დაცვაზე, სამეცნიერო დისკუსიისა და სამეცნიერო ნაშრომის საჯარო წარდგენის პროცესის სწორად წარმართვაზე.

სადისერტაციო ნაშრომის მომზადების სხვადასხვა ეტაპზე, გარკვეული კრიტერიუმებით შერჩეულ ორგანიზაციებსა და მიზნობრივ ჯგუფებში მოპოვებულ იქნა სტატისტიკური და თვისებრივი ხასიათის ინფორმაცია და ჩატარებულ იქნა მიღებული ინფორმაციის ანალიზი.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა.

კვლევის საგანი. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი.

კვლევის ჰიპოთეზა: საქართველოში, ისევე, როგორც უმრავლეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სერიოზული პრობლემებია მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, დასაქმების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს განათლების საკითხებს, განსაკუთრებით პროფესიულ განათლებას, რომელიც შრომის ბაზრის უკეთ დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, პრობლემები პროფესიული განათლების კუთხით არ იკლებს. ჩვენი კვლევის ძირითად არსს იმაში ვხედავთ, რომ ვეცადოთ დავამტკიცოთ, რომ შესაძლებელია ამ მიმართულებით გარდატეხის მიღწევა და სახელმწიფოს ძალისხმევა გადამწყვეტია ამ თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოს, ჩვენ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას, უნარი შესწევს ძირეულად გადაჭრას ეს პრობლემა როგორც პრაქტიკული, ასევე ფსიქოლოგიური, უფრო ზუსტად, მსოფლმ-ხედველობითი თვალსაზრისით. შესაძლებელია გამოკვლეულ და იდენტი-ფიცირებულ იქნეს ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის საკითხის გააზრებას და პრაქტიკული ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლებას; განზოგადდეს ისინი, დაჯგუფდეს საჭირო ალგორითმით და ამის საფუძველზე გამოითქვას პრაქტიკული რეკომენდაციები პრობლემის გადაჭრისათვის. მიგვაჩნია, რომ პრობლემა დაძლევადია და პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის შედეგად მივაღწევთ არა მარტო პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, არამედ კადრების მომზადების დონის ამაღლებას, რაც ახალგაზრდებს ხელს შეუწყობს სწორ პროფესიულ ორიენტაციაში და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაში.

დისერტაციის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირების პროცესში. ვფიქრობთ, პრაქტიკაში მათი დანერგვის შემთხვევაში ხელი შეეწყობა ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, პროფესიის პრესტიჟულობის ამაღლებას, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების დანერგვას, მასწავლებლების მოსალოდნელი დეფიციტის აღმოფხვრას. პრაქტიკული მნიშვნელობა დასაბუთებულია პრაქტიკული რეკომენდაციებით: კვლევაში წარმოდგენილი მასალის ანალიზი, კვლევის შედეგები, რეკომენდაციები და დასკვნები შესაძლოა წარმოდგენილ იქნას, როგორც პროფესიული განათლების რეფორმის განხილვის მცდელობა, შესაძლოა მცირე წვლილი შეიტანოს მცირე ბიზნესის განვითარების, წარმატებული უცხოური მოდელების დანერგვისა და პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობის გაძლიერების საქმეში.

დისერტაციის სამეცნიერო სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზნისა და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი ამოცანების რეალიზაციის პროცესში მიღებულია მეცნიერული სიახლის მქონე შედეგები:

1. პროფესიული განათლების სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის გაცნობის საფუძველზე დადგენილია, რომ პროფესიული განათლება ის სოციალური ინსტიტუტია, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრებით შრომის ბაზრის დაკმაყოფილებას; ხელს უწყობს პიროვნების თვითრეალიზაციასა და თვითგანვითარებას; სისტემაში არსებული მდგომარეობისა და განვითარებაში მიღწეული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით დადგენილია, რომ სისტემის მართვის ოპტიმიზაცია ზოგიერთ ასპექტში სრულყოფას მოითხოვს;
2. პროფესიული განათლების სისტემის მართვის სპეციფიკის გაცნობის საფუძველზე დადგენილია აღნიშნული სისტემის მართვის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებანი ახალი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირების პროცესში;
3. გამოკვლეულია პროფესიული განათლების სისტემის სამართლებრივ-ნორმატიული და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები და მოცემულია რეკომენდაციები მათი სრულყოფისათვის;
4. რამდენიმე პროფესიული სასწავლებლის მაგალითზე დადგენილია მოსახლეობის, უპირატესად სტუდენტების პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნები; გამოკვლეულია ახალგაზრდების აზრი პროფესიული განათლების პოპულარობასა და მიმზიდველობაზე; გამოვლენილია პროფესიული განათლების ხელისშემშლელი ფაქტორები;
5. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე პროფესიული განათლების სისტემის ორიენტაციის დადგენის მიზნით გამოკვლეულია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პროფესიული განათლების დაწესებულებებში მოქმედი სასწავლო პროგრამების შესაბამისობა;
6. პროფესიული განათლების სისტემის მართვის სრულყოფისა და ოპტიმიზაციისთვის შემუშავებულია პრაქტიკული რეკომენდაციები.

ძირითადი დებულებები, დასკვნები და რეკომენდაციები შესაძლოა გამოყენებული იქნას პროფესიული განათლების მართვის სისტემაში პრიორიტეტების განსაზღვრისას, განათლების კონცეფციის, მოდელებისა და რეკომენდაციების შემუშავებისას. სადისერტაციო მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლების პროცესში როგორც პროფესიული განათლების მართვის თეორიაში, ასევე, სასწავლო პროგრამების შედგენის დროს.

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერ-ზე ნაბეჭდ 149 გვერდს, რომელიც შედგება შესავლის, 5 თავის, 13 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომს თან ერთვის 10 დანართი.

ლიტერატურის მიმოხილვა

ქართველი თუ უცხოელი ავტორების მეცნიერულ კვლევებში დიდი ყურადღება ეთმობა განათლების პრობლემებს. კერძოდ, ისეთ კომპონენ-ტებს, როგორიცაა მართვა, განვითარება, განათლების მოდერნიზაცია. დისერტაციაზე მუშაობის პროცესში მოგვიწია სხვადასხვა მეცნიერული ნაშრომებისა და სტატისტიკური მასალის დამუშავება. ნაშრომში ფართოდ არის განხილული პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია, საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, შრომის ბაზრის კვლევები, აგრეთვე, სტატისტიკური მონაცემები და ცნობები სხვადასხვა ქვეყნის პროფესიული განათლების შესახებ.

კვლევის პროცესში მთავარ სახელმძღვანელოდ გამოყენებულია **„პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები)“** საქართველოს მთავრობა თბილისი, 2013. http://vet.ge/wp-content/uploads/2013/10/2013-2020strateg.pdf. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017. პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფო დოკუმენტია. მასში წარმოდგენილია მთავრობის ხედვა საქართველოს პროფესიული განათლების სამომავლო განვითარების შესახებ. ასევე, ასახულია დამსაქმებლების, პროფესიული განათლების ადგილობრივი და საერთაშირისო სპეციალისტების, პროფესიული კავშირების, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების, სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების ექსპერტული მოსაზრებები. მისი მთავარი მიზანია, ადამიანური რესურსების გაუმჯობესებითა და შრომის ბაზრის ამჟამინდელი/სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობა. სტრატეგია, ასევე, ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც ევროკავშირისა და მისი მეზობელი ქვეყნების განათლების და, მათ შორის, პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარაობს.

საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ თბილისი, 2010

https://matsne.gov.ge/ka/document/view/93088, უკანასკნელად იქნა გადამოწ-მებული 26.04.2017. აღნიშნულ კანონზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული „საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმირების სტრატეგიული და იურიდიული ჩარჩოს შემუშავების დახმარების პროექტის" ფარგლებში მომუშავე ექსპერტების, აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალისტების დასკვნები. კანონის მიზანია ეროვნულ დონეზე პროფესიული განათლების სამართლებრივი საფუძვლების ფორმირებითა და მათი შემდგომი განხორციელების აქტიური ხელშეწყობით საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარება და საერთაშორისო დონეზე მისი აღიარების უზრუნველყოფა.

„პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფცია" პროექტი UNDP თბილისი, 2013 http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/konferencia1.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტია, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების საჭირო მოთხოვნები და კრიტერიუმები. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების ახალი სისტემის კონცეფცია შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, „ზოგადი განათლების შესახებ", „უმაღლესი განათლების შესახებ" და „პროფესიული განათლების შესახებ" კანონების, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების"-ისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების. პროფესიული განათლების ძირითად გამოწვევად დასახელებულია პროფესიული განათლების პედაგოგიური კადრების მომზადება, რაც დღეს საკმაოდ პრობლემატურია. ამჟამად პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადება არ ხდება სისტემის შესაბამის დონეზე, ამიტომაც ვერ ხერხდება ახალი, კვალიფიციური კადრების მოზიდვა და განვითარება. აუცილებელია პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება კონკრეტული დარგების მიხედვით.

„საქართველოს მთავრობა ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2007-2010“ წლებისათვის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2 .7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.4.fc, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017. დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე, პროფესიული განათლების სამართლებრივი საფუძვლების ფორმირებისა და მათი შემდგომი განხორციელების აქტიური ხელშეწყობით, პროფესიული განათლების სისტემის განვითარება და საერთაშორისო დონეზე მისი აღიარების უზრუნველყოფა.

„Профессиональное образование и обучение в Грузии (2002) ETF“, Руководитель национальной обсерваторией Котэ Глонты – также принимали участие А. Эджибадзе, К. Нанобашвили, Л. Микаия, Э. Нацвлишвили, М. Имедашвили, А. Микеладзе Тбилиси, 2002. ETF ფონდის ახალი ინიციატივის ,,საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება'' - მიზანია ეროვნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარეების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლები და განათლების ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კვალიფიკაცია, პროგრამა და შეფასება, მასწავლებელთა განვითარება) შესაძლებლობათა გაძლიერება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უკეთესი შესაბამისობა შრომის ბაზრის არსებულ და მოსალოდნელ მოთხოვნებთან.

ამ კვლევაში გაანალიზებულია, როგორც პროფესიული სასწავლებლებისა და შრომის ბაზრის, ასევე, პროფესიული განათლების მართვის, დამსაქმებელთან თანამშრომლობის, დაფინანსებისა და ახალი სტანდარტების შექმნის საკითხები. განხილულია რეგიონალური მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული პროგრამები, პროფესიული განათლების თანამედროვე მიდგომები, პროფესიულ განათლებაში უწყვეტი განათლების

პრინციპის განხორციელების პირობები..

Троценко, С.А. „Правовое регулирование инвестиционной деятельности в сфере высшего профессионального образования“ Москва, 2011. ამ ნაშრომში ლაპარაკია პროფესიული განათლების აქტუალურობაზე, მისი რეფორმირების აუცილებლობაზე. პროფესიული განათლება მიზნად ისახავს პროფესიონალების გაზრდას, რაც დადებითად აისახება ეკონომიკის განვითარებაზე. განხილულია ანალიზი უცხოური კანონმდებლობის და პრაქტიკის თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს ძირითადი მიმართულებების განვითარებას. ავტორის მიერ გამოყენებულია მოსაზრებები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეების და მასწავლებლების ჩართვას სხვადასხვა კვლევებში პროფესიული განვითარების კუთხით. მისი აზრით, ეს ყვალაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციაა და ხელს შეუწყობს, როგორც ადგილობრივი, ასევე, უცხოელი ინვესტორების ჩართულობას პროფესიული განათლების განვითარებაში.

აბუაშვილი თ. „საქართველოს განათლების სისტემა და ევროკავშირის როლი“, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი თბილისი, 2014. მოცემულ სტატიაში განხილულია ევროკავშირის როლი განათლების პოლიტიკაში და ხაზგასმულია ქართულ საგანმანათლებო სისტემაში არსებული ხარვეზები. აღნიშნულია, ასევე, რომ ევროკავშირი ძალიან ბევრს მუშაობს სკოლის მოსწავლეების, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების ხელშეწყობისათვის, რათა მათ უკეთესი მომავალი და ხელმისაწვდომი განათლება და დასაქმება ჰქონდეთ. ამ თვალსაზრისით სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტრენინგებსა და სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობა. ავტორის აზრით საჭიროა, რომ ქართული უნივერსიტეტები უფრო მეტად იყვნენ მოტივირებულნი როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებთან თანამშრომლობაზე. დამსაქმებლებისთვისაც მიმზიდველი უნდა იყოს ის რომ, მათ შეუძლიათ თვითონ აღზარდონ საჭირო კვალიფიკაციის კადრი. აუცილებელია განათლების ხარისხის დონის ამაღლება, პედაგოგების გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება.

Муратов В.С. Возможности дуальной системы образования при подготовке товароведов-экспертов // Успехи современного естествознания 2008, № 7. აქ ლაპარაკია დუალურ განათლებაზე, მის ძირითად პრინციპებზე. დუალური განათლება საკმაოდ განვითრებულია გერმანიაში, ის საშულებას აძლევს საწარმოებს მონაწილეობა მიიღონ პროფესიული სტუდენტების სწავლებაში. დუალური განათლება ითვალისწინებს ყველა მხარის ინტერეს: კომპანიების, სტუდენტების და სახელმწიფოსი. VET პროგრამები დაფუძნებულია "სენდვიჩ" პრინციპზე. ყველა პროგრამა ამზადებს კვალიფიციურ მუშახელს შრომის ბაზრისთვის. ზოგიერთი პროგრამა ამზადებს სტუდენტებს მოკლე ციკლის უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად. უკვე 15 წელია, რაც გერმანია ახორციელებს დუალურ სწავლებას.

„2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების წლიური კონსოლიდირებული ანგარიში, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო თბილისი, 2015. ანგარიში მომზადდა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციის საფუძველზე, ასევე, დამატებით მოიცავს ექსპერტებისგან და პროგრამის ღონისძიებების განხორციელებაში ჩართულ ინსტიტუციებთან საკონსულტაციო შეხვედრების დროს შეგროვებულ ინფორმაციას. აღწერილია შესრულებული სამუშაოების ანგარიში და სხვადასხვა პროექტების დაფინანსებისა და ბიუჯეტირების საკითხები. განხილულია 2015 წლის რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები: არსებული კოლეჯების რეაბილიტაცია, ახალი რეგიონული პროფესიული სასწავლებლების აგება, აღჭურვა და პერსონალით უზრუნველყოფა. მართალია, ეს ყველაფერი დაბალი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ მთლიანობაში მისი შესრულება პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

ასათიანი ა. „პროფესიულ-ტექნიკური განათლება საქართველოში" საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური

ცენტრი თბილისი, 1990. განხილულია საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების ძირითადი ეტაპები დაწყებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ დროს უკვე იყო პროფესიული სასწავლებლები და სახელოსნო სკოლები სოფლის-მეურნეობის დარგში. ავტორის აზრით, ადამიანისთვის მნიშვნელოვანია პროფესიის არჩევის თავისუფლება, რომელიც პიროვნების შესაძლებლობებისა და ინტერესების რეალიზების აუცილებელი პირობაა. ნაშრომში ლაპარაკია მართვის ძველ მეთოდებზე, პოსტსაბჭოთა განათლებაზე, რომელიც ახლანდელი განათლების სისტემასთან შესადარებლად გამოვიყენეთ.

რუხაძე ნ. „ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი“ თბილისი 2016. მასში განხილულია ის პრინციპები და პირობები, რომლებიც აუცილებელია ინკლუზიური განათლების დანერგვისათვის. საუბარია ინკლუზიური განათლების მოქნილობაზე და მხარდაჭერაზე, რაც დაეხმარება შშმ/სსსმ პროფესიულ სტუდენტებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციაში. გზამკვლევი ორიენტირებულია ადამიანების დახმარებაზე, საკუთარი შესაძლებლობების გარკვევა/განვითარებაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე, სწავლაზე, დასაქმებაზე. მოყვანილია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, განსაზღვრულია აუცილებლად გასათვალისწინებელი პირობები, აღწერილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა და დამსაქმებლების როლი სასწავლო პროცესის სწორ წარმართვაში. გზამკლევმა საშუალება მოგვცა უკეთ გაგვეგო და განგვეხილა ყველა ის პრობლემა, რაც დღეს არსებობს ინკლუზიურ განათლებაში. დღესდღეობით, პროფესიული განათლება საქართველოში რეფორმირების პროცესშია და მისი განვითარების მიმართულება გულისხმობს ინკლუზიური განათლების ფილოსოფიას.

„პროფესიული განათლების სტატისტიკა“ 2013-2015, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2101&lang=geo. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017. აღნიშნულმა წყარომ საშუალება მოგვცა გაგვეანალიზებინა სტუდენთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით, დაგვედგინა პროფესიულ სასწავლებლების რაოდენობა, სადაც

ხორციელდება პროფესიული სწავლება და პროფესიული საგანმანათლებლო საჯარო და კერძო დაწესებულებების პერსონალის რაოდენობა. სტატისტიკური ანალიზის საშუალებით განვიხილეთ და დავინახეთ რეალური სურათი პროფესიული განათლების კუთხით.

„Профессиональное образование в Финляндии“- источник Статистический центр Финляндии, а также Отчеты системы финансирования муниципальных отделов образования и культуры Национальное управление образования, Helsinki, 2010. მასში აღწერილია ფინეთის პროფესიული განათლების სისტემა, რომელიც ერთ-ერთ წარმატებულ განათლების სისტემად არის აღიარებული. ავტორების აზრით, წარმატების საწინდარი მხოლოდ საუკეთესო სკოლების არსებობა კი არა, არამედ ყველა საფეხურის ყველა სტუდენტისთვის განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობაა. ქვეყანაში გამოიყენება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ინდიკატორები, რომელთა დახვეწა ხდება პერიოდულად. საინტერესოა შედეგების შემოწმების სისტემაც, რომელსაც ამოწმებს როგორც მასწავლებელი, ასევე, სასწავლებლის პარტნიორი ორგანიზაციების/ დამსაქმებლების წარმომადგენლებიც. გარდა ამისა, ფინეთის კანონმდებლობის მიხედვით ყველა სასწავლებელმა უნდა გაიაროს თვითშეფასება და, ასევე, მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ შეფასებაში. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ორივე გზა ერთნაირად არის დაფასებული (უმაღლესი და პროფესიული).

Кириленко Ю. „Основные тренды развития системы профессионального образования германии“ Томск, 2012. გერმანული პროფესიული განათლება ფართოდ არის აღიარებული, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ევროპაში. უცხოური წარმატებული პრაქტიკის გამოცდილებას იყენებს თითქმის ყველა და გადასცეს მათ ორიგინალური ფორმით. აქედან გამომდინარე, შესწავლა განვითარების ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები პროფესიული მომზადების სისტემის გერმანიაში, როგორც ჩანს სასწრაფო და გარკვეული იდენტიფიკაციისათვის საჭირო და შემდგომი ადაპტაციის პოზიტიური და ეფექტური გერმანული, რუსეთის

პრაქტიკაში.

გელიტაშვილი ნ. „ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში“ თბილისი, 2011. საყოველთაოდ აღიარებული აზრია, რომ პროფესიული და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა დახმარების საუკეთესო გზაა სოციალური პრობლემების აღმოსაფხვრელად. ავტორმა განიხილა 2006 წლის მიღებული პროფესიული მომზადების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა მუშა ხელზე მოთხოვნასა და მის პროფესიონალიზმს შორის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრას. აქვე აღნიშნულია სამუშაო ძალაზე დიდი მოთხოვნისა და პროფესიონალური კადრების ნაკლებობის შესახებ. მოყვანილია 1960 წელს ევროპის სოციალურ ფონდთან ერთად განხორციელებული პროგრამა, რომლის მიზანი იყო: განათლება და შემდგომი პროფესიული განსწავლა; უმუშევართა დასაქმება; განათლებისა და დასაქმების ახალი სტრუქტურების შექმნა; შრომის ბაზარზე შანსების გათანაბრება კაცებისა და ქალებისათვის. ნაჩვენებია, რომ შრომის ბაზრისა და სოციალური პოლიტიკის საერთო რეფორმის მთავარი არსი იმაშია, რომ დახმარების პროგრამები უნდა შეიქმნას არა მარტო გაჭირვებიდან გამოსაყვანად, არამედ დასაქმების ხელშესაწყობად.

მაისურაძე მ. „განათლება და კულტურა კახეთში ცარიზმის პერიოდში (1801-1917 წლებში)“ თელავი, 2014. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გააქტიურდა კულტურისა და განათლების ახალი კერების დაარსება. იმ პერიოდში სწავლების დონე საქართველოს სკოლებში არადამაკმაყოფი- ლებელი იყო. ეს უკავშირდებოდა სახელმღვანელოების სიმწირეს, მასწავლებელთა დაბალ კვალიფიკაციას, მათ მწირ მატერიალურ ანაზღაურებას და ზოგადად სკოლების განვითარებისთვის საჭირო ბაზის არარსებობას. დაიწყო სპეციალურად გლეხთა შვილებისათვის სკოლების გახსნა, მათთვის პროფესიული ჩვევების გამომუშავება, რაც უდავოდ დაეხმარებოდა დაბალ სოციალურ ფენებს ცხოვრების გაუმჯობესებასა და გაადვილებაში. კახელი ახალგაზრდები, რომელთაც მუშებად ქირაობდნენ, იღებდნენ როგორც პროფესიულ, ისე ზოგად განათლებას. 1893 წლიდან კიდევ უფრო გაფართოვდა საქმიანობა - გაიხსნა პროფესიული სკოლა - საჩაიე, რამაც

თელავის გარშემო შემოკრიბა ახალგაზრდობა.

„მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“ - სიტუაციური ანალიზი თბილისი, 2015. მასში საუბარია პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე, მისი ხელმისაწდომობის უზრუნველყოფაზე, რაც გულისხმობს ახალი სასწავლებლების გახსნას, სახელმწიფო-კერძო სისტემის პარტნიორობის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, განსაკუთრებით იქ, სადაც არის დევნილთა კონცენტრაცია. ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობასთან მათ ინტეგრაციას, რაც სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. კვლევაში მოცემულია კონკრეტული მიზნები პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის. კერძოდ: საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის, პროფესიული უნარების განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით, პროფესიული განათლების მიღებაში მხარდაჭერა; პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა; პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობის უზრუნველყოფა; განათლების სხვადასხვა საფეხურებს შორის მობილობის გაადვილება/მხარდაჭერა.

„საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ პროექტის განხილვა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თბილისი, 2017. ახალი კანონპროექტი სრულიად განსხვავებულ მიდგომებს გვთავაზობს. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს პროფესიული განათლების კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის გატარების გაადვილებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სოციალურ ინკლუზიას, ეკონომიკურ და პიროვნულ განვითარებას.

პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს წარმოადგენს: პროფესიული განათლების სისტემის მისადაგება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებთან; კვალიფიციურ კადრებზე შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება; საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება/თავსებადობა. კანონპროექტში

მოცემულია დეტალური ინფორმაცია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს, პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. განხილულია აღიარების წესი, რომელიც საშუალებას იძლევა პროფესიული კრედიტების გარკვეული რაოდენობის აღიარებას ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ეთნიკური უმცირესო-ბებისთვის გათვალისწინებულია ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა. ცხრაკლასდამთავრებულებს შეეძლებათ ზოგადი განათლების სრული საფეხურის გავლა, რის შედეგადაც მიიღებენ განათლების დამადასტურებელი ატესტატს. ახალი კანონის პროექტი უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით.

Олейникова О., Муравьева А., Аксенова Н., „Обеспечение Качества Профессионального Образования и Обучения в Европе“ Современное Состояние и Основные Тенденции Москва, 2011. პროფესიული განათლება და პროფესიული მომზადება გზაჯვარედინია, სადაც იკვეთება ეკონომიკის, განათლების, დასაქმების, სოციალური და ახალგაზრდული პოლიტიკის ინტერესები. ნაშრომში აღწერილია სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკები, მათი მიდგომები პროფესიული განათლების მიმართ.

Силла Э. Целевой фонд Innove „Как развивается профессиональное образование в Европе“ Лучшее практики профессионального образования. 2016 www. esqa.eu. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017. ეს პროექტი მიზნად ისახავდა პროფესიული განათლების დასახმარებლად გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლას და საუკეთესო პრაქტიკების ელექტრონული კატალოგის შედგენას. მონაწილეობა მიიღო ოთხმა სახელმწიფომ: პოლონეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, სლოვენიამ და ესტონეთმა. მთავარი სიახლე იყო - ელექტრონული კატალოგის შექმნა - რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკების გაცნობა. აღნიშნულ ელექტრონულ კატალოგში, სადაც მოყვანილია ხარისხის უზრუნველყოფის, პერსონალისა და მმართველობის

განვითარების მაგალითები, ჩართულები არიან სხვადასხვა სკოლების მოსწავლეებიც. ამ ინიციატივის დანერგვამ მოიტანა დიდი სარგებლობა: პირველ რიგში გაუმჯობესდა სწავლის დონე, მოსწავლეებს განუვითარდათ კონსულტაციებისა და ხელმძღვანელობის უნარი, რაც მომავალში სამუშაო ადგილებზე გამოადგებათ. შეფასების სისტემის შექმნა ხელს უწყობს ხარისხის შენარჩუნებას, დამსაქმებლების ჩართულობა კი - შრომის ბაზრის მოთხოვნათა გამოვლენას.

არეშვილი ა. „ანტისოციალური პოლიტიკა საქართველოში განათლება და შრომის ბაზარი“ ნაწილი II თბილისი, **2016.** დამსაქმებელი ორგანიზაციებისა და სამუშაო ძალის რაოდენობრივი და სექტორული განაწილების მაჩვენებელთა შედარებით ავტორმა შესაძლებლობა მოგვცა ნათლად დაგვენახა სოციალური პრობლემები. მიღებული მონაცემები გვიჩვენებს უმაღლესი, საშუალო და პროფესიული განათლების დასაქმებულთა რაოდენობას. საშუალო განათლების მოთხოვნით დღეს ორჯერ მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე პროფესიული განათლების მოთხოვნით, ხოლო პროფესიული და საშუალო განათლების მოთხოვნით დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა უტოლდება უმაღლესი განათლების მოთხოვნით დასაქმებულთა რაოდენობას. შრომის ბაზარზე ჭარბობს მოთხოვნა ისეთ სამუშაო ადგილებზე, სადაც დამსაქმებელი საშუალო ან პროფესიულ განათლებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვერც უმაღლესი განათლების მოთხოვნის ვაკანსიებზე და ვერც საშუალო განათლების, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების დონის მოთხოვნით არსებულ სამუშაო ადგილებზე, რადგან არ გააჩნიათ სპეციფიკური პროფესიული ცოდნა. შესაბამისად, უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალია რადგანაც ის უპირისპირდება ბაზრის მოთხოვნას და ვერ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს. პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა (სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, შრომის, ჯანდაცვის, განათლების, ინფრასტრუქტურის სამინისტროების, დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მერიების, ადგილობრივი თვითმმართველობების ერთობლივი მონაწილეობით). სწორედ ამიტომაა საჭირო თანამედროვე რეალობაში

სახელმწიფო პოლიტიკის ერთიანი გეგმის შემუშავება.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო „სიტუაციური ანალიზი და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების ანგარიში“ თბილისი, 2015 http://iswd.ge/uploads//Situational%20Analysis%20and%20Report%20on%20the%20QA%20Requirements%20of%20the%20Georgian%20TVET%20System_GEO.pdf. უკანასკ-ნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017. ნაშრომში განხილულია საქართვე-ლოში პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხი, რაც ერთ-ერთ პრიორიტეტად არის აღიარებული. პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია ნიშნავს საერთაშორისო პოლიტიკის და მექანიზ-მების შემუშავებას, როგორც სწავლის და კვლევის კუთხით, ასევე, საზოგადოებასთან მუშაობის კუთხითაც. სტუდენტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ცოდნის მიღების, ახალი უნარების განვითარებისა და უცხო ქვეყნის ადამიანებთან მუშაობისა და ურთიერ-თობის საშუალება ეძლევათ, რაც მათ საერთაშორისო ცნობიერებას აუმაღ-ლებს. მსოფლიოში ასეთი სახის პროექტები საკმაოდ წარმატებულად ხორციელდება. მოსწავლეები, მასწავლებლები თუ მკვლევარები ეცნობიან საზღვრებს მიღმა სხვა ქვეყნის კულტურას. ვფიქრობ, ასეთი სახის პროექტები საინტერესო იქნება საქართველოსთვისაც.

„საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ“ საქართველოს პარლამენტი ქუთაისი 2015, https://matsne. gov.ge/ka/document/view/2924386 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017. კანონი ითვალისწინებს მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას და სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრას, რამაც უნდა უზრუნველყოს იქაური მაცხოვრებლების კეთილდღეობა, ცხოვრების დონის ამაღლება და დასაქმება. საჯარო სკოლებისათვის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გამოყოფილია გაზრდილი ვაუჩერი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებ-ლისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილია დანამატი, შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35 პროცენტისა.

ახალი კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ ითვალისწინებს ეკონომიკურ სტიმულირებას ბიზნესისათვის, სოციალურ შეღავათებს მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისათვის და ამ რეგიონების განვითარებას. ამასთან ერთად, საჭიროა ინფრასტრუქტურის განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა და ახალგახრდების მოზიდვა. ვფიქრობ, ასეთი სახის შეღავათები გამოაცოცხლებს მაღალმთიან რეგიონებს, აიწევა სწავლის დონე და შემცირდება მიგრაცია.

ჩარკვიანი თ. სახელმწიფო დასაქმების პორტალი „Worknet“ უმუშევრობის პრობლემა თბილისი, 2016. https://idfi.ge/ge/worknet-employment უკანასკ-ნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017. შრომის ბაზრის საინფორმაციო პორტალი სრულებით განსხვავებულია აქამდე არსებული დასაქმების პროგრამებისგან, რადგან უპირატესობა ენიჭება არა რეგისტრაციას, არამედ, საქართველოს მასშტაბით შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზს. ახალი საინფორმაციო პორტალი წარმოადგენს შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესების ერთიან სტატისტიკურ-ანალიტიკურ სისტემას, რომელიც განვითარების, პროგნოზირებისა და ძირითადი ტენდენციების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

„სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვის კონცეფცია“ UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი 2016. კონცეფცია ასახავს პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული მხარეების ერთიანი ხედვას სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვაზე. მასში გათვალისწინებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული პრიორიტეტები; მოყვანილია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევები; შესწავლილია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების საერთაშორისო გამოცდილება და მიმდინარე ტენდენციები; განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: მარეგულირებელი ჩარჩო, დაფინანსება, მმართველობა და სოციალური პარტნიორობა, ხარისხის უზრუნველყოფა, პარტნიორობა პროფესიულ განათლების დაწესებულებებსა და კომპანიებს შორის.

რიჩარდ რ., გარნერი ფ., ტომასი ე., სომბი ჰ. „საქართველოში ინკლუზიური პროფესიული განათლების სისტემის განვითარების შეფასება“ 2013-2016 Hedmark University of Applied Sciences, 2016. პროექტის ფარგლებში შემუშავებული პრინციპები და მიდგომები მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების დანერგვისათვის. შემუშავებული რეკომენდაციები დაეხმარება კოლეჯებს სასწავლო პროცესის სწორად წარმართვაში. მოცემულია სხვადასხვა სახის კითხვარები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კოლეჯებში ასაკობრივი ჯგუფების განსაზღვრა. ნაჩვენებია, რომ ინკლუზიური განათლების პოპულარიზაციისთვის საჭიროა კომუნიკაცის გაფართოება და გაძლიერება პროფესიულ კოლეჯებსა და დამსაქმებლებს შორის.

შედეგები და მათი განსჯა

თავი 1. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლები

საქართველოში პროფესიულ განათლებას დიდი ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა მიმართულების სახელობო და სამეურნეო სკოლებს. შემდეგ უკვე მსხვილ საწარმოებთან ერთად შეიქმნა პირველი საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, რომელთა ბაზაზე დღესაც კი მოქმედებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროფესიული განათლება საქართველოს განათლების ერთიანი ეროვ-ნული სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ცოდნას დაფუძნებულ საზოგადოებაზე გადასვლის თანამედროვე პირობებში, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ერთიანი სტრატეგიის პრინციპებს ემყარება. უძველესი დროიდან ცნობილი მოაზროვნეები, მეცნიერები და ფილოსო-ფოსები მიიჩნევდნენ, რომ აზროვნება და გონება ყველაფრის საფუძველია.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთი უმ-ნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. ადამიანური რესურსე-ბის განვითარებისა და კვალიფიციური აკადემიური და ტექნიკური სამუშაო ძალის მიღების აუცილებელი პირობა კი ხარისხიანი განათლება და ხარისხიანი განათლების მიღების ხელმისაწვდომობაა. განათლების სისტემა ის პრიორიტეტული სფეროა, რომლის ეფექტიანობა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მო-ქალაქეთა აღზრდას, მეორე მხრივ, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები მომზადებას. საქართველოს მთავრობა ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ისახავს მოსახლეობის დასაქმებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომ-ზადება და განათლების სისტემაში კვლევითი პოტენციალის გაძლიერება აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

კითხვა - განათლება ახდენს თუ არა გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე? - მსჯელობის საგანია. ერთი კი ცხადია, განათლებაში ინვესტიციის ჩადება

გავლენას ახდენს ტექნოლოგიების განვითარებაზე, რაც თავისი მხრივ, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქტიულობის ზრდას. განათლებული მუშახელი უფრო ადვილად ითვისებს მოწინავე ტექნოლოგიებს და უფრო პროდუქტიულია. განათლებას შეუძლია გაზარდოს ინოვაციურობის პოტენციალი, შექმნას ახალი ცოდნა, ახალი ტექნოლოგიები, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. დასაქმების შესაძლებლობების ზრდა მტკიცე საფუძველს შექმნის საქართველოს მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებაზე ბევრად ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართულობა ინკლუზიურ ზრდაში [1].

სწორედ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული განათლების განვითარება განაპირობებს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას და შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის დაძლევას. საბოლოოდ, აღნიშნული ხედვის განხორციელება ხელს შეუწყობს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და დააჩქარებს ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების პროცესს.

თითოეული ადამიანისთვის უკეთესი შესაძლებლობების უზრუნველყოფა არის როგორც ეკონომიკური აუცილებლობა, ასევე, მთავრობის სოციალური ვალდებულება.

საქართველოს ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცე მოიცავს პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობის სუბიექტებსა და მისით დაინტერესებულ მხარეებს. ესენი არიან: მოსწავლეები, სტუდენტები და მსმენელები, პედაგოგ-ინსტრუქტორები და სხვადასხვა დონის ხელმძღვანელები, სხვადასხვა საფეხურის სასწავლებლები, დამსაქმებლები და მათი გაერთიანებები, პროფესიული კავშირები, პროფესიული ასოციაციები, დასაქმების სამსახურები, მოსახლეობის სოციალური დაცვის სამსახურები

და სხვ. უწყვეტი პროფესიული განათლების კონცეფციის ფარგლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროფესიული განათლების სასწავლო დაწესებულებათა ქსელის ოპტიმიზაცია [1].

საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ოფიციალურ მიმართვებსა და დადგენილებებში ხაზს უსვამს განათლების პირველხარისხოვან მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებისათვის.

პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების მიზანია, უწყვეტი სწავლების პრინციპებზე დაყრდნონით, ხელი შეუწყოს გარკვეული პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პიროვნებას ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენაში ან არსებული ცოდნის გაღრმავებაში.

საქართველოს მთავრობის რეფორმისტული დამოკიდებულება პროფესიული განათლებისადმი აისახა „საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციაში", სადაც დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორი იქნება პროფესიული განათლების სისტემა, რა პრინციპებსა და ფილოსოფიას დაეყრდნობა. შემოთავაზებული საკანონმდებლო ბაზა რეფორმის განხორციელების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. უმაღლესი და სასკოლო განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა ნათლად აჩვენა სახელმწიფოს პრინციპული დამოკიდებულება რეფორმისადმი, რაც პროფესიული განათლების სფეროშიც წარმატებული რეფორმების საწინდარია [2].

პროფესიული განათლების განვითარებისათვის საჭიროა შეიცვალოს სტერეოტიპი პროფესიული განათლების მიმართ, უფრო მეტად გაიზარდოს პროფესიული დაწესებულებების ხარისხი, განვითარდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, შრომის ორგანოებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. იმის მიუხედავად რომ აღნიშნული შესაძლებლობები ნაწილობრივ, უკვე შექმნილია 1998 წლის დეკემბერში მიღებული საქართველოს კანონით „დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ", მაინც რჩება ბევრი რამ მოსაწესრიგებელი. ოპტიმიზაცია განისაზღვრება, როგორც „არსებულისაგან მაქსიმალურად საუკეთესო ვარიანტის შერჩევის პროცესი; საუკეთესო ოპტიმალურ მდგომარეობაში სისტემის მოყვანის პროცესი" შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოპტიმიზაცია არის - პროცესი.

განათლების მართვის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა თვითონ მართვის პროცესის ოპტიმიზაციის აუცილებლობაშია. მართვის ოპტიმიზაცია ნიშნავს ღონისძიებების ისეთი სისტემის შექმნას, რომლის გამოყენებისას სტრუქტურა და მართვის პროცესი მაქსიმალურად კარგი შედეგების მომტანი ხდება.

პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაცია მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმვას (სამოტივაციო სტრატეგიის შემუშავება/განხორციელებას), სტრატეგიის რეალიზაციის (ეკონომიკურ, სამართლებრივ, ორგანიზაციულ, სოციალურ) მექანიზმებს და ოპტიმიზაციის შედეგებს (რესურს დაზოგვის ფონზე მაქსიმალურად დასაშვები შედეგების მიღწევას).

პედაგოგიური ლიტერატურაში ოპტიმიზაციის ცნება განისაზღვრება როგორც საქმიანობის სფერო, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა სწავლების მეთოდების თუ ვარიანტების იდენტიფიცირებას და შერჩევას, სასწავლო პროცესთან მისი შესაბამისობის დონის განსაზღვრას.

ოპტიმიზაციის პროცესში მოსალოდნელია ამაღლდეს მოსახლეობის კვალიფიკაცია, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლების პრინციპიდან გამომდინარე გაიზარდოს ინტერესი პროფესიული განათლების მიმართ, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, ხელი შეეწყოს კერძო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობას, პროფესიულ განათლებაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდას და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელების დანერგვას.

განათლების სისტემა უნდა დაეფუძნოს აღიარებულ თანამედროვე სტანდარტებს, უნდა შეიქმნას ეფექტური მართვის მექანიზმები. კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მოზიდვა საჭიროა როგორც ადმინისტრაციულ, ასევე აკადემიურ თანამდებობებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიული განათლების ხარისხს. შრომის ბაზრის აუცილებელი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური ადგილობრივი მუშახელი, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს უმუშევრობის დონის შემცირებაზე. ამ

პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია პროფესიული გადამზადების სისტემის დახვეწა. ახალი მიდგომა პროფესიული განათლების მიმართ ითვალისწინებს დამსაქმებელთან თანამშრომლობის გააქტიურებას, რომლის მიხედვითაც ისინი მონაწილეობენ სასწავლო სტანდარტების შემუშავებაში და კვალიფიკაციის მინიჭებაში.

პროფესიული განათლება მიჩნეულია არა მხოლოდ დასაქმების საშუალებად, არამედ საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად. დღენავდელი დღის პროფესიული განათლება საკმაოდ გამჭვირვალეა, ამიტომაც ეს სისტემა უზრუნველყოფს თითოეული ადამიანისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ახალი მიდგომა პროფესიული განათლების მიმართ ითვალისწინებს დამსაქმებელთან თანამშრომლობის გააქტიურებას, რომლის მიხედვითაც ისინი მონაწილეობენ სასწავლო სტანდარტების შემუშავებაში, კვალიფიკაციის მინიჭებაში, სასწავლო პროცესში, ქმნიან სასწავლო პრაქტიკას საწარმოებში, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის.

პროფესიული განათლების კონცეფციაში შემოთავაზებულია პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების, დადასტურებისა და მინიჭების პრინციპულად ახალი სისტემა და ამ მიზნით პროფესიული საბჭოების ფორმირების იდეა. ასეთი საბჭოების შემადგენლობაში შევლენ: პროფესიული საქმიანობის შესაბამისი სფეროს ექსპერტები, დამსაქმებლები, პროფესიული გაერთიანებების (ასოციაციების, კავშირების და ა.შ.) წარმომადგენლები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაკები და ა.შ.

პროფესიული საბჭოების საქმიანობის მიზანია:

- პროფესიული კვალიფიკაციების ეროვნული სისტემის შემუშავება;
- პროფესიული სტანდარტების შემუშავება;
- პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების, შეფასების დადასტურებისა და მინიჭების სისტემის ფორმირება;
- შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად პროფესიული სტანდარტების სრულყოფის მექანიზმის ჩამოყალიბება.

პროფესიული საბჭოების საქმიანობის კოორდინაციასა და სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

პროფესიულ განათლებაში უნდა იყოს მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფოს, დამსაქმებლებს, პროფესიულ კავშირებსა და საზოგადოებრივ სექტორს შორის. სწორედ დამსაქმებლებსა და სასწავლო ორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობის უქონლობა წარმოშობს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ წინააღმდეგობას საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებისას. სწორედ ამიტომაც კონცეფციაში გათვალისწინებულია:

- საზოგადოებრივ თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბება;
- სახელმწიფო და რეგიონალურ დონეებზე პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის მოდელის შექმნა;
- ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპების გათვალისწინებით სახელმწიფო და რეგიონალურ დონეებზე პროფესიულ განათლებაში სოციალური არ დაკვეთის ასახვის საკვანძო მექანიზმის შექმნა;
- პროფესიულ განათლებაში დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინების სისტემის ჩამოყალიბება [3].

ათეული წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიდგომა და პოლიტიკა პროფესიული განათლების მიმართ არ იყო თანმიმდევრული. ამის შედეგად აღნიშნული პერიოდის მანძილზე პროფესიული განათლების სისტემა ადეკვატურად ვერ პასუხობდა როგორც თითოეული კონკრეტული ეტაპის საჭიროებებს, ასევე, მომავალში მოსალოდნელ გამოწვევებს.

1.1. პროფესიული განათლების როლი საზოგადოების განვითარებაში

პროფესიული განათლება დიდ როლს თამაშობს საზოგადოების ჩამოყალიბება/განვითარებაში. ის მიმზიდველ და რეალურ საგანმანათლებლო ალტერნატივას წარმოადგენს საზოგადოების ფართო ფენებისთვის, მაგალითად: ახალგაზრდებისთვის ის სკოლის შემდგომი განათლების მიღების ხელმისაწვდომი საშუალებაა, ზრდასრულებისთვის - კარიერის

განვითარების მნიშვნელოვანი მექანიზმია, ხოლო მათთვის, ვისაც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიის შეცვლა სჭირდება, ახალ სპეციალობებში გადამზადების კარგი საშუალებაა. საზოგადოებამ უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა გაიზიაროს და მონაწილეობა მიიღოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში. ეს არის სისტემის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა. ამიტომაც მნიშვნელოვანია ამ პროცესში როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე, საზოგადოებისა და კერძო სექტორის აქტიურობა და ჩართულობა.

დღეს იცვლება პროფესიული განათლების პოლიტიკა, რომლის თანახმადაც საქართველოს პროფესიული განათლება ხდება შრომის ბაზარზე ორიენტირებული და ახალი საგანმანათლებლო სტანდარტების შესატყვისი სისტემა.

ბოლო წლებში მიღწეული მაკროეკონომიკური სტაბილურობა ხელს უწყობს ინვესტიციების ჩადებასა და ეკონომიკის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ზრდის მოთხოვნას კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე და გამოკვეთავს პროფესიული კადრების არსებობის საჭიროებას.

პროფესიული განათლების სისტემა, ერთი მხრივ, წარმოადგენს ადამიანის სოციალიზაციის და ჰარმონიულად განვითარებულ, შემოქმედებით პიროვნებად ჩამოყალიბების ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუტს, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოების საკადრო პოტენციალის წარმოებასა და განვითარებას.

პროფესია არა მხოლოდ დასაქმებისა და მატერიალური უზრუნველყოფის, არამედ პიროვნების შემოქმედებითი რეალიზაციის საშუალებაც არის. ადამიანს, რომელმაც თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სწორად აირჩია და შეიყვარა პროფესია, შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში.

პროფესიულ განათლებაზე მოწყვლადი ჯგუფების ხელმისაწვდომობის გამოსავლენად საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ პროფესიული განათლების მიმართ. მაგალითად, იძულებით გადაადგილებულ პირთა უმეტესობისთვის პრიორიტეტულია უმაღ-

ლესი განათლება, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩაბარების შემთხვევაში სურთ პროფესიული განათლების მიღება. ასეთები ძირითადად 25-40 წლის ადამიანები არიან. გალში მცხოვრები მოსახლეობისთვის უმაღლესი განათლება ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ოკუპირებულ ტერირორიაზე უჭირთ ქართული დიპლომით დასაქმება, პროფესიული განათლებით კი უფრო ადვილად შოულობენ სამსახურს.

რეპატრირებულ მესხებს, მათ შორის ქალებს, პროფესიული განათლების მიღების სურვილი აქვთ, მაგრამ მათ მრავალი ბარიერი ხვდებათ. ქალებს უფრო ისეთი პროფესიების დაუფლება სურთ, რომლითაც სახლში შესძლებენ მუშაობას, მაგალითად, კერვა. ზოგადად პროფესიის დაუფლების მსურველთა შორის ქალების წილი უფრო დიდია.

რაც შეეხება ეროვნული უმცირესობებს, პროფესიული განათლების მიღების მსურველები არიან ძირითადად 25-27 წლის ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელები, მაგრამ უმუშევრები არიან. მათ ისეთი პროფესიის დაუფლება სურთ, რითიც შემდგომში დასაქმდებიან. ქალების დიდ ნაწილსაც სურს პროფესიის შეძენა, განსაკუთრებით მათ, ვინც ქმარს გაცილებულია ან მარტოხელა დედაა. იმის გამო, რომ ვერ საქმდებიან საქართველოში, მათ უცხოეთში წასვლა უხდებათ. ეროვნულ უმცირესობებს განსაკუთრებით სჭირდებად პრაქტიკული ცოდნის მიღება, რადგანაც ვერ ახერხებენ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას. ვისაც აქვს შესაძლებლობა, ის მაინც უმაღლეს განათლებას იღებს [4].

სოციალურად დაუცველებს იმ შემთხვევაში სურთ პროფესიული განათლების მიღება, თუ სტაბილურად დასაქმდებიან, სხვა შემთხვევაში ურჩევნიათ სტაბილური სოციალური შემწეობის მიღება.

წლების განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათებლო საჭიროების მქონე პირების განათლება ხდებოდა ისეთი სისტემით, რომელიც მათ საჭირო საბაზისო განათლებით ვერ უზრუნველყოფდა. მაგალითად, სმენადაქვეითებული და ყრუ მოსწავლეების სწავლება სკოლაში არასწორი მეთოდოლოგიით, მეტყველების თერაპიით, მიმდინარეობდა. ეს მეთოდოლოგია ვერ აძლევდა მოსწავლეებს

ჯეროვან განათლებას. აქედან გამომდინარე, მათი უმრავლესობა სკოლას ამთავრებს იმ ცოდნით, რომელიც შემდგომი პროფესიული განათლების მიღების შესაძლებობას არ იძლევა.

ყველა მოწყვლადი ჯგუფისთვის მწვავე პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობა. დასაქმების შემთხვევაშიც ისინი უმეტესად დაბალ პროდუქტიულ სოფლის მეურნეობაში საქმდებიან და ძირითადად თვითდასაქმებულები არიან. დასაქმებაში მათ ხელს უშლის შესაბამისი ცოდნისა და უნარების ნაკლებობა, კომპეტენციების განვითარების შეზღუდული შესაძლებლობა, სწავლის ბარიერები ან მათდამი დამოკიდებულებები. მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროფესიული განათლება ხშირად ერთადერთ საგანმანათლებლო ალტერნატივად აღიქმება. პოზიტიურია ის, რომ მოწყვლადი ჯგუფების უმეტესობას სურს პროფესიული განათლების მიღება, თუმცა, პრობლემა მის ხელმისაწვდომობაშია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოწყვლადი ჯგუფებისთვის ხშირად უფრო პრესტიჟულია უმაღლესი განათლება. პროფესიული განათლების მიღებას კი შემდეგი ბარიერები აფერხებს: ყველა მოწყვლადი ჯგუფის პრობლემაა ფინანსების ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ სასწავლებელებში სწავლება უფასოა, სასწავლებლების გეოგრაფიული განაწილება არათანაბარია და ახალგაზრდები ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ სასწავლებლამდე მისვლას, რადგან გადაადგილება დამატებით ხარჯებს უკავშირდება; სასწავლებლების უმეტესობას არ აქვს საერთო საცხოვრებელი, ხოლო სტუდენტებს - სტიპენდიები. ოჯახებს არ შეუძლიათ კერძო პროფესიულ სასწავლებლებში საფასურის გადახდა, რაც კიდევ უფრო ამცირებს ხელმისაწდომობას პროფესიულ განათლებაზე.

საზოგადოებაში პროფესიულ განათლების პოპულარიზაციისთვის საჭიროა რეგულაციების და ბარიერების მოხსნა. მაგალითად, საბაზისო განათლების არმქონე სტუდენტებს/ ატესტატის არ მქონე სტუდენტებს/არ აქვთ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა; ასეთ სტუდენტებს შეუძლიათ მოკლევადიანი კურსების გავლა, თუმცა ხელი არ მიუწვდებათ დაწყებით პროფესიულ განათლებაზე და ვერც იღებენ პროფესიულ

კვალიფიკაციებს. ეს მათ შრომის ბაზარზე ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით. პროფესიულ განათლებაში გარკვეული პრობლემები ხელს უშლის სტუდენტების კარიერულ განვითარებას. ხშირ შემთხვევაში ოჯახის დამოკიდებულება და ნორმები წარმოადგენს ბარიერს ისეთი ჯგუფებისათვის, როგორიცაა ეროვნული უმცირესობები, რეპატრირებული მესხები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სპეციალური საგანმანათებლო საჭიროების მქონე პირები და ვეტერანები. მშობლებს არ მიაჩნიათ საჭიროდ შვილებისათვის განათლების მიღება, რადგან მათთვის განათლება არ არის მნიშვნელოვანი; ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას გოგონების შემთხვევაში. თუმცა, ქვეყანაში შესაძლებელია იმ პროფესიებში მომზადება, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერება ქალებს:

- სკოლის მასწავლებელი ან კერძო მასწავლებელი;
- ფარმაცევტი;
- ექიმი;
- ჟურნალისტი;
- ბანკის ოპერატორი;
- ხელოვანი (დიზაინერი, ტანსაცმლის დიზაინერი, მუსიკოსი);

ზემოთ აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად საქართველოში პროფესიული განათლების სისტემა საკმაოდ გამჭვირვალე ხდება, რამაც უახლოეს მომავალში უნდა უზრუნველყოს თითოეული ადამიანისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა მთელი სიცოცხლის განმავ-ლობაში. მაღალკვალიფიციური მუშები და საშუალო რგოლის სპეცია-ლისტები ხომ საზოგადოების სამუშაო ძალის ყველაზე დიდ სეგმენტს წარმოადგენენ.

1.2. პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციები

თანამედროვე პროფესიული განათლების განვითარება ორიენტირებულია პროფესიული განათლების პრინციპულად ახალ მიმართულებაზე, რომლის მიხედვით სწავლების პროცესში სტუდენტებს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეთ სახელმწიფოს, საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ზოგადი და სპეციალური პროფესიული კომპეტენციები. განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფომ შეძლო პროფესიული განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებების პოტენციალის ნაწილობრივი შენარჩუნება, მათი საქმიანობის მიმართულებათა და ფუნქციათა კორექტირება და ქვეყნის განვითარების ეტაპების მიხედვით ამ სისტემის რეფორმირების სტრატეგიის განსაზღვრა.

საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების 2013–2020 წლების სტრატეგია პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. მასში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის ხედვა საქართველოს პროფესიული განათლების სამომავლო განვითარების შესახებ. სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები, რომლებმაც ქვეყანაში სიღარიბის შემცირებას, თანასწორობას და ინკლუზიურობაზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი; ასევე ის რეფორმები, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკის დინამიურ ზრდასა და განვითარებას. სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ეროვნული და სექტორული პრიორიტეტები, განათლების, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების, ამჟამინდელი გამოწვევები და მათი გადაჭრის უცხოური ქვეყნების გამოცდილება; სტრატეგია ასევე ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც ევროკავშირისა და მისი სამეზობლო ქვეყნების განათლების, და მათ შორის, პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარაობს [1].

სტრატეგიის მიხედვით ყურადღება უნდა გამახვილდეს თანამედროვე საგანმანათლებლო პრიორიტეტულ მიმართულებებზე; პროფესიონალი კადრების მომზადებაზე; სასწავლო დაწესებულებებში, თავიანთი შესაძლებლობებიდან და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, პრიორიტეტული მიმართულებების და გლობალური ტენდენცი-

ების განვითარებაზე. ამისთვის საჭიროა განისაზღვროს: სპეციალისტების შესაძლებლობები და თანამედროვე ბაზრის რეალური მოთხოვნილებები; საგანმანათლებლო პროგრამების მაქსიმალური ცვალებადობის და ყოვლის-მომცველი მოქნილობის უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო დაწესებულე-ბებში პროფესიების დივერსიფიკაცია; ურთიერთთანამშრომლობა პროფე-სიული განათლების სხვადასხვა დონეებს შორის. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების ორიენტაციის, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობისა და მობილურობის ამაღ-ლების ამოცანებიდან გამომდინარე საქართველოს პროფესიული განათლების ძირითადი მახასიათებლები უნდა იყოს:

1. მიმზიდველობა, რაც გულისხმობს ყველა ასაკის ადამიანის დაინტე-რესებასა და მოზიდვას პროფესიული განათლების მისაღებად;

2. მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისობა შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ამის საფუძველზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში შრომითი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა;

3. სასწავლებლების ტიპების, მათი მომზადების მიმართულებებისა და სასწავლო გეგმების მრავალფეროვნება;

4. ხელმისაწვდომობა, რამაც უნდა შექმნას თითოეული ადამიანისათვის პროფესიული ზრდის შესაძლებლობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

5. ეფექტიანობა და მაღალი ხარისხი, რაც გულისხმობს პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციების შესრულებას, დასახული მიზნების მიღწევასა და მომზადებული სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე;

6. თანამედროვეობა, რაც გულისხმობს საუკეთესო (ეროვნული და საერთაშორისო) გამოცდილების გამოყენებას პროფესიული განათლების ახალი სისტემის შექმნისას.

უახლოეს პერიოდში მთავარი მიზანი არის სახელმწიფო საგანმანათ-ლებლო პოლიტიკის რეალიზაცია, რისი არსიც შეიძლება მივიდეს მთავარ მოთხოვნასთან - მოქალაქეების ეფექტური და კონკურენტუნარიანი

განათლების უზრუნველყოფა, რომელის გარეშეც შეუძლებელია ეფექტური ეკონომიკის და შესაბამისად ეფექტური სახელმწიფოს შენება.

- ✓ პროფესიული განათლების ძირითადი მიზანი კი არის: მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პიროვნების პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერის ჩამოყალიბებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;
- ✓ ეკონომიკის უზრუნველყოფა შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრებით;
- ✓ დასაქმებული სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით;
- ✓ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობა საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და თვითდასაქმების გზით [1].

საბაზრო ეკონომიკის პირობებში პიროვნული თვითდამკვიდრებისა და საქმიანობისათვის უმნიშვნელოვანესია პროფესიული განათლების შერწყმა სამეწარმეო განათლებასთან. პროფესიულმა სწავლებამ საკუთარ „მომხმარებელს“ უნდა შესთავაზოს არა მხოლოდ დაქირავებული შრომისათვის საჭირო პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, არამედ მისცეს მას საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობაც. ფაქტობრივად, ეს არის ახალი მიმართულება პროფესიულ განათლებაში, რომლის საფუძველია განათლებასა და ბიზნესს შორის საქმიანი პარტნიორობის ჩამოყალიბება, სამეწარმეო კულტურის დანერგვა სასწავლო დაწესებულების როგორც სამრეწველო, ისე პედაგოგიურ საქმიანობაში.

ახალგაზრდებში საჭიროა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის და მიმზიდველობის გაზრდა, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მათ ფინანსურ უზრუნველყოფას. ევროპის, მით უმეტეს სკანდინავიის ქვეყნებს გამოცდილებიდან ჩანს, რომ მათ მოახერხეს და შეინარჩუნეს თავიანთი მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმები, ისე რომ არ შეუქმნეს საფრთხე ეკონომიკურ განვითარებას. წარმატების საწინდარი ის არის, რომ ამ

ქვეყნებში სახელმწიფო მუდმივად აკონტროლებს ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს, მუშებს სთავაზობს გადამზადების ფართომასშტაბიან პროგრამებს და ხელმისაწვდომ როგორც უმაღლეს განათლებას, ასევე, პროფესიულ განათლებასაც. სახელმწიფო მუდმივად გადის კონსულტაციებს კერძო კომპანიებთან მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის დასაძლევად.

ჩვენ ქვეყანაშიც კერძო სექტორის აქტიურმა ჩართულობამ პროფესიული განათლების სისტემის განვითარების პროცესში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოთხოვნადი პროფესიების პროგრამულ დახვეწა/განვითარებას და სწავლების პროცესში თანამედროვე მიდგომების დანერგვას. სახელმწიფო კოლეჯებში ამოქმედდა უახლესი ტექნოლოგიური ლაბორატორიები და სასწავლო სახელოსნოები. მოსახლეობას და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს კი, საშუალება აქვს მიიღოს უფასო განათლება, დაეუფლოს პროფესიას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - დასაქმდეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპის ტრენინგის ფონდთან (ETF) ახალი ინიციატივის ,,საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება“, რომლის მიზანია ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/შექმნა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს ხარისხის ამაღლებას და მიახლოებას სამუშაო ბაზრის არსებულ და მოსალოდნელ მოთხოვნებს.

პროფესიული განათლებაში აქტიურად არის ჩართული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც მონაწილეობას იღებს მენეჯმენტის გაუმჯობესებაში პროფესიულ კოლეჯებში, ხარისხის უზრუნველყოფაში, კვალიფიკაციათა სისტემის, კურიკულუმის განვითარებაში, პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში.

მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განხორციელდა აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტების ვიზიტები. ექსპერტების ძირითადად მიზანს წარმოადგენდა მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

პროფესიული განათლების სისტემის რეფორმის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით, არსებულ პროექტს: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლებისა და გადამზადების საკონსულტაციო მომსახურების სისტემის მოდერნიზაცია“, რომელიც მუშაობს როგორც ადამიანური რესურსების, ისე სასწავლო მასალებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ევროპის განათლების ფონდის (ETF) მხრიდან ეძლევა შესაძლებლობა იყოს ამ პროცესების მონაწილე, გაუზიაროს ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პროგრესი, გაეცნოს სხვა ქვეყნების გამოცდილებას და მიზანმიმართული რეფორმების მეშვეობით ყოველწლიურად გააუმჯობესოს შედეგები პროფესიული განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების კუთხით [5].

პროფესიული განათლების სისტემატიზაციისა და პოპულარიზაციისათვის ევროპის მასშტაბით შემუშავდა ერთიანი ჩარჩო კოპენჰაგენის დეკლარაციის სახელწოდებით. კოპენჰაგენის პროცესში უკვე მონაწილეობს 33 ქვეყანა. ეს პროცესი წარმოადგენს ევროპის ქვეყნების თანამშრომლობას პროფესიული განათლებისა და ტრენინგების კუთხით, რათა მოხდეს პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და გაუმჯობესდეს არსებული ხარისხი. კოპენჰაგენის პროცესზე დაყრდნობით შედგა კოპენჰაგენის დეკლარაცია, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ ზუსტდება და წარმოადგენს პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ერთიან ევროპულ ჩარჩოს, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული მართვის მექანიზმები ხარისხის უზრუნველსაყოფად.

პროცესის მიზანია ევროპის მასშტაბით ერთიანი სისტემის შექმნა, რაც გააადვილებს ამ კუთხით ქვეყნებს შორის თანამშრომლობას. კოპენჰაგენის

დეკლარაცია აყალიბებს ევროკავშირის მასშტაბით ნორმებს, ხოლო თითოეულ წევრ-სახელმწიფოს შესაბამისობაში მოჰყავს არსებული რეგულაციები ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემასთან, რომელიც სტანდარტიზებულია ყველა სასწავლებლისთვის. კოპენჰაგენის დეკლარაციის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტი (EQAVET), რომელიც არეგულირებს პროფესიული განათლების მართვის საკითხებს, როგორც ქვეყანაში არსებული სისტემისთვის, ასევე კონკრეტული პროფესიული სასწავლებლებისათვის. სისტემა 4 საფეხურიანია, რომელიც მოიცავს მიზნის დასახვას, დაგეგმვას, განხორციელებას და შეფასებას. ასევე, განსაზღვრულია შეფასების ინდიკატორები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული ქვეყნის დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ხარისხი. ეს ინდიკატორებია:

- შიდა კონტროლის/ანგარიშგების სისტემის დანერგვა, მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ბაზრის მოთხოვნის განსაზღვრა;
- კურიკულუმებისა და კრედიტების გამართული სისტემა;
- მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება;
- კერძო სექტორთან თანამშრომლობა და მჭიდრო კოორდინაცია.

კოპენჰაგენის პროცესში მონაწილეობს მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, საქართველო არ არის ამ პროცესის წევრი, თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შესაბამისად პროფესიული განათლების მართვაზე პასუხისმგებელი სსიპ-ები: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ორიენტირებულნი არიან დაუახლოვონ თავიანთი საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი თავის ერთ-ერთ მიზნად ასახელებს განხორციელებული რეფორმის კოპენჰაგენის დეკლარაციასთან და ევროპის სივრცესთან დაახლოებას [6].

მიუხედავად აღნიშნულისა, პროფესიული სწავლების სისტემაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი, რაც მრავალი გარემო-

ებით არის განპირობებული. ერთ-ერთი ასეთი გარემოებაა ის, რომ, პროფესიული განათლების სისტემაში არასაკმარისად არის განვითარებული სოციალური პარტნიორობა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა. პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაციის და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობისთვის საჭიროა სოციალური პარტნიორების ჩართვა პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესებში, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. საჯარო და კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ხელს შეუწყობს რესურსების მობილიზებას და პროფესიული განათლების ხარისხისა და შესაბამისობის გაუმჯობესებას. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით მნიშვნელოვანია სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების (დევნილები, მსჯავრდებულები, ყოფილი პატიმრები, სოციალურად დაუცველები, ეთნიკური უმცირესობები, შშმპ და სხვ.) ჩართვა პროფესიული განათლების სისტემაში. 2014 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სასჯელაღსრულებებისა და პრობაციის სამინისტრომ ახალი მემორანდუმი გააფორმეს. მემორანდუმის მიზანია ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია, მათი ოჯახის წევრებისა და მსჯავრდებული არასრულწლოვნებისათვის პროფესიული მომზადების პროგრამის ხელმისაწვდომობა.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც მსჯავრდებულები, საპატიმრო მსჯავრის მოხდის ნაცვლად საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოში ჩაებმებიან. სამინისტროს განმარტებით, ცვლილებები იმ მსჯავრდებულებზეა ორიენტირებული, რომელთაც არ ჩაუდენიათ მძიმე დანაშაული, არ აქვთ ჯარიმის გადახდის შესაძლებლობა და არ წარმოადგენენ საზოგადოებისთვის საფრთხეს. ეს საქმიანობა შემდგომში უფრო გაფართოვდება და დაიხვეწება.

პროფესიული განათლება განათლების ერთიანი სისტემის ნაწილია და არა განცალკევებული სფერო, ამიტომაც საშუალოვადიან პერსპექტივაში

უნდა განხორციელდეს პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების კომპონენტის დანერგვა, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს პროფესიული განათლების დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძოს განათლების შემდგომ საფეხურზე. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის ჩამოყალიბება შესაძლებელს გახდის პროფესიულ განათლებაში მიღებული ცოდნის აღიარებას უმაღლესი განათლების საფეხურზე.

1.3. პროფესიული განათლების რეფორმების განხორციელების ისტორიული პირობები

პირველი პროფესიული სასწავლო დაწესებულებების გამოჩენა XVIII სა-უკუნის დასაწყისში დაკავშირებულია პეტრე პირველის რეფორმებთან სამ-ხედრო, ეკონომიკის, კულტურისა და განათლების სფეროში. ესენი იყო: სა-ნავიგაციო, საარტილერიო, სამედიცინო და საინჟინრო სკოლები. პირველი ტექნიკური სკოლა, სადაც მთავარი საგანი მათემატიკა იყო, გაიხსნა სუხარე-ვის კოშკში 1701 წლის 14 იანვარს. 1702 წელს იქ სწავლობდა 180 მოსწავლე, ხოლო 1703 წელს მათი რიცხვი 300-მდე გაიზარდა. პროფესიული განათ-ლების სისტემა რუსეთში ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 80-90 იან წლებში [7].

საქართველოში პროფტექნიკური განათლების წინსვლის საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: ი. ჭავჭავაძემ, ი.გოგებაშვილმა, ნ.ნიკოლაძემ და სხვებმა. მათი აზრით, სახელოსნო სასწავლებლის წარმატებისთვის აუცილებელი იყო ზოგადი განათლების მიღება და მშობლიური ენის სწავლა.

ილია ჭავჭავაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდების განათლებას. იგი ქართველი ხალხის ჩამორჩენისა და უბედურების მიზეზად უმეცრებასა და უცოდინარობას თვლიდა და ყველაფერს აკეთებდა მასთან საბრძოლველად. ამ ბრძოლაში ილიას მთავარ იარაღად სკოლა მიაჩნდა: „ყველამ იცის, რომ უმეცრებისა და უსწავლელობის წამალი, სხვათაშორის, სკოლაა, სხვათაშორის - მეთქი, სხვათაშორის კი არა, ერთი უპირველესი და მთავარი ღონისძიებაა სასწავლებელი“.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა ერთიანი საბჭოთა სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო და ახერხებდა სოციალისტური ეკონომიკისათვის კვალიფიციური კადრების მიწოდებას.

50 – იანი წლების ბოლოს საქართველოს პროფგანათლების სისტემაში გამოიკვეთა ერთი დადებითი ტენდენცია, კერძოთ სასწავლო პროცესში დაიწყო პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია. ამავე დროს სასწავლებლებმა დაიწყეს მასიურად მუშათა კადრების მომზადება, გაიზარდა სასწავლებლების რიცხვიც, განსაკუთრებით იმ სასწავლებლებისა, რომლებშიც ამზადებდნენ მუშა სპეციალისტებს საყოფაცხოვრებო მომსახურების, ენერგეტიკის, მშენებლობის სხვადასხვა დარგებისთვის [8].

მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდის ბოლო ათწლეულებში, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები არსებითად დამსჯელი დაწესებულებების როლს ასრულებდნენ ზოგად საგანმანათლებლო სკოლაში დაბალი აკადემიური მაჩვენებლების მქონე მოსწავლეებისათვის. საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლისადმი დაბალი მოთხოვნები არსებობდა. ამ ფაქტს ხშირად იყენებდნენ წარჩინების დიპლომისა თუ მედლის მისაღებად იქ გადასული მოსწავლეები, რომლებიც კონკურენციას ვერ უძლებდნენ ზოგად საგანმანათლებლო სკოლაში. გარდა ამისა, პროფესიული განათლების მქონე პირების სამუშაო ადგილის მოუწყობლობა, მძიმე სამუშაო პირობები გარკვეულ წილად აღნიშნული განათლების არა პრესტიჟულობას უწყობდა ხელს [7].

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდის დასაწყისში სახელმწიფომ პრიორიტეტულად არ მიიჩნია პროფესიული განათლება. სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, მოსამზადებელი პროფესიების სტრუქტურისა და სწავლების შინაარსის არ შეცვლამ, საბჭოთა დროის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განუახლებლობამ, დამანგრევლად იმოქმედა სწავლების პროცესსა და სწავლის ხარისხზე, რასაც მოჰყვა კიდეც ამ სასწავლებლების რეპუტაციის კიდევ უფრო დაკნინება.

პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე დღეს ყველა საუბრობს. ცნობილია, რომ ეკონომიკის გაუმჯობესებას ხელს უწყობს შრომის ბაზრის

უზრუნველყოფა კვალიფიციული სამუშაო ძალით. განათლების სისტემის არც ერთ საფეხურზე იმდენი ცვლილება არ განხორციელებულა, რამდენიც პროფესიულ განათლებაში, თუმცა მთავარი ამ ცვლილებების შედეგებია და არა თვით ცვლილებების რაოდენობა. არამარტო ევროპის ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება პროფესიული განათლების სისტემის გამართულობასა და ეკონომიკის განვითარების დონეს შორის.

ევროპაში პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. დასაქმებულთა 60%-ზე მეტი სწორედ პროფესიული განათლებითაა. იქ ბიზნესმენმა იცის, რომ ფულს კონკრეტული მიზნისათვის იხდის. სტუდენ-ტმაც იცის, რომ ამ განათლებით მას სამუშაო გარანტირებული აქვს. პრო-ფესიული განათლების ევროპული სისტემა ძალიან მოქნილია და ურთი-ერთობებიც საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნესს შორის რეალურად პარტნიორულია. ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიული განათლე-ბის სისტემა მთლიანად ბიზნესს აქვს გადაბარებული.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნაწილში ამ სისტემას შრომის და ეკონომიკის სამინისტროები კურირებენ. დღეს პროფესიული განათლება ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

1.4. პროფესიული განათლების განვითარების უცხოური გამოცდილება

მთელ მსოფლიოში კადრების მომზადება ნაყოფიერი დაბანდების სფეროდ, ხოლო პროფესიული განათლება აუცილობელი ეკონომიკური მიღწევების წყაროდ არის მიჩნეული, გარდა ამისა, ეკონომიკური უთანას-წორობის შერბილების ინსტრუმენტად და უმუშევრობასთან ბრძოლის საშუალებადაც განიხილება. ყველა ქვეყანაში იქმნება და ვითარდება ეროვ-ნული პროფესიული განათლების სისტემები. მიგვაჩნია, რომ სარგებლის მომტანია უცხოური გამოცდილების ანალიზი და იმ პრინციპების გაზი-არება, რომელიც სასარგებლო იქნება საქართველოსთვის, როგორც ამ თვალ-საზრისით ნაკლები გამოცდილების მქონე ქვეყნისთვის. ამდენად, უხცოური გამოცდილებიდან მოკლედ შევეხებით უმთავრესს.

ფინელმა პოლიტიკოსებმა გააცნობიერეს რა, რომ მცირე ბუნებრივი რესურსების პირობებში შეუძლებელი იყო მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგების მოპოვება, ჯერ კიდევ 1970 წლიდან მოყოლებული დაიწყეს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შენება. ამგვარად, საგანმანათლებლო სისტემა გახდა საზოგადოებრივი მისიის ნაწილი. მისია კი გულისხმობდა, არა ზოგიერთი მოსწავლის, არამედ ყველა მათგანის სწავლის დონის გასაუმჯობესებას. შედეგად, ფინელი სტუდენტები უკეთ მომზადებული და კონკურენტუნარიანი არიან საერთაშორისო ბაზარზე. უმთავრესი გაკვეთილი, რომელიც ფინელი კოლეგების საქმიანობიდან უნდა გამოვიტანოთ არის ის, რომ საუკეთესო სკოლების არსებობა საკმარისი არ არის, თუ კი მათზე თანაბარი ხელმისაწვდომობა არ აქვს სწავლების ყველა საფეხურის თითოეულ სტუდენტს.

ფინეთში უკვე მრავალი წელია, გამოიყენება პროფესიული განათ-ლების ხარისხის უზრუნველყოფის ინდიკატორები, რომელთა დახვეწა პერმანენტული პროცესია. ფინეთში გამოყენებადი ინდიკატორებია:

- ✓ ჩარიცხვის მაჩვენებელი;
- ✓ მომდევნო განათლების მაჩვენებელი;
- ✓ დასწრების მაჩვენებელი;
- ✓ წარმატებით დასრულების მაჩვენებელი;
- ✓ გამოყენების ხარისხი;
- ✓ მასწავლებლების კვალიფიკაცია;
- ✓ თანამშრომლების განვითარება;

გარდა ამ ინდიკატორებისა, ფინეთში სწავლის შედეგების შემოწ-მების სისტემაც ფუნქციონირებს. სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევას ამოწმებს მასწავლებელი და ასევე სასწავლებლის პარტნიორი ორგანიზაციების/ დამსაქმებლები წარმომადგენლები (საწარმოო პრაქტიკის, სასწავლო პრაქტიკის კომპონენტების მასწავლებლები). გარდა ამისა, ფინე-თის კანონმდებლობის მიხედვით ყველა სასწავლებელმა უნდა გაიაროს თვითშეფასება და ასევე მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ შეფასებაში. ეროვ-ნული შეფასება შეფასების სახელმწიფო გეგმის ნაწილია და გულისხმობს

სწავლის შედეგების, დარგთან დაკავშირებული საკითხებისა და საწარმოში სწავლების პროცესის, კომპეტენციებისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული სისტემის შეფასებას.[8]

ფინეთის წარმატების ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, ისიც არის, რომ მათთან ძალიან პოპულარულია წიგნები. ყველა სავაჭრო ცენტრსა თუ საოფისე შენობაში შეხვდებით წიგნის მაღაზიას, რომელიც ამავდროულად ბიბლიოთეკაა. სახელმწიფო თითოეულ ახალშობილს პაკეტს ჩუქნის, რომელშიც ილუსტრირებული წიგნებიც შედის.

ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნისა და განვითარების თვალსაზრისით ბევრი საერთოა ფინეთსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთის წარმატებები უფრო თვალსაჩინოა. ამერიკის შეერთებული შტატები ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის ამოცანების გადაწყვეტას პირდაპირ უკავშირებს მრეწველობის არსებული მოდელის ჩანაცვლებას მაღალ ტექნოლოგიური მრეწველობითა და მომსახურებით.

საგულისხმო და საინტერესოა ლატვიის და ლიტვის მაგალითი, სადაც პროფესიული განათლების სისტემაში მნიშვნელოვანია დამსაქმებლე-ბისა და დარგის წარმომადგენლების როლი. დასაქმების ბაზრის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

განათლების ხარისხის ეროვნული სამსახური ახდენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ლიცენზირებას და აკრედიტაციას. ამასთან ერთად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგამოცდო ცენტრების აკრედიტაციასაც (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო). სახელმწიფო დაფინანსების მიღება მხოლოდ აკრედიტაციის მქონე დაწესებულებებს შეუძლიათ. 2010 წლიდან ეს სამსახური შეუერთდა ევროპის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამას (EQAVET) და 2013 წლიდან ნომინირებულია მის კოორდინატორად ლატვიაში.

სამსახური აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ექსპერტებს: განათლების ხარისხის სამსახურის ექსპერტებს, დარგობრივი და სექტორული გაერთია-

ნებებისა და ასოციაციების წარმომადგენლებს და ასევე დამსაქმებლების წარმომადგენლებს, რომელიც წარადგინა ლატვიის დამსაქმებელთა პალატამ. ეს ექსპერტები ამოწმებენ პროგრამების შესაბამისობას სახელმწიფო სტანდარტებთან, პროფესიულ სტანდარტებთან, დარგის მოთხოვნებსა და საკანონმდებლო ბაზასთან. ეს ჯგუფი ასევე ადასტურებს, რომ პროგრამით გათვალისწინებულია ყველა იმ უნარებისა და ცოდნის მიღება, რაც დარგს სჭირდება [3].

პროფესიული განათლების წარმატებისთვის ასევე საჭიროა სახელმწიფოს მიერ სწორად შემუშავებული ფინანსური პოლიტიკა. არასწორად შემუშავებული დაფინანსების რეფორმა წარმატებას ვერ მიაღწევს, რადგანაც არამოტივირებული პედაგოგები, არასაკმარისად დაფინანსებული საგანმანათლებლო პროექტები საფრთხეს წინაშე დააყენებენ მთელ ამ პროცესს. დანია განეკუთვნება იმ განვითარებული ქვეყნების რიცხვს, სადაც პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემას ძლიერი ტრადიციები გააჩნია. მიუხედავად ამისა, ათწლეულების განმავლობაში სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე მიმდინარეობდა აღნიშნული სისტემის დახვეწა. ამჟამად დანიის პროფესიული განათლების სისტემა მოიცავს დაწყებით, უმაღლეს პროფესიულ და ზრდასრულთა მომზადების პროგრამებს.

ჩვეულებრივად, დაწყებით პროფესიულ პროგრამებზე მიღების ერთადერთ პირობას სავალდებულო საბაზო განათლება წარმოადგენს. დაწყებითი პროფესიული პროგრამები ხორციელდება პროფესიულ კოლეჯებში. პროფესიული კოლეჯები სექტორების მიხედვით გაყოფილია 4 ძირითად ჯგუფად: ტექნიკური კოლეჯი, ბიზნეს კოლეჯი, სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი, სოციალური და ჯანდაცვის კოლეჯი. გარდა ამისა, დაწყებითი პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია განხორციელდეს შრომის ბაზრის ტრენინგ - ცენტრში. ისინი ჩვეულებრივად უზრუნველყოფენ მოკლევადიან დამატებით კურსებს ვაჭრობის, ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სფეროში. დანიაში დაწყებითი

პროფესიული მომზადება მიმდინარეობს 85 პროგრამითა და 200-ზე მეტი სპეციალიზაციით.

VET პროგრამები დაფუძნებულია "სენდვიჩ" პრინციპზე. ყველა პროგრამა ამზადებს კვალიფიციურ მუშახელს შრომის ბაზრისათვის. ამათგან ზოგიერთი პროგრამა ამზადებს სტუდენტებს მოკლე ციკლის უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად.

დანიაში 1960 წლიდან ხორციელდება ზრდასრულთა პროფესიული ტრენინგ-პროგრამები. ზრდასრულთა პროგრამები ორიენტირებულია როგორც დაბალ კვალიფიციურ, ასევე მაღალ კვალიფიციური ზრდასრული ადამიანებზე. ზრდასრულთა პროგრამები ჩვეულებრივ პროფესიულ პროგრამებზე მოკლეა და ადაპტირებულია ინდივიდუალური სტუდენტის სამუშაო გამოცდილებასა და საგანმანათლებლო პროფილზე. ზრდასრულთა განათლებაშიც ასევე გამოიყენება "სენდვიჩის" ტიპის პროგრამები. ეს პროგრამები ძირითადად ხორციელდება შრომის ბაზრის ტრენინგ-ცენტრების მიერ. უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემა მოიცავს ასამდე დაწესებულებას რომლებიც პროფესიაზე ორიენტირებულ პროგრამებს სთავაზობენ სტუდენტებს. ესენია: ზემო აღნიშნული პროფესიული კოლეჯები მოკლევადიანი პროგრამებით ძირითადად 2 წლიანი (Academic Profession Degrees) ხარისხით. მოკლევადიანი პროგრამები დაფუძნებულია დაწყებით პროფესიულ განათლებასა და ტრენინგზე [9].

სწავლება ორგანიზებულია ისე, რომ ზოგადი საგნები (მათემატიკა, ფიზიკა, ენები და ა.შ.) მჭიდროდაა დაკავშირებული პროფესიულ საკითხებთან. კოლეჯების პროგრამები თავისი ხანგრძლივობით უტოლდება ბაკალავრიატის პროგრამებს. აღნიშნული პროგრამები 3 და 4 წლიანია. მაგალითად, 4 წლიან პროგრამას მიეკუთვნება საინჟინრო სპეციალობები და მასწავლებელთა მომზადება. 3 წლიანი პროგრამებია: სოციალური მუშაკის, ფიზიოთერაპიის, ჰოსპიტალის ლაბორანტის და ა.შ. უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე გამოიყენება საკრედიტო სისტემა.

ასევე, საინტერესოა ესტონეთის მაგალითი. 90-იანი წლების დასასრულს ესტონეთში დაიწყო პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სის-

ტემის რეფორმა. 1998 წელს ესტონეთის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა კონცეფცია, რომელმაც ჩამოაყალიბა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პოლიტიკისა და რეფორმის ძირითადი საკითხები. 2001 წელს კი მთავრობის მიერ დამტკიცდა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის რეფორმირების 2001-2004 წლების სამოქმედო გეგმა. სოციალური პარტნიორები ჩართულნი არიან რეფორმირების პროცესში პროფესიული საბჭოების მეშვეობით, რომელიც ჩამოყალიბდა სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან.

პროფესიული საბჭოების საქმიანობა რეგულირდება კანონმდებლობით. პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია როგორც სავალდებულო არასრული საშუალო, ასევე საშუალო განათლების მიღების შემდეგ. სასწავლო პროგრამები შესაბამისი ხანგრძლივობისაა: 3 წელი სავალდებულო განათლების ბაზაზე და 1-2,5 წელი საშუალო განათლების ბაზაზე. პროფესიული განათლების თითქმის ყველა დაწესებულება სთავაზობს მომხმარებლებს საღამოს და დისტანციური სწავლების კურსებს. პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ჩამოყალიბდა რეგიონული პროფესიული განათლების ცენტრები. ცენტრი უზრუნველყოფს დაწყებით პროფესიულ განათლებას, ზრდასრულთა განათლებას, სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანთა ტრენინგს და სხვა. ზრდასრულთა განათლება რეგულირდება ცალკე კანონით, რომლითაც გარანტირებულია სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში [9].

ესტონეთში საგანმანათლებლო სასწავლებლებისთვის არსებობს როგორც ნებაყოფლობითი (EQFM-ზე დაფუძნებული), ასევე სავალდებულო თვითშეფასების სისტემები. ასევე არსებობს გარე ინსპექცია და აუდიტის სისტემა. ზოგადად პროფესიული განათლების სისტემაში არსებობს განვითარების გეგმა (შედგება ინდიკატორებისგან და სამოქმედო გეგმისგან), რომელიც წარმოადგენს მონიტორინგისა და შეფასების ბაზას. შეფასება ხდება განვითარების გეგმის ციკლის ბოლო ეტაპზე პერიოდული კვლევისა და ანალიზის მეშვეობით.

ესტონეთში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის

პროცესში აქტიურად გამოიყენება ინდიკატორები, რომელიც შემუშავდა ფინეთის გამოცდილებისა და ლოკალური კონტექსტის გათვალისწინებით. სულ 12 ინდიკატორია და მათი მეშვეობით ხდება პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების ხარისხის შემოწმება და შემდგომში რეკომენდაციების შემუშავება მისი გაუმჯობესებისთვის. ესტონეთში მოქმედი ინდიკატორებია:

- სტუდენტებში საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების წილი;
- გარიცხული სტუდენტების წილი;
- სტუდენტების მომდევნო განათლება (შემდეგ დონეზე);
- კურსდამთავრებულების დასაქმება დამთავრებიდან 6 თვის მანძილზე;
- მასწავლებლების მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- მასწავლებლების პროფესიული განვითარება;
- მასწავლებლების ასაკობრივი ზღვარი;
- პერსონალის მიმოსვლა;
- სტუდენტებისა და მასწავლებლების თანაფარდობა;
- სტუდენტების მიერ კომპიუტერის გამოყენების პროცენტულობა;
- სტუდენტების საცხოვრებელი ადგილების რაოდენობა;
- სახელმწიფოს მიერ დაკვეთილი სასწავლო ადგილების დაკმაყოფილება.

2002 წლის უმაღლესი განათლების განახლებული სტანდარტების საფუძველზე ჩამოყალიბდა Applied Higher Education. იგი წარმოადგენს არა საუნივერსიტეტო უმაღლეს პროფესიულ განათლებას ესტონეთში. პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამები შემუშავებულია პროფესიული განათლების სწავლების საფუძველზე. პროფესიული უმაღლესი განათლების მიღება შესაძლებელია პროფესიული უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში (Rakendskngkool), ამასთან უნივერსიტეტებსაც შეუძლიათ პროფესიული პროგრამების განხორციელება. გამოყენებითი ხასიათის პროგრამების ხანგრძლივობა 3–4,5 წელია (120–180 ესტონური კრედიტი. 1 ესტონური კრე-

დიტი შეესაბამება 1,5 ESTS) და ექვივალენტურია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საბაკალავრო სწავლებისა. ესტონეთის წარმატებული გამოცდილება გააზიარა საქართველომ. ამ ორ ქვეყანას შორის ათწლიანი წარმატებული პარტნიორობამ პროფესიული განათლების კუთხით, განაპირობა ის რომ საქართველოსა და ესტონეთს შორის გაგრძელდება ერთობლივი პროექტები და სამომავლოდ კიდევ უფრო აქტიური ჩართულობა იქნება.

კიდევ ერთი საინტერესო პროექტი ევროპული ქვეყნების ბოლო დროინდელი პრაქტიკიდან - პროგრამა ERASMUS + „სტრატეგიული თანამშრომლობა“-ის მიერ პროფესიული განათლების ჩარჩოში 2014-2016 წლამდე რეალიზებულ იქნა პროექტი „ევროპაში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობები ESQA“ .

პროექტში მონაწილეობდნენ პარტნიორები ოთხი სახელმწიფოდან: პოლონეთი (თანამშრომლობის მიზანმიმართული ფონდი - წამყვანი პარტნიორი), დიდი ბრიტანეთი (UK NARIC), სლოვენია CPI და ესტონეთი (ფონდი INNOVE). გარდა INNOVE-ისა პროექტის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტები, ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის სააგენტოები, სატყეო სკოლები (ЛУУА), ტალინის სამშენებლო სკოლა, ტალინის მომსახურების სკოლა და რიაპინის მებაღეობის სკოლა.

პროექტი მიზნად ისახავდა პარტნიორებს შორის გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლას პროფესიული განათლების ხარისხის საკითხებზე და პროფესიული განათლების დასახმარებლად საუკეთესო პრაქტიკების ელექტრონული კატალოგის შედგენას. პროექტის ჩარჩოებში მომზადებულ იქნა შემეცნებითი მიმოხილვა სისტემების და მეთოდებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სწავლების ხარისხს ამ ოთხ სახელმწიფოში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო ვიზიტები დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, სლოვენიისა და ესტონეთის პროფესიულ სკოლებში. ვიზიტების დროს იღებდნენ საჭირო ინფორმაციას და ითვალისწინებდნენ საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილებას. ერთ-ერთი სიახლე იყო ელექტრონული კატალოგის შექმნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი

იყო სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკების გაცნობა. ამ ელექტრონულ კატალოგში მოყვანილი იყო ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის და მმართველობის განვითარების მაგალითები. პროცესში ჩართულები იყვნენ, აგრეთვე, სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები, რომლებიც გამოთქვამენ თავიანთ აზრს სკოლის მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. სტუდენ-ტებს შესაძლებლობა ჰქონდად მიეღოთ მონაწილეობა კოლეჯის შემოქმედებით ცხოვრებაში, მაგალითად, სასკოლო ანგარიშებში და სამუშაო გეგმებში, სწავლების დაგეგმარებაში, სკოლების ძალადობისგან დასაცავად მენტორების მომზადებაში, ასევე, ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას სახელმწიფო და ადგილობრივ წამო-წყებებში და ა.შ.

ამ სტრატეგიის დანერგვამ მოიტანა დიდი სარგებლობა. პირველ რიგში გაუმჯობესდა სწავლის დონე, მოსწავლეებს განუვითარდათ კონსულტი-რების და ხელმძღვანელობის უნარი, რომლებიც მომავალში სამსახურებში გამოადგებათ. ოქსფორდის საქალაქო კოლეჯი სარგებლობს დაკვირვების სისტემით მოსწავლეების წარმატებებზე, ამ სისტემის მიზანია ყოველი მოსწავლისთვის შეარჩიოს სპეციალობა, რომელიც გამოადგება მას სამომავ-ლო კარიერის დაგეგმვაში. ამ მეთოდიკის საშუალებით საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეების მონაწილეობა სასწავლო პროცესში და გაუმჯო-ბესდა სწავლის შედეგები.

ერთ-ერთ ასეთ კოლეჯში „მერეი“, სადაც სწავლობს დაახლოებით 10000 მოსწავლე 2010/2011 სასწავლო წლებში წარმატებით მოიხმარა “Mystery Shopping”[1] მეთოდი, რომლითაც აქამდე ძირითადად სარგებლობ-დნენ კომერციულ ორგანიზაციებში მომსახურების ხარისხის შესაფა-სებლად.

მიზანი იყო დამოუკიდებელი შეფასების უზრუნველყოფა იმ მოსწავ-ლეებისთვის, ვისაც ესაჭიროება დახმარება სწავლაში, დამატებითი მომსა-ხურება და ადმინისტრაციული ხელშეწყობა. შეფასებას აწარმოებდა ორგა-ნიზაცია, რომლის თანამშრომლებს ჰქონდა კონტაქტები განყოფილებებთან,

[1] Mystery Shopping-მარკეტინგული კვლევაა, რომელიც აფასებს მომსახურეობის ხარისხს.

რომლებიც აწარმოებდნენ სხვადასხვა დამატებით მომსახურებას ელექ-ტრონული ფოსტით, ტელეფონით და პირადი კონტაქტებით. მოთხოვნის შინაარსი წინასწარ თანხმდებოდა კოლეჯის ხელმძღვანელობასთან და ეყრდნობოდა კოლეჯის ვებ გვერდის ინფორმაციას. მეორე დღეს კოლეჯის თანამშრომლებს სთავაზობდნენ უკუ კავშირს "Mystery Shopping" კლიენ-ტების მომსახურების გამოცდილების შესახებ. ხელმძღვანელები და კოლეჯის თანამშრომლები სარგებლობდნენ უკუკავშირით მიღებული ინფორმაციით მომსახურების გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.

"Mystery Shopping"- ის ინიციატივამ, რომელმაც გააუმჯობესა მომსა-ხურების ხარისხი, მიიღო შოტლანდიის ინსპექციის ტიტული „წამყვანი და ნოვატორიული პრაქტიკა შემოქმედების სფეროში''. სწორედ ანგარიშების შინაარსის საფუძველზე ხდება კოლეჯის მიერ შემოქმედებითი გეგმის დამუშავება.

პოლონეთში საკვების მომზადების რეგიონალური ტრადიციები აერ-თიანებს სკოლას და საზოგადოებას. ქვეყნის პროფესიულ სკოლებში აღინიშნება სხვადასხვა წამოწყებები. მაგალითად, იოანე პავლე II - ის კულინარიული სკოლა უკვე მე-6 წელია ზედიზედ ატარებს მზარეულების შეჯიბრებებს „Польская кухня Мазовецкого воеводства", რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან მოვლენას პოლონეთის ყველა კულინარიული სკოლისთვის, აგრეთვე კვებისა და გასტრონომიული სექტორებისთვის. კონ-კურსზე იწვევენ სკოლადამთავრებულებს, დამსაქმებლებს, მზარეულებს, უფროს კულინარებს და კონდიტერებს, ასევე, სკოლის მთელ კოლექტივს. კონკურსში მონაწილეობენ, აგრეთვე, სხვა ქვეყნების გუნდებიც. პროექტი ტრადიციების პოპულარიზაციის კარგ საშუალებას იძლევა. ამავე დროს, მოსწავლეები იღებენ გამოცდილებას, უვითარდებათ მისწრაფება და შემოქ-მედებითი მიდგომა არჩეული პროფესიის მიმართ. ამასთან ერთად, უმჯობესდება პროფესიონიზმი და უკეთესად მყარდება თანამშრომლობა დამსაქმებელთან.

ვარშავის ფოტოტექნიკური სასწავლო დაწესებულების კომპლექსი „zespot szkot Fototechnicznych" 2012-2013 წლიდან იყენებს პროგრამას

„ოცნება ვარშავაზე“. პროგრამის ჩარჩოებში მოსწავლეები სტუმრობენ ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებებს, მაგალითად: სამეფო სასახლეს, კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრს, ვარშავის მუზეუმს, გერმანიის საელჩოს და სხვა. იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა პროექტებში, ფოტოგამოფენებში, კონკურსებში, სამხატვრო ღონისძიებებში, კონცერტებში და თეატრალურ წარმოდგენებში. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები პრესტიჟულ ადგილებში და შეავსონ თავიანთი პირადი „პორტფოლიო“, ეს აძლევს მათ საშუალებას გახდნენ სპეციალისტები არა მარტო ფოტოგრაფიაში, არამედ გამოფენების მოწყობის სფეროშიც და უფრო თავდაჯერებულად იგრძნონ თავი პროფესიონალურ სამყაროში. პროგრამის მეშვეობით მოსწავლეებს განუვითარდა პროფესიონალური ცოდნა, კრეატიულობა და კულტურის დონე. პროექტის დახმარებით მოხდა სწავლის და სასწავლო მასალების მოდერნიზაცია, იქნა მიღებული მედია არხებთან თანამშრომლობის გამოცდილება, მოპოვებულ იქნა კომპეტენტური პარტნიორები პრესტიჟულ დაწესებულებებში სათანამშრომლოდ. ყოველივე ამან საგრძნობლად გაზარდა სასწავლო პროგრამების პოპულარიზაცია ვარშავის საგანმანათლებლო ბაზარზე.

სლოვენიაში სისტემური თვითშეფასება ეხმარება სკოლებს გახდნენ უკეთესნი. სასწავლო ცენტრი „ველენიე“ არის ერთ-ერთი უმსხვილესი ქვეყანაში. იქ სწავლობს 2642 მოსწავლე და მუშაობს 219 მასწავლებელი. ცენტრის შემადგენლობაშია ხუთი საშუალო სკოლა, ერთი უმაღლესი პროფესიული სკოლა, აგრეთვე დარგებსშორისი სასწავლო ცენტრი, სადაც ინიცირებულია თვითშეფასების ონლაინ-პროექტი. ერთობლივად შერჩეულია ონლაინ-თვითშეფასების სფერო, შედგენილია კითხვარი და შერჩეულია ონლაინ გარემო.

ონლაინ კითხვარი ეხება სწავლას და სწავლის პროცესს. კითხვებზე პასუხობენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლებიც. შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლას საშუალება ეძლევა შეადაროს სხვადასხვა სასწავლო ჯგუფები, ან/და შეადაროს თავისი და სხვა სკოლის შედეგები, რათა დაგეგმოს გასაუმჯობესებელი მოქმედებები.

პირველად თვითშეფასებაში მონაწილეობა მიიღო სლოვენიის პროფესიონალური სკოლების 59% - მა. სასწავლო დაწესებულებების ხარისხის კომისიების ხელმძღვანელებმა შეადგინეს თვითშეფასების პროგრამა, რომელშიც ჩანდა, თუ როდის და რომელ სასწავლო ჯგუფებში და რომელ მასწავლებლებზე ჩატარდა გამოკითხვა. გამოკითხვის დასრულების შემდეგ ყველა სკოლა გაეცნო შედეგებს. მიღებული შედეგების ბაზაზე შესაძლებელი გახდა ცალკეული სასწავლო ჯგუფების, სკოლებისა და სასწავლო ცენტრების შედარება. თვითშეფასების აღნიშნული მეთოდი ეფექტურია, ვინაიდან ის ეყრდნობა ცალკეული მასწავლებლის პასუხის შედარებას კონკრეტული სასწავლო დაწესებულების, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში [10].

შეფასების სისტემის შექმნა ხელს უწყობს ხარისხის შენარჩუნებას. აუცილებელია დამსაქმებლების ჩართულობა, რათა გამოავლინო შრომის ბაზრის მოთხოვნა.

თავი 2. პროფესიული განათლების სისტემის მართვა

ქვეყნის გადასვლამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საბაზრო მოდელზე მოითხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სტრატეგიის ძირეული შეცვლა, მართვის ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც ახალ იმპულსს მისცემს განალების განვითარებას. განათლების სისტემაში სხვადასხვა ინივაციური მმართველობითი ტექნოლოგიების დანერგვის თეორიისა და პრაქტიკის ყოველმხრივი შესწავლა დღეს მეტად აქტუალური საკითხია. განათლების სფეროს, მათ შორის პროფესიული განათლების, მართვის შედეგი უნდა იყოს განათლების მაღალი ხარისხი და საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება მცოდნე, კულტურულ, პროფესიონალურად მომზადებულ კადრებზე და ქვეყნის მოქალაქეებზე.

2.1.მართვის ცნება და სპეციფიკა პროფესიული განათლების სისტემაში

მართვა ორგანიზაციული საქმიანობაა, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რათა მართვის ობიექტმა თავისი საქმიანობით მიაღწიოს დასახულ მიზნებს. ის არის დაგეგმვის, ორგანიზების, განკარგვის, კოორდინაციისა და კონტროლის პროცესი. მართვა იქ წარმოიშობა, სადაც რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ელემენტი (ადამიანები, ორგანიზაცია, სამუშაო) ერთნაირი საქმიანობით საერთო მიზანს ემსახურებიან. პროფესიული განათლების შემთხვევაში მართვის ობიექტს წარმოადგენს განათლების სისტემა, რომელიც იმართება როგორც მთლიანობაში, ისე შემადგენელი ელემენტების მიხედვით. ეს ელემენტებია:

- სხვადასხვა დონისა და მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები და სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები
- სხვადასხვა ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის, ტიპისა და სახეობის საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი
- განათლების მართვის ორგანოები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები.

მართვა, როგორც საქმიანობის ერთ-ერთი სახეობა, გამოხატულად მიზნობრივი ხასიათისაა და მოითხოვს კარგად ჩამოყალიბებული მიზნის არსებობას. პროფესიული განათლების მართვის მიზნებს წარმოადგენს:

- მდგომარეობის შეფასება - მართვის ობიექტის ადგილის დადგენა დასახული მიზნების მიღწევის გზაზე
- დაგეგმვა - მიზნის მიღწევასთან დასაახლოვებლად განსახორციელებელი გზებისა და საშუალებების განსაზღვრა
- ორგანიზაცია - დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო პირობების, სტრუქტურების, კოლექტივების, რესურსებისა და სხვათა შექმნა
- მოტივაცია - დაგეგმილი ღონისძიებების შემსრულებელი ადამიანებისთვის შრომის წამქეზებელი, შემაგულიანებელი მოტივების შექმნა
- შედეგების კონტროლი-შესრულებული სამუშაოს შედეგების შეფასება დასახული მიზნების მიღწევის თვალსაზრისით

პროფესიული განათლების სისტემის მართვის უპირველესი და უმთავრესი მიზანია მისი გადაყვანა ისეთ მდგომარეობაში, როცა ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომი იქნება ყველა მსურველისთვის და ასეთი დარჩება ყოველთვის, მიუხედავად ცვლადი ეკონომიკური მდგომარეობისა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განათლების სისტემის ცალკეულმა ელემენტებმა ისეთი თვისებები უნდა შეიძინოს, რომელთა შეხამება მთლიან სისტემას ახალ, უფრო მაღალ დონეზე აიყვანს.

პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი უნდა ეფუძნებოდეს მხარდაჭერისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობის პრინციპებს. განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხელს შეუწყობს ინსტიტუციების რესურსების მობილიზაციას.

განათლების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის განვითა-რება წარმოადგენს მნიშნველოვან კომპონენტს, რამდენადაც მას დაეფუძ-ნება ეფექტური მენეჯმენტის, გამჭვირვალე მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების დანერგვა.

პროფესიული განათლების სისტემაში ახალი საგანმანათლებლო

დაწესებულებების - სკოლების, კოლეჯების, პროფესიული სწავლების ცენ-ტრების და ა.შ წარმოქმნა აუცილებს ხდის ახალი მიდგომების შემუშავებას, არსებული ადამიანური რესურსების ორგანიზაციისა და მართვის კუთხით.

ბოლო პერიოდში სასწავლო დაწესებულებები უფრო დამოუკიდებ-ლები გახდნენ, კერძოდ დაინტერესებული დამსაქმებლისათვის კადრების გადამზადების, საკუთარი წარმოების განვითარების, დამატებითი დაფინან-სების მიღების, თანამშრომლების წახალისების, ახალი სპეციალობების დანერგვის და სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის კუთხით. თუმცა ზემოთ აღნიშნული ფაქტორები დღევანდელ პრაქტიკაში არ არის სრულად გათვალისწინებული.

ყურადღება გასამახვილებელია მართვის შინაარსობრივ სამიზნე მახა-სიათებლებზე. ყველაზე მთავარ ამოცანას წარმოადგენს: სტუდენტთა აღზრდა, ახალი სწავლების სტრუქტურის განვითარება და მისი ადაპტი-რება განვითარებად საბაზრო ეკონომიკაზე, საზოგადოებაში ახალი ფუნდა-მენტალური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში წარმოებისა და მომსახურების სფეროები ითხოვენ არა მხოლოდ განათლებულ ხალხს, არამედ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლია დასახონ ამოცანები, დაგეგმონ გადაწყვეტის მიდგომები და საჭირო რესურსები. ნათლად ჩანს, რომ საჭიროა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია გუნდური მუშაობა და ასევე გუნდური მუშაობის ორგანიზება, „ნოუ-ჰაუ-ს“ გენერირება.

კადრების მართვის ისტორია დაახლოებით მე-19 საუკუნის ბოლოს იწყება. „ ყველა ორგანიზაციის, სტრუქტურის სიძლიერი დამოკიდებულია ხალხზე“ - Adi Godrej [2]

ორგანიზაციული სტრუქტურების მართვის ოპტიმიზაცია მუშაობის ეფექტურობის ამაღლების განუყოფელი ნაწილია. ხელმძღვანელებმა უნდა აირჩიონ ისეთი სტრუქტურა, რომელიც პასუხობს ორგანიზაციის მიერ

[2] Adi Burjorji Godrej- (დაბ.3.04.1942) ინდოელი მწარმოებელი და ბიზნესმენი, Godrej Group-ხელმძღვანელი. 2015 წ. მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების 405-ე ადგილი დაიკავა და მისი ქონება შეადგენდა US$4. მილიარდს.

დასახულ მიზნებს და ამოცანებს, დროულად და ადეკვატურად რეაგირებს გარემოს ფაქტორებზე, მიზანმიმართულად ანაწილებს და კოორდინირებს თანამშრომელთა ძალისხმევას და ამაღლებს მათ კონკურენტუნარიანობას.

არასწორად შერჩეულმა კადრმა შესაძლებელია შეცდომების დაშვებით დიდი მატერიალური ზარალი მიაყენოს სტრუქტურას. სოციალური პარტნიორობა და გახსნილობა პროფესიულ განათლებაში ნიშნავს თანამონაწილეობით მიდგომას პროფესიულ განათლების მართვაში. ასეთი თანამონაწილეობითი მმართველობა, პირველ რიგში, იწვევს ინოვაციების გაზრდას. მეორე მხრივ, მონაწილეობით მართვაში საზოგადოების და დამსაქმებლების ჩართულობა ხელს უწყობს სასწავლო დაწესებულებას სასწავლო პროგრამის განხორციელებაში და ეხმარება პრობლემების გადაჭრაში.

აუცილებელია პროფესიული განათლების შინაარსისა და სტრუქტურის ისეთი მოდერნიზაცია, რომელიც შესაბამისობაში იქნება ინდუსტრიულ მოთხოვნებთან. ჯერ-ჯერობით პროფესიული განათლების სისტემა არასაკმარისად ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და მომავალ საჭიროებებზე. მისი განახლების ძირითადი ფაქტორები უკავშირდება ეკონომიკის, სოციალური სფეროების, მეცნიერების, ტექნიკის და ტექნოლოგიების განვითარებას. საჭიროა პროფესიული განათლების ოპტიმალური სისტემის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს საერთაშორისო ტენდენციებს და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების კუთხით.

პროფესიული განათლების მართვის შემადგენელი ნაწილებია: რეესტრის საინფორმაციო მართვის სისტემა, მონიტორინგის მართვის სისტემა, პედაგოგიური მართვის სისტემა, ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სისტემა. რეესტრის წარმოების მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების, მათი განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაცია.

პედაგოგიკის მართვაში საჭიროა გაძლიერდეს პედაგოგიური პროცესის კვლევის ტენდენცია.

განათლების სისტემაში ძირითადი მმართველი სუბიექტები არიან

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქალაქებისა და რაიონების განათლების სამმართველოები. პროფესიული სასწავლო დაწესებულება ერთ-ერთი მართვის ობიექტია, რომელსაც გააჩნია ისეთი ქვესისტემები, როგორიცაა: პედაგოგიური პროცესი, საწარმოო განათლების სისტემა, თეორიული სწავლების სისტემა, აღმზრდელობითი მუშაობის სისტემა და მეთოდური მუშაობის სისტემა.

პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის მენეჯერს წარმოადგენს პედაგოგი, რომელიც წარმოადგენს სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის მართვის სისტემის სუბიექტს. პროფესიული განათლების პედაგოგებისთვის სისტემატურად უნდა განხორციელდეს სასწავლო-პროგრამული დოკუმენტაციის ანალიზი, სასწავლო მასალის მეთოდური ანალიზი, თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეცადინეობების სისტემების დაგეგმვა, სასწავლო ინფორმაციის გადაცემის ფორმების მოდელირება და კონსტრუირება. თანამედროვე პედაგოგიკაში მართვის მეცნიერების პოზიციიდან ძლიერდება პედაგოგიური პროცესის კვლევის ტენდენცია. მეცნიერული მართვა რეალურია არა მხოლოდ ტექნიკასა და წარმოებაში, არამედ სოციალური და მათ შორის პედაგოგიური სისტემებით მართვაშიც.

ამჟამად აქტუალურია პროფესიული განათლების სისტემის პედაგოგიური კადრების გამდიდრება მენეჯმენტის თეორიის ცოდნის კუთხით, რომელიც წარმოადგენს პრინციპების, მეთოდების, საგანმანათლებლო პროცესების მართვის ორგანიზაციული ფორმებისა და ტექნოლოგიური საშუალებების კომპლექს. ის მიმართულია მისი ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლებაზე. მომავალი მასწავლებლის მიზანია არა მხოლოდ კონკრეტული საგნის ცოდნა, არამედ პროფესიონალურ-პიროვნული განვითარების/თვითგანვითარების ზრდა. თანამედროვე განათლებაში არ უნდა იყოს ისეთი პედაგოგი, რომელიც მხოლოდ სასწავლო ინსტრუქციებით მოქმედებს, საჭიროა პედაგოგი, რომელიც იქნება, როგორც სასწავლო პროცესის მომწყობი, ასევე მასწავლებელიც, რომელიც სწორად შეძლებს ბავშვის ყოველმხრივი განვითარების მართვას, დახმარებას და მხარდაჭერას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხის-

მგებელია ხარისხის გუნდი, რომელიც მოიცავს ყველა საჯარო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ხელმისაწვდომობა პროფესიულ განათლებაზე, ასევე, ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. პროფესიული განათლება პოზიტიურ გავლენას ახდეს ადამიანის პიროვნული განვითარების დონეზე, ქვეყნის ეკონომიკაზე, საწარმოს ფუნქციონირებაზე. ის ხელს უწყობს ადამიანს დასაქმებაში, კარიერულ ზრდაში, თვითშეფასების ჩამოყალიბებაში და მოტივაციის ამაღლებაში.

პროფესიული განათლება დადებით გავლენას ახდენს საწარმოების საქმიანობაზე, დასაქმების გაზრდაზე და ინოვაციების ხელშეწყობაზე, ასევე, ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ჩართულობას.

პროფესიული განათლების და სამუშაო სფეროს ურთიერთკავშირის ჩამოყალიბება გამორიცხულია კურსდამთავრებულთა დასაქმების ეფექტური სისტემის შექმნის გარეშე. აუცილებელია ყველა კურსდამთავრებულის სამუშაოს შერჩევის და ძებნის, ასევე სამუშაო ადგილის შექმნის და კერძო ბიზნესის დაწყების ფორმირება.

პროფესიული განათლების განვითარების მთავარ სტრატეგიულ მიმართულებებს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის გაძლიერება. აღსანიშნავია, ისიც რომ პრიორიტეტეს შორის რჩება: პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება, არსებული საგნისადმი ცოდნის განახლება, ახალი ფორმის და სამუშაო მეთოდების ათვისება, თავისუფალი დროის რეზერვუარის შექმნა დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

პროფესიულ განათლებაში მაღალი ხარისხის მისაღწევად აუცილებელი შემდეგი პირობების არსებობა:

- შრომის ბაზრის მოთხოვნების პროგნოზირება და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, დასაქმების და საინფორმაციო სააგენტოების, დასაქმების მომსახურების კოოპერაციის ქსელის შექმნა; პროფესიული განათლების რეგიონული შრომის ბაზართან დაახლოება;

- პროფესიული განათლების ბაზრის ეფექტურობის გაუმჯობესება, მისი სეგმენტაციის, გაუმართლებელი მონოპოლიის აღმოფხვრა და სუსტი სამომხმარებლო ცნობიერების ამაღლება;
- უწყვეტი პროფესიული განათლების ზრდისათვის პირობების შექმნა, რაც უზრუნველყოფს უწყვეტობას სხვადასხვა დონის პროფესიულ განათლებაში და შექმნის ეფექტურ სისტემას დამატებით განათლებას;
- კადრების სწავლებაში დისბალანსის და არასაჭირო დუბლირების აღმოფხვრა, პროფესიის და სპეციალობის ოპტიმიზაცია;
- პროფესიული განათლების სტრუქტურული და ინსტიტუციური რესტრუქტურიზაცია, დაწესებულებების ქსელის ოპტიმიზაცია, სხვადასხვა მოდელების შემუშავება დაწყებით, საშუალო, პროფესიულ და უმაღლესი განათლებაში;
- პროფესიული სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რადიკალური გაუმჯობესება, რომელიც უზრუნველყოფს ძირითად და საინჟინრო განათლებას;
- პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების გადაჭრაში დამსაქმებლების და სხვა სოციალური პარტნიორების აქტიური ჩართულობა;
- მასწავლებელთა ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მიერ.

პროფესიული განათლების მთავარი მიზანია შესაბამი დონის და პროფილის, შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მომავალში პროფესიული განათლების სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ფართომასშტაბიანი, მიზნობრივი ინოვაციებისა და თვითონ სისტემის სტრუქტურის, ფორმებისა და ამ ფორმათა ურთიერთქმედების მექანიზმების ტრანსფორმაციის საშუალებათა კომპლექსის შემუშავება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სწორად ეს ფუნქცია აკისრია - პროფესიული განათლების სისტემის მართვა. ამისთვის

განათლების სამინისტრო გარკვეულწილად ქმნის ინსტიტუციურ პოლიტიკას, რომელიც თავის მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკით არის განსაზღვრული. მნიშვნელოვანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან დასახული მიზნების მიღწევის ღონისძიებების რეგულარული შეფასება, ადამიანური რესურსების განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, შრომის ბაზრის კვლევა, კვალიფიკაციათა შემუშავება, ხარისხის უზრუნ-ველყოფა, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება, სადაც საჭიროა მიდგომების გადახედვა და შესწორებების შეტანა.

2.2. პროფესიული განათლების მართვის ნორმატიულ-სამართლებრივი ასპექტები

საქართველოში პროფესიულ განათლებას მართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით: „პროფესიული განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, კანონით მაღალ-მთიანი რეგიონების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანდართული დებულებით, „მსჯავრდებულთა განათლე-ბისა და პროფესიული სწავლების შესახებ“ დებულებით, ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანდარ-თული დებულების თანახმად პროფესიული განათლების დეპარტამენტის კომპეტენციაში შედის პროფესიული განათლების პოლიტიკისა და სტრა-ტეგიის შემუშავება, კოორდინაცია, ანგარიშგება, მონიტორინგი, შეფასება, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. პროფესიული დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია: პოლიტიკის სამმართველო; მონიტორინგის სამმართველო; სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველო.

დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია მინისტრისა და

კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე. იგი პასუხისმგებელია დეპარტამენტის მოვალეობების შესრულებაზე. მისი მოადგილე ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, ზედამხედველობა გაუწიოს დეპარტამენტის თანამშრომლებს. ის ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის უფროსთან. დეპარტამენტის შემავალ სტრუქტურას წარმოადგენს სამმართველოს უფროსი, რომელიც წარმართავს სამმართველოს საქმიანობს, განიხილავს და აანალიზებს შემოსულ დოკუმენტაციას, ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოს თანამშრომლებს შორის, აკონტროლებს ბრძანებებს და ასრულებს დეპარტამენტის უფროსის დავალებებს. პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლები ასრულებენ დეპარტამენტის უფროსის, მისი მოადგილის და სამმართველოს უფროსის დავალებებს. მონიტორინგის სამმართველო კი მონიტორინგსა და შეფასებას აწარმოებს, როგორც პროგრამული კუთხით, ასევე, დაწესებულებების სასწავლო პროცესის სწორად წარმართვის კუთხითაც. სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველო განსაზღვრავს პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის იდენტიფიკაციას და სეგმენტაციას. კოორდინაციას უწევს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მონაწილეობას იღებს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შემუშავება-განვითარების პროცესებში. აწარმოებს კამპანიას პროფესიული განათლებაში ცნობიერების ამაღლების კუთხით [11].

კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ განსაზღვრავს პროფესიული განათლების სახეებს, საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების, პროფესიული განათლების სისტემის მართვისა და დაფინანსების პრინციპებს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების, საქმიანობის, მართვის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ, პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის (საქართველო 2020), საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების პირობების შექმნის

აუცილებლობამ და პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მრავალმხრივი ანალიზმმა ცხადყო კანონში გარკვეული ცვლილებების შეტანის საჭიროება.

ამჟამად კანონპროექტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დაინტერესებული მხარეების, სამინისტროს სოციალური პარტნიორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ, როგორც ადგილობრივი კონტექსტის, ასევე, საუკეთესო ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით.

ახალი კანონპროექტი მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფოს პრიორიტეტების განხორციელებისთვის მყარი სამართლებრივი საფუძვლების შექმნას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სოციალურ ინკლუზიას, ეკონომიკურ და პიროვნულ განვითარებას.

ახალი კანონის მიხედვით პროფესიული განათლების იყოფა შემდეგ სახეებად: საბაზო პროფესიული განათლება - III დონე, საშუალო პროფესიული განათლება - IV დონე, უმაღლესი პროფესიული განათლება V დონე. პროფესიული მომზადება/გადამზადება - დაშვების წინაპირობებს განსაზღვრავს შესაბამისი პროგრამა.

კანონმპროექტი მოიცავს ინფორმაციას სწავლის შედეგების დადასტურებაზე, რაც გულისხმობს, რომ პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება პროფესიული დიპლომით, პროფესიული მომზადების/გადამზადების სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატით, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატით. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად ვერ დადასტურების შემთხვევაში, მოთხოვნის შემთხვევაში, გაიცემა ცნობა მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.

ახალ კანონპროექტში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს, პროფესიის სტანდარტის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტსა და პროგრამის შესახებ.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგ-

რამა შესაძლოა ინტეგრირდეს საშუალო პროფესიული განათლების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის თანახმად. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა უკავშირდებოდეს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის ერთ საგანმანათლებლო პროგრამას მაინც. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდეგ პირს ენიჭება ასოცირებული ხარისხი.

კანონპროექტის თანახმად ყველას აქვს უფლება თანაბარ პირობებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ისარგებლოს პროფესიული განათლების მიღების უფლებით.

უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული პროფესიული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარება ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

რაც შეეხება არაფორმალურ და ფორმალურს განათლების აღიარებას, ეს შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების, პროფესიული კვალიფიკაციის მიღების, ან პროფესიული განათლების ფარგლებში სწავლის ცალკეული შედეგის/კომპეტენციის დადასტურების მიზნებისათვის. არაფორმალური/ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესებით.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აღიარებს უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ პროფესიულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგებს. ასევე, უცხო ქვეყნის

საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის პროფესიულ საგანმანათ-ლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ცენტრის მიერ.

ისეთ პროფესიებს, რომელთა საქმიანობისთვის სავალდებულოა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის ფლობა, სახელმწიფო გამოყოფს რეგულირებადი პროფესიების სახით და ამ ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა [12].

კანონპროექტში დიდი ადგილი ეთმობა პროფესიული განათლების სისტემის მართვას, რაშიც ჩართულია როგორც განათლების და მეცნიერების სამინისტრო, ასევე, საქართველოს მთავრობა.

ახალ კანონში არ არის გათვალისწინებული ერთი, ჩემი აზრით მნიშ-ვნელოვანი, საკითხი. კერძოდ, თუ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი თავისუფლდება სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან, იგივე წესი რატომ არ უნდა ვრცელდება პროფესიული სასწავლებლის სტუდენტზე? პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი გაწვევის შემთხვევაში თავს ანებებს სწავლას და ჯარის დასრულების შემდეგ არ ბრუნდება სასწავლე-ბელში, აქედან გამომდინარე გამოდის, რომ სახელმწიფო სრულიად უშედეგოდ ხარჯავს სახელმწიფო ბიუჯეტს. ახალ კანონპროექტში ეს სა-კითხი, რომელიც დარეგულირებას მოითხოვს არ არის გათვალის-წინებული.

2.3. პროფესიული განათლების სფეროს ბიუჯეტირება - სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ხელშემწყობი ფაქტორი

პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტს ანუ ფინანსურ საშუალებებს. ბიუჯეტი წარმოადგენს ცენტრალური მთავრობის მიერ შემუშავებულ გეგმას, თუ როგორ მოიძიოს სახსრები აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. საბიუჯეტო პროცესი შემდეგნაირია: მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამ-ტკიცება, კონტროლი, ანგარიშგება, შესრულება, დაზუსტება. სახელმწიფო ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საგანმანათლებლო ბიუჯეტების ხარჯის სტრუქტურის გაუმჯობე-სება არის უმნიშვნელოვანესი რეზერვი განათლების სისტემის ფუნქციონი-რების ეფექტიანობის ასამაღლებლად. პროფესიულ განათლებას, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტისა, აფინანსებენ უცხოელი დონორები და პარტნი-ორები, კერძო სექტორი, სპონსორები. საქართველოს პროფესიული განათ-ლების ბიუჯეტი ხასითდება მზარდი ტენდენციით გასულ წლებთან შე-დარებით.

2017 წლის პრიორიტეტულ მიმართულებებად მიჩნეულია ჯანდაცვა, განათლება და ინფრასტრუქტურა, შესაბამისად, ამ სამინისტროების ბიუჯე-ტებია გაზრდილი. 2017 წელს 1 მილიარდ 25 მილიონიანი ბიუჯეტიდან პროფესიული განათლებისათვის გამოყოფილია 25 850 000 თუმცა, აქედან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით არსებული რესურსი არასაკმარისად არის გაზრდილი.

2013-2016 პროფესიული განათლების ბიუჯეტი



დონორთა ფინანსური კონსტრიბუცია

2014-2017	EU საბიუჯეტო/ტექნიკური დახმარება	27 000 000 ევრო
2014-2019	MCA	16 000 000 დოალრი
2013-2018	UNDP	6 000 000 დოლარი
2013-2016	GIZ	1 500 000 ევრო

პროფესიული განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში არაერთი სიახლე დაინერგა მაგალითად, 2013 წლის სექტემბერში ძალაში შევიდა დაფინანსების ახალი წესი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები იღებენ სამი სახის დაფინანსებას:

- ვაუჩერული დაფინანსება - ფინანსდებიან ინდივიდუალური სტუდენტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ერთიან პროფესიულ მისაღებ გამოცდებს და გადალახავენ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს;
- პროგრამული დაფინანსება - ფარავს საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ ხარჯებს;
- მიზნობრივი დაფინანსება - მოიცავს განსაკუთრებით საჭირო პროგრამებს და დაფინანსება გაიცემა ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე.

სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო კოლეჯები, ხოლო სტუდენტები სტიპენდიებს არ იღებენ.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირებული დოკუმენტის საფუძველზე სტუდენტებს ენიჭებათ სწავლის უფლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ დაწესებულებებში. სტუდენტი იღებს სწავლისა და დაფინანსების უფლებას სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩააბარებს პროფესიულ ტესტირებას და ქულათა სრული ოდენობის 25%-ს გადალახავს. ხშირ შემთხვევაში სტუდენტთა დიდ უმრავლესობას სოციალური პრობლემები აქვთ და მათთვის უფასო პროფესიულ სწავლება არსებითად მნიშვნელოვანია. რამდენიმე წელია, რაც პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები სარგებლობენ სამგზავრო შეღავათებით, ისე, როგორც უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები.

აღსანიშნავია, რომ გარდა იმ პროგრამების, რომლებიც ფინანსდება სახელწიფო დაწესებულებებში, არსებობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროგრამები. ასევე შესაძ-

ლებელია დაწესებულებას ჰქონდეს მოკლე სასერთიფიკატო კურსები, რომელსაც შესაძლოა აფინანსებდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ან თავად სტუდენტი.

ასევე საინტერესოა გადაგვეხედა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებსაც დღეს შუძლია განახორციელონ სტუდენტთა მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (იხ. დანართი 1).

თავი 3. პროფესიული განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს წარმოადგენს: პროფესიული განათლების სისტემის მისადაგება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებთან, შრომის ბაზრის ამჟამად არსებულის და სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილება და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის დაახლოება ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.

სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ხედვას საქართველოს პროფესიული განათლების სამომავლო განვითარების შესახებ, შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე. მასში ასახულია დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, პროფესიული განათლების ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციალისტების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტების, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების, სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების ექსპერტული მოსაზრებები.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარება;
- განათლების სისტემაში თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა;
- შედეგზე ორიენტირებული ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის სისტემების სრულყოფის გზით განათლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტონომიურობისა და მუდმივი ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემაში ყველა დონეზე ჩართული ადამიანური რესურსების განვითარება;
- განათლებისა და მეცნიერების მართვის სისტემის სრულყოფა;
- საზოგადოების ჩართულობისა და სოციალური პარტნიორობის

გაძლიერება;

- განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაფინანსების გაზრდა და დაფინანსების მოდელების ოპტიმიზაცია.

პროფესიულ განათლებაში დასახული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად საჭიროა ოთხი ძირითადი ამოცანის გადაჭრა:

- ✓ სისტემის მოქნილობისა და მიმზიდველობის გაზრდა;
- ✓ პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაცია და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარება;
- ✓ პროფესიულ განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა [1].

განათლების სისტემაში თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა სტრატეგიის განხორციელების პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ ძირითადი პრიორიტეტია .

ინკლუზიური განათლება – საგანმანათლებლო მიდგომაა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მიუხედავად ბავშვების ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.

სიტყვა „ინკლუზია“ ჩართვას ნიშნავს, როგორც ცნება ის მე–20 საუკუნის მეორე ნახევარში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის კონტექტსში გაჩნდა. დღეს ინკლუზიურ განათლებას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა, რადგან მისი მიზანი სწორედ ასეთი ადამიანების განათლების ხელშეწყობა, მათი ინტეგრაცია, მხარდაჭერა, შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარებაა. ინკლუზიური განათლება ითვალისწინებს შშმ პირების სწავლას ჩვეულებრივ სტუდენტებთან ერთად [13]. საჭიროა ინკლუზიური განათლების რვა პრინციპის გათვალისწინება:

- ადამიანის ღირებულება არ არის დამოკიდებული მის შესაძლებლობებზე და მიღწევებზე;
- ყველას შეუძლია გრძნობდეს და ფიქრობდეს;
- ყველას აქვს უფლება ურთიერთობის და ურთიერთგაგების;
- ადამიანებს ესაჭიროება ურთიერთობა;
- ჭეშმარიტი განათლება შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ რეალურ ურთიერთობებში;
- ყველა ადამიანს ესაჭიროება ურთიერთობა მის თანატოლებთან;
- ყველა სტუდენტისთვის პროგრესი შესაძლებელია იყოს ის, რის გაკეთებაც მას შეუძლია და არა ის, რაც არ შეუძლია;
- მრავალფეროვნება აძლიერებს ადამიანის ცხოვრებას.

დღევანდელ მსოფლიოში ინკლუზიური განათლება განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

უნგრეთი ერთ-ერთი ქვეყანაა, ვინც პირველმა დაიწყო სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის. 1802 წელს გაიხსნა საგანმანათლებლო სახლი ყრუ და ბრმა ადამიანებისთვის, ხოლო 1875 წელს სკოლები ზომიერი და მძიმე ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის. განათლება, რომელიც ეფუძნება თანასწორობის იდეას, სარგებლობა მოაქვს არა მხოლოდ ინკლუზიური, არამედ ჩვეულებრივი ადამიანებისთვისაც.

ინკლუზიური განათლება დიდ ხანს იყო იგნორირებული იტალიაში, მხოლოდ 1928 წელს გავრცელდა ბრმებზე და მუნჯებზე (იმ პირობით, რომ მათ არ აქვთ სხვა ხარვეზები). აშშ-სა და ევროპის დღევანდელ საგანმანათლებლო პოლიტიკაში შემუშავებულია რამდენიმე მიდგომა, მათ შორის, გაზრდილი განათლების ხელმისაწვდომობა (ფართოვდება მონაწილეობით), მეინსტრიმინგი, ინტეგრაცია, ანუ ჩართულობა [14].

საქართველოში ინკლუზიური განათლება განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად 2006 წლიდან იქცა. ნორვეგიის განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და მხარდაჭერით ის

დახვეწისა და ათვისების პროცესშია. თუმცა, საქართველოში 2006 წლამდეც არსებობდნენ ადამიანები, ვისაც ინკლუზიური განათლება ესაჭიროებოდათ, მაგრამ პროგრამის არარსებობის გამო მრავალი შეზღუდული შესაძლებლობისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანი დარჩა განათლებისა და 9 კლასის ატესტატის გარეშე. პროფესიულ სასწავლებელში კი ამ ატესტატის არმქონე პირების მოხვედრა შუძლებელია. ადამიანს, რომელსაც არ უვლია სკოლაში, მაგრამ სხვადასხვა ფორმალური საშუალებებით მიიღო ცოდნა, ეძლევა საშუალება გამოავლინოს ეს ცოდნა და ამის დასადასტურებლად ატესტატიც მიიღოს. როცა სპეციალური საჭიროების მქონე პირთა გამოცდაზე ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში ხდება ადამიანის საჭიროებების შესწავლა, საგამოცდო დროის გახანგრძლივება, სხვადასხვა ადაპტირებული საშუალებების გამოყენება, გარკვეული ცვლილებების შეტანა, მაგალითად, ზეპირი გამოკითხვა, თუ წერა არ შეუძლია. მას ასევე შეუძლია პრაქტიკულად მოსინჯოს მისთვის საინტერესო, სასურველი ერთი, ორი ან სამი პროფესია და გამოცადოს საკუთარი თავი ამ პროფესიის ამოცანის შესრულებისას; ასევე ნათელი წარმოდგენა შეიქმნას პროფესიულ სასწავლებელში არსებულ სასწავლო გარემოზე, პროცესსა და პროგრამებზე; პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის ასევე საინტერესოა გაიცნოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭირობის მქონე მომავალი სტუდენტი.

ინკლუზიური პროფესიული განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალებას აძლევს შეიძინონ პროფესია შემდგომი დასაქმებისთვის. პროფესიული განათლების შეთავაზება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინვესტიციას სახელმწიფოს მხრიდან, რათა განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირები კონკურენტუნარიანები გახდნენ შრომის ბაზარზე. ინკლუზიური განათლების პროცესის დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში 2012 წლიდან ნორვეგიის მთვარობის დახმარებით დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება კვლევების განხორციელება ინკლუზიური პროფესი-

ული განათლების მიმართულებით და პროცესის მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა, რომელიც განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტებს წარმოადგენს. ასევე უწყებათაშორისი დიალოგისა და კოორდინაციის გაძლიერება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა რაოდენობის ზრდა; მიწოდებული პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა [15].

ინკლუზიური პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება გულისხმობს პროფესიული სასწავლებლებში შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფას, მასწავლებლების კომპეტენციის და ინდივიდუალური სწავლების მეთოდოლოგიის გაძლიერებას. ასევე აუცილებელია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო ტექნოლოგიური საშუალებები და აუდიო სახელმძღვანელოები, მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის, მეწარმეობის კომპონენტის განვითარება, წინაპროფესიული უნარების განვითარება, რაც გულისხმობს პრაქტიკული აქტივობებში ჩართულობით წერა–კითხვის, არითმეტიკის, დროის მართვის და სხვა საჭირო უნარების განვითარებას.

განათლების მოცემული მოდელი სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახდა. როგორც ნებისმიერი სიახლე, ინკლუზიური განათლების მოდელით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა ჩართვა ზოგად საგანმანათლებლო სკოლებსა თუ პროფესიულ სასწავლებლებში არ წარმოადგენს მარტივ პროცესს. ის საჭიროებს ახალი რეგულაციების შემუშავებასა და გამოყენებას როგორც პოლიტიკის, ასევე პრაქტიკის დონეზე. მოდელის შემდგომი სრულყოფისთვის აუცილებელია უკვე შესრულებული საქმიანობის ეფექტურობის შეფასება და შეფასების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელება.

პროფესიული განათლების კუთხით სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს პროფესიული განათლების როლის გაძლიერება ადამიანური კაპიტალის განვითარების პროცესში და სისტემაში ჩართულობის გაზრდა მისი მიმზიდველობისა და ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფის გზით [1].

საქართველოში პროფესიული განათლება დღეს არამიმზიდველი და ნაკლებად მოთხოვნადია რამდენიმე მიზეზის გამო: არ არსებობს სტრუქტურული კავშირები პროფესიულ განათლებასა და განათლების სხვა საფეხურებს შორის, განსაკუთრებით პრობლემურია პროფესიული განათლებიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასვლა, რაც გარკვეულ წილად აფერხებს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას. თუმცა, მოძიებული სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების მსურველთა რაოდენობა 2013 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იზრდება. 2013 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების სურვილი გამოთქვა 12876 აპლიკანტმა, ხოლო 2015 წლისთვის ეს ციფრი 17547-ს გაუტოლდა, ხოლო 2016 წელს ეს რიცხვი 20 000-მდე ავიდა [16].

ამ კუთხით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მონაცემები ასეთია:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აპლიკანტთა რაოდენობა



საქართველოში პროფესიული განათლების მოთხოვნადობა ჩანს ჩვენს მიერ ჩატარებულ ანალიზში, რომელიც შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ მონაცემების საფუძველზე. 2015 წელს ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში შეადგენს 28053, საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ პროგრამებზე - 16,773 სტუდენტს

(აქადან, 8738 კაცი და 8035 ქალი), რაც წინა წელთან შედარებით მხოლოდ 2%-ით მეტია. 2016 წელს ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში შეადგენს 27 782 სტუდენტს, ხოლო საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ პროგრამებზე - 11 184. ნათლად ჩანს, რომ უპირატესობა ენიჭება უმაღლეს სასწავლებლებს, თუმცა, პროფესიული სწავლების სტუდენტთა რიცხვი მცირედით, მაგრამ მაინც, გაზრდილია წინა წლებთან შედარებით. წინა წლებთან შედარებით, ასევე, გაზრდილია ქალების აქტიურობა. ჩარიცხული სტუდენტების რიცხვი მომატებულია რეგიონებშიც, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აჭარაში, შემდეგ მოდის იმერეთი, გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/კახეთი, ყველაზე დაბალი მაჩვენებელია შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში. წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდა არც რეგიონებში არ აღინიშნება, თუმცა, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 2% - 3% -ით მაინც არის გაზრდილი. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ბოლო წლებში პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში განხორციელდა არაერთი აქტივობა პროფესიულ განათლების პოპულარიზაციისა და მიმზიდველობის გაზრდის კუთხით. ამის შესაბამისად, პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა რიცხვმაც იმატა. წარმოგიდგენთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბოლო სამი წლის სტატისტიკურ მონაცემებს:

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა წლების მიხედვით



ყურადსაღებია კურსდამთავრებულთა რიცხვი. ამ კუთხით შემდეგი სურათია: 2015 წელს ჩარიცხული სტუდენტების 70%-მა წარმატებით

დაამთავრა სასწავლებელი, ეს მაჩვენებელი 3%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებს, 2015 წელს ყველაზე მოთხოვნადი პროგრამები იყო: ინჟინერია, ბიზნესის ადმინისტრირება, ჯანდაცვა. ასევე, აგრარული მიმართულების და სამართალის პროგრამები. ინჟინერიის პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების 85%-ი მამაკაცებია, ხოლო ჯანდაცვის პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების 87% - ქალები (ეს სტატისტიკა თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ძველი სტერეოტიპი პროფესიულ არჩევანში ჯერ კიდევ მძლავრობს - ინჟინერია მამაკაცთა საქმეა, მედიცინა ქალთა). 2016 წლის მოთხოვნად პროფესიებად მიჩნეულია: მზარეული, ოფისის მენეჯერი, მდივან-რეფერენტი, ბუღალტერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი და კონდიტერი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 2015 წელთან შედარებით მცირედით, მაგრამ მაინც გაიზარდა კურსდამთავრებულთა რიცხვი. 2015 წელს 6781 კურსდამთავრებული გვყავდა, ხოლო 2016 წელს - 6806, რაც დადებით დინამიკაზე მეტყველებს.

2016 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევამ Tracer Study[3] - ის მიხედვით აჩვენა, რომ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების მომენტისთვის გამოკითხულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 56%-ს შეადგენდა, ეს რიცხვიც გაზრდილია წინა წლებთან შედარებით.

2017 წლის კიდევ ერთი სიახლეა აპლიკანტს საშუალება ეძლევა დარეგისტრირდეს ონლაინ. ონლაინ რეგისტრაცია იწარმოებს მხოლოდ პირველადი საფეხურისთვის. ასევე სიახლე ისიც რომ, პროფესიული ტესტირების შემდეგ გარკვეული ვადის ფარგლებში აპლიკანტს საშუალება ეძლევა სარეგისტრაციო განცხადებაში შეცვალოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საბოლოო რეიტინგული ჩამონათვალი, ასევე, შეუძლია ჩასაბარებელი საგნების მიხედვით დაამატოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/დაწესებულებები და პროფესიული

[3] Tracer Study- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში

საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომელიც/ რომლებიც მანამდე არ ჰქონდა არჩეული.

სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლები ახალგაზრდებს საშუალებას აძლევენ, მინიმალური დანახარჯის გარეშე მიიღონ განათლება და გახდნენ კონკრეტული მიმართულებით სპეციალისტები.

პროფესიულ განათლებაში არ არსებობს ასაკობრივი შეზღუდვა. 2016 წლის მდგომარეობით, საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელი აერთიანებს 126 საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელთა შორისაა: პროფესიული კოლეჯი - 88; აქედან საჯარო კოლეჯი - 20 და კერძო კოლეჯი - 68. 29 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - 14 საჯარო და 15 კერძო. 9 ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლა. აღნიშნული სასწავლებლებიდან 66 - თბილისშია და 60 რეგიონში. სტუდენტების 44% სწავლობს თბილისში და 56% სწავლობს რეგიონებში.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, 2014 წელს საჯარო პროფესიულ კოლეჯებში 9 603 სტუდენტი ჩაირიცხა. 2015 წელს - 10 405, 2016 წელს კი 11 184 სტუდენტი ჩაირიცხა.

რაც შეეხება სტუდენტების განაწილებას ასაკის მიხედვით, ყველაზე მეტი სტუდენტი 19-23 ასაკობრივ კატეგორიაშია.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარდა კვლევა და წარმოგიდგენთ იმ პროფესიულ სასწავლებლებს სადაც ყველაზე მეტი სტუდენტი სწავლებოს პროფესიულ პროგრამებზე. აღსანიშნავია რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესიულ სასწავლებლებს შორის პირველ ადგილზე დგას პროფესიული პროგრამების და პროფესიული სტუდენტების რაოდენობით (იხ. დანართი 2).

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 2016 წლის საგაზაფხულო მიღებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, უზრუნველყო ეროვნული უმცირესობებისათვის საგამოცდო ტესტების თარგმნა შესაბამისად თითოეულ სტუდენტს, რომელსაც სურვილი ჰქონდა ტესტის ჩაბარება მშობლიურ ენაზე, საშუალება

მიეცა ამოერჩია მისთვის სასურველი საგამოცდო ენა (სომხური, რუსული და აზერბაიჯანული ენა). ასევე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უზრუნველყვეს არაქართულენოვანი სტუდენტისათვის ქართული ენის შემსწავლელი პროგრამა. მხოლოდ ამ პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი აგრძელებს სწავლას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ქართული ენის ინტენსიური სწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში განხორციელდება. ქართული ენის დაძლევის შემთხვევაში, აპლიკანტი შემდგომი მიღების ფარგლებში გააგრძელებს კონკრეტული პროფესიის დაუფლებას.

გარკვეულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელმისაწვდომია სწავლის ორი რეჟიმი: დღის და საღამოს ცვლა. შესაბამისად, აპლიკანტს ეძლევა არჩევანის უფლება.

2013 წელს „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020“ და სამოქმედო გეგმა მომზადდა, რომელშიც ისეთი საკითხები შევიდა, როგორიცაა პროფესიული განათლების მოქნილი ქსელის ჩამოყალიბება, არსებული ბარიერების შემცირება, კვალიფიკაციიების ხარისხია ამაღლება, მასწავლებლების გადამზადება თანამედროვე მიდგომების შესაბამისად. ასევე აუცილებელია შეიცვალოს საზოგადოების მიდგომას პროფესიული განათლების მიმართ. აღნიშნული სტრატეგია ითვალისწინებს ამ ყველაფრის შესრულებას, თუმცა არსებობს ბარიერები, რომლებიც ჯერ კიდევ დასაძლევია.

ერთ-ერთ პრობლემად რჩება ის, რომ დამსაქმებელი ხშირად არ არის კმაყოფილი პროფესიული განათლების კურსდამთავრებულის ცოდნით. ხშირ შემთხვევაში პროფსასწავლებლების კურსდამთავრებულები ვერ აკმაყოფილებენ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის იმ საჭირო მინიმუმს, რაც სჭირდება დამსაქმებელს. ამ პრობლემის გადაჭრის გზაა სწორედ დუალური განათლება, რომელიც დააკმაყოფილებს დამსაქმებლის მოთხოვნებს. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება აადვილებს სტუდენტების დასაქმებასაც უშუალოდ პრაქტიკის გავლის პროცესში. მნიშვნელოვან რგოლს ასევე წარმოადგენს მასწავლებლების კვალიფიკაციაზის ამაღლება. მასწავლებ-

ლებში ახალგაზრდა კადრების ნაკლებობაა. მასწავლებელთა საშუალო ასაკი დაახლოებით 50 წელია.

ახალგაზრდისთვის პროფესიული მასწავლებლის პროფესია არ არის მიმზიდველი, რადგანაც დაბალი ანაზღაურებაა და ნაკლებად პრესტიჟულია. აუცილებელია ინსტრუქტორების გადამზადებაც, ვინაიდან ახალ ტექნოლოგიებში ნაკლებად ერკვევიან. პროფსასწავლბელი უნდა უზრუნველყოფდეს საერთო საცხოვრებელს. თბილისი არც ერთ კოლეჯს არ გააჩნია საერთო საცხოვრებელი, რაც აფერხებს სტუდენტთა მოზიდვას. სტუდენტებს არ შეუძლიათ სასწავლებლად ჩამოსვლა უსახსრობის გამო. თუმცა ეს პრობლემა რეგიონებშიც დგას. პროფესიული კოლეჯების და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები არათანაბარ მდგომარეობაში არიან.

- პროფსასწავლებლის სტუდენტები არ სარგებლობენ სტიპენდიებით;
- არ შეუძლიათ საკუთარი ვაუჩერის კერძო კოლეჯში გამოყენება;
- პროფსასწავლებელი დროებითაც ვერ ათავისუფლებს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან;
- სტუდენტებს, რომლებსაც არ აქვთ საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, არ შეუძლიათ სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების მიმართულებით.

უკანასკნელი წლებში პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ რიგი სპეციალობების მიხედვით და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შეიქმნა ახალი პროგრამები. გამოიკვეთა ის სპეციალობები, რომლებიც ყველაზე დასაქმებადია დღევანდელ დღეს.

მომსახურეობის სფერო, მშენებლობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა, აგრეთვე ჯანდაცვა და სხვა მრავალი სფერო უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების გარდა საჭიროებს სპეციალურად მომზადებულ პრაქტიკოსებს, რომლებსაც შეეძლებათ კონკრეტული პრობლემების გადაჭრა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური განვითარების ტემპი მოითხოვს ამგვარი კადრების სწრაფ მომზადებას, რასაც სწორედ პროფესიული

განათლებისა და მომზადების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს. აქედან გამომდინარე, საინტერესოდ მივიჩნიეთ ზოგიერთი პროფესიული დაწესებულების, მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ასევე, დასაქმების ინტერნეტ საიტების მონაცემების მაგალითზე გავცნობოდით ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების რეიტინგს (იხ. დანართი 3 და 4).

დღეს საქართველოში მიმზიდველად და მოთხოვნად პროფესიებად ითვლება მომსახურების სფერო. უფრო კარგად, რომ გაგვეანალიზებინა არსებული მდგომარეობა გამოვიყენეთ ცნობილი საიტების მონაცემები.

ერთ-ერთი ასეთი საიტია Worknet-ი, რომელიც სახელმწიფოს გადაწყვეტილებით და ხელშეწყობით შეიქმნა. სამუშაოს მაძებელთა ტრენინგებისა და გადაკვალიფიცირების სახელმწიფო პროგრამა Worknet-ი, რომელიც შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემას წარმოადგენს და საინტერესო ინფორმაციის მიღებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობას იძლევა, კარგი საშუალებაა ვაკანსიების, სამუშაოს მაძიებლისა და დამსაქმებლების დაკავშირებისათვის. Worknet-ი მნიშვნელოვანია განათლების პროვაიდერებისთვისაც. მისი საშუალებით შესაძლებელია შრომის ბაზრის მოთხოვნების გაცნობა კონკრეტული პროფესიებისა და პოზიციების მიხედვით, დაინტერესებულ პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა თუ ტრენინგის შემუშავება და შეთავაზება.

ჩვენ მოვიძიეთ და განვიხილეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კვლევა Worknet-ის 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც დარეგისტრირებულ 33 358 სამუშოს მაძიებლიდან 6841-მა (20.5%) გამოთქვა სწავლის სურვილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შემდეგი მიმართულებით: ბუღალტერია, ბანკის ოპერატორი, ბიზნესის ადმინისტრირება, გიდი, ექთანი, ვიზაჟისტი, კულინარი, სტილისტი, კომპიუტერული პროგრამები, და ნებისმიერი პროგრამა სადაც არის დასაქმების პერსპექტივა. ამ პირთა ასაკი ვარირებს 18- 60 წლამდე; მათ შორის 66% ქალია, ხოლო 34% -კაცი [17].

საინტერესო იყო გავცნობოდით და შეგვედარებინა მოთხოვნადი სპეციალობებისა და სასწავლებლების მიერ შეთავაზებული სასწავლო

პროგრამების შესაბამისობა. ამ მიზნით ჩავატარე პირველადი კვლევა და გამოვიყენე საქართველოს ყველაზე პოპულარული დასაქმების ვებ-გვერ-დების მონაცემები, როგორებიცაა www.jobs.ge და სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო-www.hr.ge. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად მოთხოვნადი პროფესი-ებია: მოლარე-ოპერატორი, ქოლ-ცენტრის ოპერატორი, გაყიდვების მენეჯე-რი, მიმტანი, მზარეული, ბუღალტერ-ოპერატორი. ამ სპეციალობებიდან ლიდერობს მოლარე-ოპერატორი და ბუღალტერი. Worknet-ისა და ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემების შედარებიდანაც ჩანს, რომ ყველაზე მო-თხოვნად პროფესიად ისევ რჩება მომსახურების სფერო.

რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლისა და პროფესიული კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის შემდეგ (იხ.დანართი 5,6) კარგად ჩანს, რომ პროგრამების უმეტესობა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისია. თუმცა, კვლევის შედეგებიდან ისიც გაირკვა, რომ არ ხორციელდება ისეთი პროგრამა, რომლის განხორციე-ლებასაც მოითხოვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. აღნიშნული პროგრამა მოამზადებს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთ-ხოების და გარემოს დაცვის სპეციალისტებს, რომელიც დღეს საკმაოდ მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. სწორედ ამან განაპირობა კიდევ ერთი კვლევის ჩატარება და იმის გაგება, ესაჭიროება თუ არა დღეს საქართველოს ამ პროფესიის მქონე ადამიანები. სამიზნედ არჩეულ იქნა 25 კომპანია. სატელეფონო კომუნიკაციით მოხდა ამ კომპანიების წარმომადგენლებთან დაკავშირება და გასაუბრება.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა დარგში მოღვაწე კომპანიებმა, რომელთა შორის იყვნენ როგორც კერძო, ასევე, სახელმწიფო უწყებები. იმისთვის, რომ შექმნილიყო რეალური სურათი, გამოკითხვა ჩატარდა ისეთ კომპანიებში, რომელთა მოღვაწეობა მოიცავს სხვადასხვა სფეროებს, როგორებიცაა: გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია, ნავთობ პროდუქციის იმპორტი, სასტუმრო საქმიანობა, სავაჭრო ცენტრები, წყალმომარაგება, ინტერნეტ პროვაიდერი, კავშირგაბმულობა, საკონსულ-ტაციო მომსახურება და ა.შ. კომპანიებს შორის იყვნენ: საავტომობილო

გზების დეპარტამენტი, თბილისი მოლი, ისთ პოინტ ჯორჯია, ლუკოილი, ნავთობის და გაზის კოორპორაცია, შერატონი, რედისონ ბლუ, სინერჯი ჯგუფი, საქართველოს ფოსტა, ჯორჯიან უოთერ ენდ პოვერი, კავკასუს ონლაინი, ჯეოსელი და ა.შ.

გამოკითხული კომპანიების 50% ჰყავს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პროფესიის მქონე სპეციალისტები, თუმცა, ამ კომპანიების 35% ხედავს ამ პროფესიით დასაქმებული თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებას. დანარჩენი კომპანიების 50%-დან, რომლებსაც არ ჰყავთ ამ დარგის სპეციალისტები, მხოლოდ 15% ხედავს სპეციალისტების საჭიროებას.

გამოკითხულ კომპანიათა 90 პროცენტმა იცის, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადების შემდეგ საქართველოში გამკაცრდება ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი საკითხების კონტროლი და ეს არის ძირითადი მიზეზი მათი მხრიდან ამ დარგის სპეციალისტებით დაინტერესებისა.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ სხვადასხვა სფეროებში მოღვაწე კომპანიებიდან მეტი დაინტერესება გამოხატა გახსნილმა სავაჭრო და გასართობმა ცენტრებმა, რომლებსაც ამჟამად ჰყავთ ამ დარგის სპეციალისტები, თუმცა, არ გამორიცხავენ ამ კუთხით თანამშრომლების რაოდენობის გაზრდას, ასევე, უკვე დასაქმებული თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. სასტუმრო საქმიანობით დასაქმებული კომპანიების 75%-ს არ ჰყავს ამ დარგის სპეციალისტები, თუმცა, ყველა მათგანი ხედავს მათ საჭიროებას. დანარჩენ 25%-ს ჰყავს სპეციალისტები, რომლებსაც უტარდებათ ტრენინგები, მაგრამ კვალიფიკაციის ამაღლება და დამატებითი ტრენინგები მაინც სჭირდებათ.

3.1. პროფესიული განათლების მოდერნიზაციის პრიორიტეტული მიმართულებები

მისი მოდერნიზაციის აუცილებლობას გვკარნახობენ ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ევოლუციური განვითარება, ტექნოლოგიების ცვლა, შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნები და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები. საქართველოში, როგორც მთელ მსოფლიოში, წარმოებისა და მომსახურების სფეროები ითხოვენ არა მხოლოდ განათლებულ ხალხს, არამედ ადამიანს, რომელსაც შეუძლია დასახოს ამოცანა, დაგეგმოს გადაწყვეტის მიდგომები და საჭირო რესურსები. ე.ი. მოთხოვნილი ხდება ადამიანი, რომელსაც გააჩნია ევრისტიკული პროცედურების განხორციელების უნარი, შეუძლია "ნოუ-ჰაუ"- ს გენერირება, გუნდში მუშაობა და თანამოაზრეების გუნდური მუშაობის ორგანიზება.

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები მიზნად ისახავს განათლებისა და მეცნიერების ხარისხის, რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სტაბილურობის ხელშეწყობი-სათვის.

3.1.1. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლება, როგორც პროფესიული განათლების მოქნილობისა და მიმზიდველობის გაზრდის ერთ-ერთი ფაქტორი

პროფესიული განათლების სისტემა 2014 წლიდან საგნებზე დაფუძნებული პროგრამებიდან გადავიდა მოდულური პროგრამებით სწავლებაზე, რაც სავარაუდოდ საგანმანათლებლო პროგრამებს გახდის მოქნილს, ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულს და კომპეტენციებზე დაფუძნებულს, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და თვითდასაქმებას.

ახალი სასწავლო პროგრამები საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ მრავალმხრივი ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და დასაქმების კარგი შესაძლებლობა. სასწავლო კურსები შემუშავებულია კერძო

დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით. პრაქტიკული სწავლების 50 პროცენტი ხორციელდება საწარმოებსა და ფერმერულ მეურნეობებში.

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის პილოტირება დაიწყო 2014 წელს, ხოლო 2015 წელს განხორციელდა 52 მოდულური პროგრამისა და მათში შემავალი 748 სავალდებულო პროფესიული მოდულის დანერგვის ღონის-ძიებები. 2015 წლის საშემოდგომო მიღებაზე 32-მა პროფესიული საგანმა-ნათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებამ (მათ შორის 10 უმაღლესმა საგანმანთლებლო დაწესებულებამ) შეიტანა განაცხა-დი 52 დასახელების 122 პროგრამაზე. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირდა და ტესტირება გაიარა 2873 აპლიკანტმა, საშემოდგომო მიღებისას სახელმწიფო დაწესებულებებში ჩაირიცხა 1154 სტუდენტი, ხოლო კერძოში - 109 სტუდენტი. 2016 წელს დარეგისტრირდა 5165 აპლიკანტი, ხოლო ჩაირიცხა 2720 სტუდენტი. მნიშვნელოვნად ჩანს მატება და ინტერესის გაზრდა მოდულური პროგრამების მიმართ.

მოდულურ პროგრამის საშუალებით სტუდენტი იძენს კონკრეტულ კვალიფიკაციას და სწავლის დასრულების შემდეგ იღებს დიპლომს. აღნიშ-ნული პროგრამა შედგება მოდულებისგან, თითოეული მოდულს გაყავს კონკრეტულ კომპეტენციაზე. მოდულებში გაწერილია ზუსტად ის კომპეტენციები, რომელსაც მოითხოვს დამსაქმებელი. მოდულების ჯაჭვი იძლევა საჭირო კვალიფიკაციას და იმის საშუალებას, რომ კონკრეტული მოდულის გავლის შემდეგ სტუდენტმა დაიმატოს ესა თუ ის კომპეტენცია.

ახალ მოდულურ პროგრამებში ჩართული არის დამსაქმებელი. აქედან გამომდინარე, დასაქმების შანსი უფრო დიდია. სტანდარტები ყალიბდება დამსაქმებლებისა და კოლეჯის პედაგოგების მონაწილეობით. დღეს ამ პროცესში ჩართულია 400-მეტი დამსაქმებელი, რომლებიც პედაგოგებთან ერთად ქმნიან სტანდარტებს. წლიდან წლამდე იზრდება პროფესიული განათლების მსურ-ველების რაოდენობა [18].

მოდულური პროგრამები უზრუნველყოფს თავსებადობას შრომის ბაზართან. თავდაპირველად იქმნება სტანდარტი პროფესიის აღწერით ანუ

იმით, თუ რას ელოდება დამსაქმებელი შესაბამისი პროფესიის მქონე ადამიანისგან, რა უნარებს, როგორ ცოდნას, რა სახის სამუშაოს შესრულებას. ამაში ჩართულია დამსაქმებელთა ფართო სპექტრი - მსხვილი და მცირე ბიზნესი, მეწარმეები, ასევე, დასაქმებულები. ისინი ერთად ქმნიან პროფესიულ სტანდარტს, რომლის საფუძველზეც იქმნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ანუ ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტი.

„პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამამ“ 2015 წელს დიდი სამუშაო გასწია მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების ხელშეწყობისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შექმნის კუთხითაც. ამ დრომდე პროფესიული განათლების სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი სასწავლო სახელმძღვანელოები იყო. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა 54 პროფესიული მოდულური პროგრამის (400-ზე მეტი პროფესიული მოდულის) და 5 ზოგადი მოდულის განხორციელებისთვის აუცილებელი სასწავლო მასალა. ყველა დასრულებული სახელმძღვანელო და გზამკვლევი გამოქვეყნებულია და ხელმისავდომია ვებგვერდზე: **www.vet.ge.**

იგეგმება რომ, 2019 წლიდან სისტემა სრულად გადავა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებზე. მთავარი სიახლე, რაც მოდულურ პროგრამებს შემოაქვს ესაა:

- ✓ სწავლის შედეგებზე ორიენტაცია,
- ✓ პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და სწავლება,
- ✓ შეფასების თანამედროვე მიდგომების დანერგვა.

სტუდენტებს, პროფესიის დასაუფლებლად რამდენიმე თეორიული საგნის შესწავლის ნაცვლად, კონკრეტულ პროფესიაზე მორგებული მოდულების გავლა მოუწევთ, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩამოყალიბებას ისეთ პროფესიონალებად, რომლებსაც დასაქმების მეტი პერსპექტივა ექნებათ. ამ მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები პირდაპირ უკავშირდება პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიით გათვალისწინებულ აქტივობებს.

აღნიშნულ სისტემაზე გადასვლამ გამოიწვია აუცილებელი ცვლილებები კანონმდებლობაში: აქამდე იყო საგნობრივი პროგრამები, რაც იმას ნიშნავს, რომ სასწავლებელი, საკუთარი მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, თავად შეიმუშავებდა საგანმანათლებლო პროგრამას. დღეს კი, რეფორმის სტრატეგიიდან გამომდინარე, გადასვლა ხდება მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე [3].

სიახლე ისიც არის, რომ მსურველებს სთავაზობენ ასევე არჩევით მოდულებს, რაც ზრდის დასაქმების შანსს. მაგალითისთვის ავიღოთ ის რომ, თუ ადამიანი თაბაშირმუყაოს სპეციალისტია, ვალდებული არაა შედუღების აპარატის გამოყენება იცოდეს, მაგრამ შეუძლია, არჩევითი მოდულის სახით, დამატებით შეისწავლოს შედუღება და საჭიროების შემთხვევაში აღარ დასჭირდება სპეციალისტის მოწვევა, ამას თავადაც შეძლებს.

მოდულური პროგრამები საკმაოდ ძვირად ღირებული პროგრამებია. თუ სასწავლებელს სათანადო რესურსი არ გააჩნია, მოდულური პროგრამის განხორციელების უფლებას ვერ მიიღებს. ყველა სასწავლებელი ადასტურებს, რომ რეფორმის ერთ-ერთი პოზიტივი სწორედ მათი ხელახალი აღჭურვა იყო, რაშიც სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად, დიდია დონორების წვლილი, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროფილის სასწავლებლებში, სადაც გაეროს განვითარების პროგრამაა დონორი.

2015 წელს გამოყოფილი თანხებით სასწავლებლებმა შეძლეს აღჭურვილობის განახლება, საჭირო მასალების შეძენა, ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, რომლის ავტორებიც ის ადამიანები არიან, რომლებიც სტანდარტის შემუშავებაზე მუშაობდნენ. ამგვარად, სტუდენტებმა ახალი პროგრამებით სწავლა დაიწყეს თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის გარემოში.

ახალი სასწავლო პროგრამები პასუხობს შრომის ბაზრის თითქმის ყველა მწვავე მოთხოვნას. თანამედროვე მოდულური მეთოდოლოგიით სწავლება წარიმართება შემდეგ სპეციალობებში.

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები:

- ბუღალტერ-ტექნიკოსი;

- სარეკლამო აგენტი
- სადაზღვევო აგენტი
- კონსულტანტ-გამყიდველი
- ღონისძიების მენეჯერი
- საბაჟო საქმის სპეციალისტი
- ოფისის მენეჯერი
- ბანკის მოლარე-ოპერატორი
- ბაგა-ბაღის აღმზრდელი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი
- ვებ ინტერფეისის დეველოპერი
- საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი
- ვებინტერფეისის დიზაინერი
- სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)
- დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი
- ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დაიგნოსტიკოს-შემკეთებელი
- კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი
- სისტემების ადმინისტრატორი
- მასაჟისტ-რეაბილიტატორი
- სასტუმრო საქმის სპეციალისტი
- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი
- ფილამწყობი
- არქიტექტორ-ტექნიკოსი
- ზეინკალ-სანტექნიკოსი
- მღებავი
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე
- სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი
- ტუროპერატორი
- ბართენდერი
- სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი

3.1.2. დუალური განათლება-სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

გერმანიაში პროფესიულ განათლებას მრავალწლიანი ტრადიცია და ისტორია აქვს, ის ჯერ კიდევ წინა საუკუნის დასაწყისში დაიწყო. დღეს ამ ქვეყნის ეკონომიკა მზარდი და დინამიურია, ამიტომ მუდმივად მოითხოვს კვალიფიციურ კადრებს. გერმანული პროფესიული განათლების დუალური სისტემა სრულიად განსხვავებულ გზას გვთავაზობს. ეს მოდე-ლი იძლევა პროფესიული განათლებიდან შრომის ბაზარზე გადასვლის საკმაოდ წარმატებულ შესაძლებლობას, რაც რამდენიმე სტრუქტურულ საფეხურს მოიცავს. პროფესიული დუალური განათლება ორ მთავარ ადგილზე მიმდინარეობს, ერთი ადგილია პროფესიული საგანმათლებლო დაწესებულება, სადაც სტუდენტი პროფესიისათვის აუცილებელ თეორი-ულ ცოდნას იღებს, ხოლო მეორე ადგილია კომპანია/საწარმო, სადაც სტუდენტი პროფესიის დაუფლებისათვის საჭირო უნარებს ივითარებს.

გერმანიაში პროფესიულ განათლებას კოორდინაციას უწევს პროფე-სიული განათლების ფედერალური ინსტიტუტი. პროფესიული განათლე-ბის პარლამენტში წარმოდგენილია ოთხი თანაბარი უფლების მქონე მხარის წარმომადგენლობა: დამსაქმებლები, სოციალური პარტნიორები, ფედერა-ლური მთავრობა და ადგილობრივი მთავრობა. ყველას აქვს თანაბარი უფლება მონაწილეობა მიიღოს ახალი სტანდარტების შექმნაში, საკანონ-მდებლო ცვლილებების შეტანაში პროფესიულ განათლებაში, ახალი სამუ-შაო ადგილების მოძიებაში.

პროფესიული განათლება საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობს, მისი მიმზიდველობა წინ უსწრებს საუნივერსიტეტო განათლებას. გერმანიაში ახალგაზრდების დიდი ნაწილი ირჩევს სწორედ პროფესიულ განათლებას, რადგან მისი მიმზიდველობის საიდუმლო სწრაფ დასაქმებაში მდგომარეობს.

პროფესიული განათლების სტუდენტი პირველივე დღიდან, ანუ საწარმოსთან ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, დასაქმებულად ითვლება. მართალია, მისი ანაზღაურება პირველ წელს დაბალია, სამაგიეროდ იძენს საჭირო უნარს და გამოცდილებას. ეს ფაქტი

ახალგაზრდებისთვის ძალიან საინტერესო და მომხიბვლელია. გერმანიის სტატისტიკოსების მიხედვით დუალური პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 95 % შეადგენს. საწარმოში მისი პირველი წლის შემოსავალი დაახლოებით 795 ევროს შეადგენს [19].

პროფესიული დუალური განათლების მთავარი მონაწილეები არიან: სახელმწიფო, პროფესიული საგანამათლებლო დაწესებულება, კომპანია/საწარმო და სტუდენტი. ოთხივე ჩართულია პროცესში და ელოდება საკუთარი სარგებლის მიღებას. სტუდენტთა მოტივაცია საკმაოდ მაღალია, ყველას უნდა პრაქტიკული კვალიფიკაციისა და გარანტირებული სამუშაო ადგილის მიღება.

კომპანიის/საწარმოს მოტივაცია იმაში მდგომარეობს, რომ ის თვითონ ზრდის პერსონალს, რომელიც ესაჭიროება კომპანიის წარმატებისთვის, მან კონკრეტულად იცის რა, პროდუქტი სჭირდება და თავად ქმნის მას. სახელ-მწიფო არ აფინანსებს სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას კომპანიაში. ამ ხარჯებს მთლიანად საწარმო იღებს თავის თავზე. საწარმოები ასევე ისმენენ ახალგაზრდა კადრების ინოვაციურ შეთავაზებებს და საჭიროებისამებრ ითვალისწინებენ პრაქტიკაში. იმ საწარმოებს, რომლებიც ჩართული არიან დუალურ პროფესიულ განათლებაში, უფლება აქვთ, იყვნენ პროფესიული განათლების პოლიტიკის ნაწილი. ისინი თანამშრომლობენ ახალი სტან-დარტების შემუშავებაში და მონაწილეობენ პროფესიული სასწავლებლების შეფასებაში. საზოგადოებისთვის პრესტიჟის მაჩვენებლია ის, რომ საწარმოები და კომპანიები უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების პრაქტიკულ ნაწილს. ამით იზრდება მათი ცნობადობა, პრესტიჟი, შემოსავალი. მესამე მთავარ აქტორს, სახელმწიფოს, დუალურ პროფესიულ განათლებაში მარეგულირებელის როლი აკისრია და პროცესის ხელშეწყობისთვის თავისი მოტივაცია გააჩნია.

კერძოდ, ეკონომიკური განვითარებისთვის სახელმწიფოს ესაჭიროება მაღალკვალიფიციური კადრები, ახალგაზრდების დასაქმებით და შესაბამისი გადასახადების მიღებით სახელმწიფო ძლიერდება და იზრდება საზოგადოებრივი კეთილდღეობა. სახელმწოფო პასუხისმგებელია

დაინტერესებულ მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევით. ის სრულად აფინანსებს სტუდენტების თეორიული განათლების მიღებას პროფესიულ საგანამათებლო დაწესებულებებში. სახელმწიფო პასუხისმგებელია იმაზეც, რომ არ არსებობდეს საგანმანათლებლო ჩიხები და პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაში გადასვლის შესაძლებლობა ღია იყოს მსურველებისთვის. სახელმწიფო, ასევე, ახორციელებს პროფესიული დუალური განათლების მონიტორინგსა და ხარისხის შემოწმებას მისი ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით. პროფესიული დუალური განათლების პრესტიჟზე განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს სტუდენტთა დამამთავრებელი გამოცდების დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა [20].

სტუდენტი სწავლის განმავლობაში საშუალოდ 60%-ს ატარებს საწარმოში/კომპანიაში და ტრენერის ზედამხედველობის ქვეშ ადგილზე სწავლობს პროფესიას. პროფესიული განათლების დუალური სწავლების საფუძველია სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს. სასწავლო გეგმაში გაწერილია, რა უნდა შეისწავლოს სტუდენტმა სასწავლებელში და რა უნარები უნდა განავითაროს საწარმოში.

კომპანიაში სწავლისას სტუდენტი ეუფლება პროფესიას სამუშაო გარემოში, სადაც მას ეხმარება კომპანიის ტრენერი, კომპანიის სხვა კოლეგები და სპეციალისტები. ამიტომაც დუალურ განათლებაში ორი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა: მასწავლებელი და საწარმოს ტრენერი.

დუალურ პროფესიულ განათლებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც პროფესიული საგანამთლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, ასევე კომპანიის/საწარმოს ხელმძღვანელიც. პროფესიული მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია კანონით, მასწავლებელთა სწავლება მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს თეორიულ საუნივერსიტეტო სწავლებას, ხოლო მეორე ეტაპი კი ითვალისწინებს პრაქტიკული სწავლების გავლას. კომპანიის ტრენერები გადიან სპეციალურ გადამზადების კურსს, რათა მოიპოვონ კომპანიის ტრენერის

უფლება. ორმაგი განათლების ძირითადი პრინციპია - საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საწარმოების თანაბარი პასუხისმგებლობა სწავლების ხარისხზე.

საქართველოში დუალური განათლების პილოტირება დაიწყო 2016 წლის შემოდგომაზე. მეღვინეობა და მევენახეობაა ის ეფექტური მიმართულებებია, სადაც დუალური სწავლება დაინერგა გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციის წამოწყებით და 10 ქართული ღვინის კომპანიის მონაწილეობით. დღეს დუალურ განათლებაში ჩართულები არიან ახალციხის, სენაკის, კაჭრეთის და წინამძღვრიანთკარის კოლეჯები, სადაც დაიწყო მეცხოველეობის, მეღვინეობის და მეხილეობის მიმართულებით პროგრამების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს უყალიბდებათ უფრო მაღალი უნარ-ჩვევები, რადგანაც სწავლის უმეტეს ნაწილს გადიან საწარმოში. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობა სახელმწიფოსათვის ის არის, რომ პროფესიული განათლება გახდება რელევანტური და გაუმჯობესებული, ხელი შეეწყობა დასაქმებას და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. სტუდენტისთვის უპირატესი იმით არის, რომ ეხმარება საჭირო ცოდნისა და სპეციალიზებული, ტრანსფერული, სოციალური უნარების შეძენაში, დასაქმებაში და სამუშაო მოთხოვნების გააზრებაში. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობით დამსაქმებელიც იღებს სარგებელს კვალიფიციური მუშაკების, ხარჯების შემცირებისა და წარმოების პროცესში სტუდენტების ჩართვისგან მიღებული შემოსავლის სახით. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებები კი რეგულარულად მიიღებენ ახალ ცოდნას ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური სიახლეების შესახებ, ექნებათ წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე, ექნებათ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა, საბოლოოდ კი მიიღებენ პროფესიული განათლების გაუმჯობესებულ იმიჯსა და მიმზიდველობას [20].

თავი 4. პროფესიული განათლების მდგომარეობა თანამედროვე საქართველოში

გარდამავალ პერიოდში საქართველოს პროფესიული განათლების სფერო მრავალ პრობლემას მოიცავს, ისეთებს, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლები შესაბამისობა შრომის ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნებთან; პროფესიული განათლების სფეროში პედაგოგიური კადრების მომზადების, პროფესიული განათლების მასწავლებლის (როგორც თეორიულის, ასევე პრაქტიკულის) პროფესიაში შესვლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების სისტემის არარსებობა; დაბალი და განსხვავებული ხარისხის პროფესიული კვალიფიკაციები; დამსაქმებლებისა და საგანმანათლებლო ინსტიტუტების მხრიდან კვალიფიკაციების აღიარების პრობლემა როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დონეზე; პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დასაქმების განსხვავებული პერსპექტივები მაღალანაზღაურებად და პიროვნულად საინტერესო პოზიციებზე კარიერის შემდგომი განვითარების პერსპექტივით; პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ პროფესიული განათლება ნაკლებად მიმზიდველი და წამახალისებელი ალტერნატივაა მოსახლეობისთის, დამსაქმებლები კი კადრების შერჩევისას პროფესიულ განათლებას შერჩევის წინაპირობად ნაკლებად განიხილავენ.

არსებული გამოწვევების წარმატებით დაძლევამ უნდა განაპირობოს სტრატეგიით განსაზღვრული შედეგების მიღწევა, ხოლო სტრატეგიის დანერგვის შედეგად კი - დასახული მიზნების განხორციელება. ეს მიზნებია: შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მოქნილი და ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და მომავალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის; მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრულიად თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქ-

მებისათვის კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით [18].

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელიც განათლების სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელია და პროფესიული განათლების სისტემის მართვა აკიკსრია, სჭირდება შესაბამისი რესურსები, რათა ეფექტიანად უზრუნველყოს სისტემის მართვა და მონიტორინგი, ინფორმაციის მობილიზება და გაცვლა (სტატისტიკა, ანალიზი, ინდიკატორების მიხედვით შეგროვებული ინფორ-მაცია). არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს განათლებისა და მეცნი-ერების სამინისტროს მხრიდან დასახული მიზნების მიღწევის ღონისძი-ებების რეგულარული შეფასება, სადაც საჭიროა მიდგომების გადახედვა და შესწორებების შეტანა.

4.1. მენტალური თავისებურებები საქართველოს პროფესიულ განათლებაში

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში დიდ როლს ანიჭებენ პროფესიულ განათლებას, რადგან თვლიან, რომ სწორედ ის არის მათი წარმატების ერთ-ერთი წინაპირობა. ჩვენ ქვეყანაში 2011 წლიდან დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობათა გაზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი ხარისხი და მათი შესაბამისობა სამუშაო ბაზრის ამჟამად არსებულ და მოსალოდნელ მოთხოვნებთან. უამრავი ორგანიზაცია, სხვადასხვა სააგენტოები ჩართულნი არიან პროფესიული განათლების განვითარებაში.

საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა - პროფესი-ული განათლების რეფორმა - სრულებით წარმოუდგენელია საშუალო, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემის სრულყოფის გარეშე. აღნიშნულ სფეროებში მიმდინარე რეფორმები კარგ ფონს ქმნის პროფესი-ული განათლების რეფორმირებისათვის. უკვე არსებობს განათლების სის-ტემის ცალკეული სექტორების რეფორმირების გარკვეული გამოცდილება.

გასათვალისწინებელია, რომ დღეს საქართველოში ჭარბობს მოთხოვნა ისეთ სამუშაო ადგილებზე, რომელიც ეხება ვაჭრობასა და მომსახურების სფეროს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებით, საშუალოდ, ყოველ წელს ქვეყანაში აღირიცხება დაახლოებით 100 000 სტუდენტი, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იღებს განათლებას, ხოლო ყოველწლიურად, კურსდამთავრებულთა რაოდენობა 25 000-მდე ადამიანს შეადგენს. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოში ოფიციალურად 130 002 სტუდენტია რეგისტრირებული, ხოლო კურსდამთავრებულია 22 000 სტუდენტი.

საქართველოს საზოგადოებას კვლავ აქვს მენტალური პრობლემები პროფესიული განათლების კუთხით. საზოგადოების ნაწილში კვლავ დომინანტურია ძველი საბჭოთა პერიოდის სტერეოტიპები, როდესაც პროფესიული განათლება ითვლებოდა დაბალი აკადემიური მოსწრების ბავშვების თავშესაფრად და იქ სწავლა ასოცირდებდა დასჯასთან. წლების მანძილზე თუ საუკუნეების არა, საქართველოში მხოლოდ უმაღლესი განათლების ქონა და სამწუხაროდ ეხლაც ითვლება პრესტიჟულად. ასევე რამოდენიმე პროფესია ითვლებოდა პრესტიჟულად, მიუხედავად იმისა, რომ არც თუ ისე ბევრი ადამიანი საქმდებოდა ამ პროფესიებით და პროფესიონალად ყალიბდებოდა. უმაღლესი განათლება - ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც მშობელი ყველაფერს აკეთებდა, რომ მის შვილს უმაღლეს სასწავლებელში ესწავლა, ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ ირკვეოდა, რომ თურმე შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა უმრავლესობას სულაც არ სჭირდებოდა იმ რაოდენობის უმაღლესი განათლების მქონე კადრი, რასაც სასწავლებლები უშვებენ. შრომის ბაზარზე ისეთი კადრების სერიოზული დეფიციტია, როგორიცაა ელექტრიკოსი, შემდუღებელი, ციფრული ტექნიკის შემკეთებელი, სანტექნიკი, ავტოტექნიკოსები და ა.შ.

სახელმწიფომ უნდა იმუშაოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე და დაანგრიოს ის სტერეოტიპი, რომ უმაღლესი განათლების დიპლომი არის წარმატებული მომავლის გარანტი.

ქართველი თავის ცნობიერებაში არიდებს თავს არასაუნივერსიტეტო განათლებას. სულ სხვა მდგომარეობაა განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, 2013 წელს გერმანიის სკოლადამთავრებულთა დაახლოებით 60%-მა აირჩია პროფესიული განათლება, რამაც აჩვენა, რომ პროფესიული განათლება გერმანელი ახალგაზრდების ყველა თაობის ტრადიციული არჩევანია. შესაბამისად, საზოგადოებაც მას პატივს სცემს. აქ აშკარად ჩანს განსხვავება ჩვენსა და გერმანელებს შორის. ჩვენთან პროფესიულ კოლეჯში ჩაბარება ასოცირდება წარუმატებლობასთან. ასეთი დამოკიდებულება ჯერ კიდევ ცოცხლობს ქართველ საზოგადოებაში. საქართველოს მთავრობის პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის ფარგლებში 2015 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 73%-ს სურს, მისმა შვილმა უნივერსიტეტი დაამთავროს.

უმუშევრობა მოსახლეობის პრობლემას წარმოადგენს და ის აღიარებულია ქვეყნის ყველაზე დიდ გამოწვევად. თუ საქართველოში დაინერგება სწორი პროფესიული სწავლების სისტემა, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უარყოფითი დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ თანდათან გაქრება. საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული პროფესიული განათლების მნიშვნელობა. პროფესიული განათლება არის უმოკლესი გზა დასაქმებისკენ, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების გაზრდას, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. დღესდღეიბით უამრავი უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდაა, რომელსაც რეალურად არ გააჩნია პროფესია და შესაბამისად ვერ საქმდება. საჭიროა გავიაზროთ, რომ მთავარია იყო შენი საქმის პროფესიონალი და დასაქმდე. თუმცა, თუ პროფესიული განათლების მქონე ადამიანმა გადაწყვეტა უმაღლესი განათლების მიღება, მას არ უნდა შეხვდეს ბარიერი. მეორე ბარიერი, რაც პროფესიულ განათლებაში არსებობს, ეს არის სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან არ განთავისუფლება. მიზანშეწონილად მიმაჩნია განმეხილა ეს საკითხი, რომელიც ეხება იმ სტუდენტთა რიცხვს, ვინც პროფესიულ სასწავლებელში აბარებს და შემდეგ სწავლას ვერ, ან არ ახერხებს. ერთ-ერთი მთავარი მიზანი სტუდენტისთვის პროფესიულ

სასწავლებელში ჩაბარებისა, არის სწრაფი დასაქმება.

ადამიანს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ თავად აირჩიოს მისთვის მისაღები პროფესია, იქნება ის უმაღლესი თუ პროფესიული განათლებით მიღებული. საზოგადოების მენტალობიდან გამომდინარე, ეს კვლავ პრობლემური საკითხია. ამ პრობლემის გადაჭრა სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს და უმტკივნეულოდ იმუშაოს საზოგადოების ცნობიერებაზე. საზოგადოებამ უნდა გაიგოს ევროპის წარმატებული ქვეყნების მაგალითები, სადაც პროფესიული განათლება ისეთივე პრესტიჟული და წარმატებულია, როგორც უმაღლესი განათლება, კურსდამთავრებული ადამიანები არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათი დასაქმების პერსპექტივაც ისეთივე მაღალია. წარმატებული ქვეყნების მაგალითების მეშვეობით საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ქვეყნის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარება პირდაპირ კავშირშია განათლებული და პროფესიონალი კადრების ყოლასთან.

ამ კუთხით მენტალური პრობლემები მეტად აქტუალურია საქართველოს რეგიონებში. რეგიონში მცხოვრები ადამიანების უმეტესობა ცდილობს უმაღლესი განათლების მიღებას, თუმცა მათი არც თუ დიდი ნაწილი ახერხებს მიღებული ცოდნის გამოყენებას მომავალში და მათ არასპეციალობით დასაქმება უწევთ. ისინი ცდილობენ სხვადასხვა ხელობის თვითნებურად დაუფლებას მომავალში დასაქმების მიზნით, თუმცა ვეღარ ახერხებენ პროფესიონალებად ჩამოყალიბებას შესაბამისი განათლების არქონის გამო. საზოგადოების სხვა ნაწილი ხშირ შემთხვევაში უარს ამბობს უმაღლესი განათლების მიღებაზე არასაკმარისი ფინანსური სახსრების ან სწავლის პოტენციალის არქონის გამო. შედეგად ვღებულობთ, დაუსაქმებელ უმაღლესდამთავრებულ პროფესიუონალებს, რადგან შრომის ბაზარზე არ არის იმდენი სამუშაო ადგილი, რამდენიც მსურველია და იმ პროფესიული კადრების ნაკლებობას, რაც შრომის ბაზრს რეალურად სჭირდება. თუმცა, ბოლო დროს ეს მენტალური პრობლემა ნელ-ნელა იცვლება და მისი ნათელი მაგალითია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კრიმინალისტ“ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთანჩემ მიერ

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ უმაღლეს დამთავრებულებიც აბარებენ ამ პროფესიაზე, ეს განპირობებულია დასაქმების მოტივაციით. კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) პროფესიული სწავლება 2010 წლიდან ამოქმედდა ქვეყანაში, რომელიც საშუალებას იძლევა ამაღლდეს სტუდენტთა პროფესიული მომზადება და დაუახლოვდეს თანამედროვე სტანდარტებს. დღეისათვის კრიმინალისტურ პროფესიულ სწავლებას ახორციელებს რამდენიმე ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებელი და კოლეჯი. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლისა და კოლეჯის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან სტუ-ს კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკური საშუალებებით.

სასწავლო პრაქტიკის წარმატებით გავლის შემთხვევაში კრიმინალისტის პროფესიული სტუდენტი შეძლებს დამოუკიდებლად, კანონმდებლობის სრული დაცვით, ჩაატაროს ყველა საგამოძიებო მოქმედება, დაგეგმოს და წარმართოს შედეგიანი გამოძიება.

კრიმინალისტის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისა-დ ქვეყანა მიიღებს მაღალკვალიფიციურ, პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტს, რომელიც იმავდროულად ჩაერთვება გამოძიების პრო-ცესში და ქმედით დახმარებას აღმოუჩენს სამართალდამცავ სისტემას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი უკვე რამოდენიმე წელია ახორციელებს „კრიმინალისტის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისთვის შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელიც პროგრამაზე იყო მორგებული. კითხვარი საკმაოდ ღრმა და ყოვლისმომცველი იყო, რამაც არსებული ვითარების უკეთ გაგების საშუალება მოგვცა. გამოკითხვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმის გაგება, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას პროფესიული განათლების და, კერძოდ, კრიმინალისტის პროფესიის მიმართ. გამოიკითხა 50 სტუდენტი.

კითხვარი მოიცავს 10 თემატურ კითხვას. გამოკითხული სტუდენტების 40% აღნიშნავს, რომ მათ აირჩიეს პროფესიული სასწავლებელი

ინტერესის გამო, დანარჩენ გამოკითხულთა პასუხები შემდეგნაირად არის გადანაწილებული: გამოკითხულთა 18%-ს ურჩიეს პროფესიული სასწავლებელი, 18%-სთვის პრიორიტეტულია უფასო სწავლების გამო და 24%-ს სურს კონკრეტული პროფესიის დაუფლება. 90 %-ს აინტერესებს უშუალოდ კრიმინალისტის პროფესია, 4% თვლის, რომ ეს პროფესია საკმაოდ დასაქმებადია და 6%-სთვის ეს პოპულარული პროფესიაა. 86% ძალიან კმაყოფილია თავისი არჩევანით, 12% კმაყოფილია, 2% კი სწავლების დონეს აფასებს საშუალოდ. რაც შეეხება სწავლის დონის შეფასებას, 54% ძალიან კმაყოფილია, 26% კმაყოფილია და 20%-ისთვის კი - საშუალოა. გამოკითხულთა 50% თვლის, რომ ამ პროფესიის მქონე სპეციალისტების დასაქმების პერსპექტივა დიდია საქართველოში, 22%-ს მიაჩნია, რომ ამის ალბათობა საშუალოა, 1%-სთვის დასაქმება საერთოდ არ არსებობს, 28%-ს საერთოდ უჭირს პასუხის გაცემა. 78% სწავლების დასრულების შემდგომ თავიანთი თავის დასაქმების პერსპექტივას ხედავს სახელმწიფო სექტორში, ხოლო 2% - კერძო სექტორში, 20% კი უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. კითხვაზე, თუ რამდენად მისაღებია ეს პროფესია სტუდენტების ოჯახის წევრებისათვის, მიღებულია შემდეგი პასუხები: 90%-ის ოჯახის წევრებისთვის სავსებით მისაღებია, 8%-ისთვის ნაწილობრივ არის მისაღები, 2%-ისთვის მიუღებელია და 2% -ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. გამოკითხულთა 72% თვლის, რომ საქართველოში პროფესიული განათლება პრესტიჟულია, 8%-ს მიაჩნია, რომ პრესტიჟულობის დონე საშუალოა, 12%-ისთვის ის არაპრესტიჟულია და 8% -ს უჭირს ამაზე პასუხის გაცემა. 98% მზად არის მეგობრებს ურჩიოს აღნიშნული პროფესია და სასწავლებელი. 10% უპირატესობას ანიჭებს პროფესიულ განათლებას, 14%-ბაკალავრიატს, თუმცა, გამოკითხულთა 72%-სთვის ორივეა პრიორიტეტული, 4 % კი უჭირს პასუხის გაცემა. (იხ.დანართი 7).

ჩატარებულმა გამოკითხვამ საშუალება მოგვცა მიგვეღო საკმაოდ ნათელი სურათი ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე პროფესიული განათლების და უშუალოდ კრიმინასტის პროფესიის კუთხით. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის საინტერესოა პროფესიულ სასწავლებელში სწავლა და, ასევე, დიდი ნაწილისათვის ეს პრესტიჟულია. ძალიან

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უმეტესობა ხედავს დასაქმების პერსპექ-ტივას, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორში. სავარაუდოდ, ეს განპირობებულია ბოლო წლებში პროფესიული განათლების სისტემაში ჩატარებული რეფორმებით, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ამ დარგში და ეს კვლავ მიმდინარე პროცესია. საზოგადოება კარგად არის ინფორმირებული, პოპულარიზაციაში ჩართულია ტელევიზია და მასმედიის საშუალებები, ხორციელდება უამრავი პიარ კამპანიები და, შესამაბისად, აქტიურობაც დიდია. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო აფინანსებს ყველა სახელმწიფო დაწესებულების პროგრამებს და შესაბამისად ამან განაპირობა აქტიურობის მაღალი რიცხვი. საზოგადოების ყველა ფენას ეძლევა უფასო სწავლის შესაძლებლობა და სასურველი პროფესიის დაუფლება. გამოკი-თხვის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ ბევრი სწორედ უფასო სწავლების გამო ირჩევს პროფესიულ განათლებას და თვლის, რომ ამ გზით შესაძლე-ბელია კონკრეტული პროფესიის დაუფლება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამის წარჩინებული კურსდამთავრებულები საქმდებიან პოლიციის კრიმინალისტიკის დეპარტამენტში, რომელიც ყოველ წელს 5, 6 კურსდამ-თავრებულს ასაქმებს თავისთან. ეს ფაქტორი დადებითად მოქმედებს სტუდენტებზე, მათ ეძლევად სტიმული გავიდნენ სწავლის კარგ შედეგზე, რათა შეძლონ შემდგომში დასაქმება.

სახელმწიფომ აქტიურად უნდა იმუშავოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე მთელი ქვეყნის მაშტაბით. საზაგადოებამ უნდა შეიგ-ნოს, რომ განათლებაზეა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი ეკონომიკა და ჯანდაცვა, უნდა დაინგრეს ყველა ის სტერეოტიპი, რაც წარსულში უკავშირ-დებოდა პროფესიულ განათლებას, ადამიანებმა უნდა შეხედონ პროფესი-ულ განათლებას, როგორც თვითრეალიზაციის და უკეთესი მომავლის პერ-სპექტივას.

უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანი ფუნქციო-ნირების ერთ-ერთი პირობაა პროფესიული ორიენტაციის სისტემის ჩამოყა-ლიბება. განათლების რეფორმის მთავარი მიდგომა იყო განათლების სისტემისთვის შედეგზე ორიენტირებული, გამჭვირვალე, შეჯიბრებითო-

ბისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის შექმნა.

4.2. პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში

ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში ნელ-ნელა ყალიბდება მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორი. თანდათან იხვეწება მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრუქტურა. ჩვენ ქვეყანაში საბაზრო სისტემისა და ბიზნეს სექტორის განვითარებაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ რეგისტრირებულ საწარმოთა შორის უმრავლესობა კერძოა. კარგი იქნება, თუ საქართველო გამოიყენებს მსოფლიო გამოცდილებას, მოახდენს მცირე ბიზნესის განვითარებას და მხარს დაუჭერს წარმატებული უცხოური მოდელების დანერგვას. ამისთვის აუცილებელია ეროვნული, ტერიტორიული, კლიმატური, საწარმო და ინფრასტრუქტურული სპეციფიურობების, აგრეთვე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება [1].

საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის აღსადგენად ბოლო წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა, რომელიც ხელისუფლების და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან იქნა დაფინანსებული.

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების საჭიროების, მიზანშეწონილობისა და განხორციელების საკითხების შემსწავლელი კომისიის“ რეკომენდაციით, საქართველოს რეგიონებში ტრენინგების საჭიროების შესახებ ჩატარებული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა ახალი კოლეჯების დაფუძნების საჭიროება. პირველ ეტაპზე დაიგეგმა 26 ახალი კოლეჯის გახსნა, რომლებიც უპასუხებენ საქართველოს რეგიონებში არსებულ სოციალ-ეკონომიკურ გამოწვევებს და განავითარებენ მაღალი ხარისხის სერვისს.

აღნიშნული ინიციატივის განხორციელების მიზნით დაგეგმილია ყოველ წელს მინიმუმ ერთი პროფესიული კოლეჯის დაარსება. ამასთან ერთად, დამატებით იგეგმება არსებული კოლეჯების ეფექტიანობის შეფასება,

მათი განვითარების გეგმების რეგიონულ საჭიროებებთან მისადაგება, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და აღჭურვა. ასევე ხელი მოეწერა საპროექტო დოკუმენტს: „პროფესიული განათლებისა და სწავლების და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ექსტენციის სისტემების მოდერნიზება“ [21].

პროექტის მიზანია, წვლილი შეიტანოს მაღალი ხარისხის პროფესიული სწავლებისა და სოფლის მეურნეობაში ექსტენციის სისტემების განვითარების საქმეში, რაც საბოლოოდ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში აისახება:

- 10 000 ფერმერს ექნება წვდომა;
- ხელი შეეწყობა კვალიფიციური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის მრავალმხრივი სისტემების შექმნას;
- ფერმერებისთვის სხვადასხვა ტრენინგებისა და სერვისების შეთავაზებას და მათთვის პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გადაცემას ქვეყნის პარტნიორების და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროექტების დახმარებით;
- კერძო და საჯარო სექტორის გაძლიერებით პროექტი ხელს შეუწყობს საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობისა და პარტნიორობის მოდელის ჩამოყალიბებას სოფლის მეურნეობაში, პროფესიული განათლებისა და სწავლების, აგრეთვე, საკონსულტაციო მომსახურების კოორდინაციისა და მიწოდების გზით;
- მოიხაზება საჯარო და კერძო სექტორის დაინტერესებული მხარეების ფინანსური რეზიუმე, მოიზიდება საერთაშორისო გრანტები (UNDP, SDC) [22].

ამჟამად განათლების სამინისტრო აქტიურად ჩართულია ინკლუზიური განათლების პროექტში და ბევრ სიახლეს გეგმავს. შექმნილია საკონსულტაციო ჯგუფი, რომელშიც შედის არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები და თავად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები. დაწყებულია ფიზიკური სივრცის ადაპტირების პროცესი. უმეტეს შემთხვევაში არსებული პროფესი-

ული საგანმანათლებლო შენობები და მიმდებარე ტერიტორია არ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასწავლებელში შექმნილია ინკლუზიური გარემო, სასწავლებლამდე მისვლა კვლავ მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საჭიროებებს.

პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ახალი რეგულაციების შემუშავება და გამოყენება როგორც პოლიტიკის, ასევე პრაქტიკის დონეზე. ასევე, საჭიროა ექსპერტებისა და მშობლების მოსაზრებების გათვალსწინება.

2009-2011 წლებში ჩატარებული კვლევის - „გზა ინკლუზიისკენ-ბარომეტრი“-ის ინკლუზიური პროფესიული განათლების შეფასების კითხვარი და მეთოდოლოგია ქვეყანაში ინკლუზიური განათლების პროცესის წარმოჩენის საშუალებას იძლევა. დაწყებულია პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა ტრენინგი ინკლუზიური პროფესიული განათლების საკითხებზე. განხორციელებულია პროფესიული სასწავლებლების კარიერის დაგეგმვის, სპეციალისტების, რესურს-ცენტრის თანამშრომლებისა და სხვათა ერთობლივი ტრენინგი. დასაქმების პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების გათვალისწინებით მიზნით აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან [23].

იმისათვის, რომ ინკლუზიურ განათლებაში შესაძლებლობები იყოს გათანაბრებული, საჭიროა:

- განათლება იყოს ხელმისაწვდომი
- განათლება იყოს სტუდენტზე ორიენტირებული
- განათლება იყოს ადაპტირებადი
- განათლება იყოს აღიარებული
- განათლება იყოს ყველაზე ორიენტირებული
- შშმ პირებმა მიიღონ შესაბამისი ცოდნა.

ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი ითვალისწინებს პირის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას, მიუხედავად იმისა, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებელი გააჩნია მას.

პირებს, რომლებსაც აქვთ გარკვეული სირთულეები სწავლის პროცესში, ესაჭიროებათ სასწავლო პროცესის ადაპტაცია, რაც გულისხმობს:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაციას

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაცია და/ან სასწავლო გარემოს და პირობების შეცვლა სასწავლო მიზნებში ცვლილებების შეტანის გარეშე;
- და/ან დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება;
- ინკლუზიური პროფესიული განათლებისათვის პირობების შექმნა, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
- განათლების მნიშვნელობის ხაზგასმა;
- დასაქმების ალბათობის გაზრდა მიღებული კომპეტენციების ხარჯზე;
- პროფესიული უნარ-ჩვევების რეალიზება.

ექსპერტებისა თუ მშობლების აზრით, მრავალი ბარიერი არსებობს, რომლებიც ხელს უშლის აღნიშნული მოდელით ეფექტური და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას. ერთ-ერთ ასეთ ბარიერს წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში სამეცნიერო კვლევათა სიმცირე, რომლებიც ობიექტურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას უზრუნველყოფდნენ ინკლუზიური განათლების სფეროში არსებული მიღწევებისა თუ პრობლემების შესახებ [24].

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ფინანსური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით პროფესიული განათლების სისტემაში დაიწყო ინკლუზიური განათლების დანერგვა. პროცესი პროფესიული გა-

ნათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების პარალელურად ხორციელ-დება, რათა უზრუნველყოს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისთვის. აღ-ნიშნული ინიციატივით სამინისტრო ეხმიანება შეზღუდული შესაძლებლო-ბის მქონე (შშმ) პირთა უფლებების კონვენციას და უზრუნველყოფს შშმ პირთა კონვენციით განსაზღვრული ფუნდამენტური უფლებების დაცვას [25].

შესაძლებელია გამოვყოთ ბოლო წლებში ზოგადი განათლების საფე-ხურზე მიღწეული შედეგები:

- გაიზარდა სკოლებში სსსმ პირთა რაოდენობა;
- არსებობს და გაფართოებული შემადგენლობით მუშაობს მულტი-დისციპლინური გუნდი;
- თითოეულ კოლეჯში დაფუძნდა ინკლუზიური პროფესიული გა-ნათლების მხარდამჭერი გუნდები, გუნდები, რომელთა შემადგენ-ლობაში შედიან ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეცი-ალისტები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტები;
- დაინერგა სსსმ პირთა შეფასების ინსტრუმენტები:
- სკოლებში დასაქმდნენ სპეცმასწავლებლები;
- გაიზარდა ინტეგრირებული კლასების რაოდენობა;

ზოგადი განათლების საფეხურის გარდა, შშმ/სსსმ პირებს საშუალება მიეცა უფრო მაღალი საფეხურის განათლების მიღება, რაც გულისხმობს მაგისტრატურას.

2013 წლიდან უფრო მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭირო-ების მქონე პირი გამოთქვამს სურვილს, მიიღოს პროფესიული განათლება. ამას გვიდასტურებს დადებითი დინამიკა, მაგალითად 2013 წელს 51 ჩარიცხული სტუდენტი იყო, 2016 წელს კი მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა (საგაზაფხულო მიღებაზე ჩაირიცხა 84 სტუდენტი, ხოლო შემოდგომაზე 178 სტუდენტი.

პროფესიული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა რაოდენობა



2013 წლის შემოდგომის მიღებიდან დღემდე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯამში ჩაირიცხა 688 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი.

საკანონდებლო პლატფორმის დონეზე მომზადდა პროფესიული განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი. აღნიშნული ცვლილებები საშუალებას იძლევა დოკუმენტი იყოს შესაბამისობაში გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებთან და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების პროცესის სრულფასოვანი რეგულირება [26].

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პირველად 2015 წელს იქნა მიღებული სამი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მომდევნო 2016 წელს კი ეს რიცხვი ორჯერ გაიზარდა. დღეის მდგომარეობით ექვსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სწავლობს ოთხ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ეს პროგრამებია: ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, ავტომობილის დიაგნოსტიკოსი, პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმი და დამატებით დაუყოვნებელ რეაგირებას ახდენს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებაზე. ამ სერვი-

სების უზრუნველყოფით იზრდება სტუდენთა სასწავლო პროცესში ჩართულობა, თანამონაწილეობა და მიწოდებული პროფესიული განათლების ხარისხი.

2014-2015 წლებში სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირთათვის დაიგეგმა მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმები: მაგალითად, პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხულ ყველა ყრუ სტუდენტს ემსახურება ჟესტური ენის თარჯიმანი, უსინათლო სტუდენტებისათვის გამოყოფილია მობილობისა და ორიენტაციის ტრენერი, ხოლო ფიზიკური შეზღუდვის მქონე სტუდენტებს ემსახურებათ პირადი ასისტენტი, რომელიც ასევე მათ ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს. პროცესში ჩართულია ინკლუზიური განათლების 20 სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, რომელიც სასწავლო პროცესში პედაგოგებს დახმარებას უწევს ინდივიდუალური მიდგომების განხორციელებაში. მხედველობა დაქვეითებულ სტუდენტებს გადაეცათ სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც მათ მასალის წაკითხვაში ეხმარება. კერძოდ, მათ სასწავლო სახელმძღვანელოები მიეწოდებათ ელექტრონულ ფორმაში სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით. ასევე, შეიქმნა ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გაძლიერების მექანიზმი. მასწავლებლის სახლმა შექმნა სპეციალური საგანმანათლებლო კურსები სპეციალისტთა და დაინტერესებულ პირთა მოსამზადებლად და/ან გასაძლიერებლად. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტშიც იქნა აყვანილი სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, რომელიც ეხმარება სტუდენტს სასწავლო პროცესის დაძლევაში, ასევე პედაგოგებს სპეციალური სასწავლო გეგმის შედგენაში და განხორციელებაში [26]. ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესის შინაარსობრივი მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისცლიპინური გუნდის 5 წევრის მიერ, რომელიც კონკრეტულად ემსახურება ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესის შეუფერხებელ წარმართვას.

პირველად განათლების სისტემაში მომზადდა 5 პროფესიული სასწავ-

ლებლის ადაპტაციის საპროექტო წინადადება, რომელიც ეფუძნება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს. ნორვეგიელი სპეციალისტების მიერ მოხდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს თანამშრომლების გადამზადება აღნიშნული მიმართულებით.

2014 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით მიმდინარეობს აქტიური შეხვედრები არასამთავრობო სექტორთან და კოლეგა სამინისტროებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრისათვის. ძირითად პრიორიტეტებად განსაზღვრულია განათლების ხარისხის გაუმჯობესება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება. 2014-2015 წლებში 20 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კურსდამთავრებული დასაქმნდა, ხოლო 2016 წელს კი -15 პირი. დასაქმების ბაზარზე შშმ პირთა დასაქმების თვალსაზრისით დიდი პრობლემებია. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ უმუშევრობის ძალიან მაღალი დონის გამო, საქართველოს რიგითი შრომისუნარიანი მოქალაქე სამუშაო ბაზარზე რიგიდულ და მტრულ დამოკიდებულებასაც კი ხვდება.

4.3. პროფესიული განათლება საქართველოს რეგიონებში

ბოლო წლებში ნათლად შეიმჩნევა ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განსაკუთრებით - რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. რაც შეეხება სოფლებს, მათ უმრავლესობის პრობლემა ტრანსპორტის ნაკლებობა და ცუდი გზებია, განსაკუთრებით - მაღალმთიან რეგიონებში. ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება სასმელი წყლის ხელმისაწვდომობაც რეგიონების მიხედვით.

ამჟამად საქართველოში მოხმარებული ელექტროენერგიის 80%-ზე მეტი ადგილობრივი ჰიდროელექტროწყაროებიდან მიიღება. თუმცა, ელექტროენერგიის მიწოდება და მოხმარება სეზონურად განსხვავდება. ზაფხულის განმავლობაში ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია საქართველოში არსებულ მოთხოვნას მნიშვნელოვნად აღემატება, მაგრამ ზამთარში, საწვავის გარკვეული რაოდენობის იმპორტი ხდება

საჭირო.

საქართველოს შრომის ბაზარზე მთავარი რეგიონული განსხვავება ქალაქ თბილისსა და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის არსებობს, თუმცა სხვადასხვა რეგიონებს შორისაც არის გარკვეული სხვაობები (მაგ., აჭარაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოხატული დეფიციტია, უმუშევრობის დონე ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ქვემო ქართლში). ოფიციალური უმუშევრობა გაცილებით უფრო დაბალია სოფლის, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებებში. ეს სხვაობა დაახლოებით 20%- ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად დასაქმებულთა დიდი წილი თვითდასაქმებულ ფერმერებზე მოდის. თუ რეგიონის ურბანიზაციის დონეს მის უმუშევრობის დონეს შევადარებთ, ერთადერთი მთავარი გამონაკლისის, იმერეთის გარდა, როგორც წესი, ურბანიზაციის დონე რეგიონის უმუშევრობის კარგი განმსაზღვრელია. რაც შეეხება იმერეთს, მიუხედავად იმისა, რომ აქ ურბანიზაციის დონე ქალაქ თბილისის შემდეგ ყველაზე მაღალია, უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია. მისგან განსხვავებით აჭარას, სადაც ურბანიზაციის დონე თითქმის ისეთივე მაღალია, როგორც იმერეთში, უმუშევრობის გაცილებით უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს. ამის შესაძლო ახსნა ამ ორი რეგიონის განსხვავებულ ეკონომიკურ სტრუქტურაში მდგომარეობს.

აჭარის ეკონომიკის დიდ წილს ტურიზმი და მშენებლობა ქმნის, ხოლო იმერეთში საწარმოო მრეწველობაა დომინანტური. ტურიზმსა და მშენებლობაში დასაქმება ხშირად მოკლე ვადით ხდება, თუმცა ასეთი სამუშაო უფრო ადვილად მოსაპოვებელია.

დროთა განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დასაქმების დონეებს შორის დიდი მსგავსებაც აღინიშნა. დასაქმების დონე 2008 წლის აგვისტოს ომის და გლობალური ფინანსური კრიზისის დასაწყისში დაეცა და მას შემდეგ, მხოლოდ, უმნიშვნელოდ გაიზარდა. ამ მდგომარეობიდან ერთადერთ გამონაკლისს აჭარა წარმოადგენს, სადაც მთელი კრიზისის განმავლობაში დასაქმების სტაბილური ზრდა დაფიქსირდა. ეს შეიძლება რეგიონში ტურიზმისა და მშენებლობის სექტორის განვითარებით აიხსნას.

ასევე დისბალანსი არსებობს ქალაქს და რეგიონს შორის. მაღალმთიან რეგიონების პირობები განსხვავდება საქართველოს სხვა ნაწილებში არსებული პირობებისაგან.

ახალი კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ ითვალისწინებს ეკონომიკურ სტიმულირებას ბიზნესისათვის, სოციალურ შეღავათებს მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისათვის და ამ რეგიონების განვითარებას. ეს კანონი შემუშავდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის (SCO), ავსტრიის განვითარები სსააგენტოსა (ADC) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით [21].

ეს ნაბიჯი საჭიროა სწავლების დონის ასამაღლებლად საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, სადაც სწავლის ხარისხი ჯერ კიდევ ჩამორჩება. ხშირია შემთხვევა, როცა მასწავლებელი ასწავლის საგანს არა სპეციალობით, ამჟამად მაღალმთიან რეგიონებში, რაჭასა და სვანეთში, ორი პროფესიული კოლეჯი არსებობს, კერძოდ: ამბროლაურში - „ერქვანი“ და მესტიაში -„თეთნულდი“.

დაწყებულია პროფესიული კოლეჯების მშენებლობა თიანეთში, ყაზბეგსა და მაღალმთიან აჭარაში. სწავლა წარიმართება ისეთ სპეციალობებზე, რაც კონკრეტულად იმ რეგიონს ესაჭიროება და რომლის დეფიციტიც არსებობს. მათი დასაქმება მოხდება იმავე რეგიონში და აღარ მოუწევთ სამსახურის გამო სხვაგან წასვლა. ვარაუდობენ, რომ ამ კოლეჯის კურსდამთავრებულების დასაქმება ხელს შეუწყობს დაცლილი სოფლების აღორძინებას.

საქართველოს მაღალმთიან რაიონებში პროფესიული განათლების კუთხით არსებული ვითარების უკეთესად შესასწავლად ჩემ მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა. კერძოდ, შემუშავებულ იქნა კითხვარი, რომელიც დაურიგდათ ორი პროფესიული კოლეჯის ამბროლაურის „ერქვანისა“ და მესტიის „თეთნულდის“ წარმომადგენლებს. გამოკითხვამ უჩვენა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში კოლეჯის ადგილმდებარეობა მისაღებია ადგი-

ლობრივი სტუდენტებისათვის, თუმცა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობის გამო ტრანსპორტირების საკითხი პრობლემურია ჩამოსულებისთვის. გამოკითხვის შედეგად პროფესიულ კოლეჯ "ერქვანში გამოვლინდა სხვა პრობლემებიც: საერთო საცხოვრებლისა და სასწავლო სახელოსნოების არარსებობა და ადამიანური რესურსების ნაკლებობა.

ადგილობრივ მოსახლეობაში განსხვავებული პროფესიის მქონე ადამიანების ნაკლებობაა, შესაბამისად ეს აფერხებს მრავალი პროგრამის განხორციელების პროცესს. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიებია: ბუღალტერია, ვეტერინარია და ტურიზმი. ამჟამად კოლეჯში სწავლობს 62 სტუდენტი, ეს რიცხვი გაზრდილია 2013 – 2014 წლებთან შედარებით. კოლეჯი ყოველწლიურად თავად აწარმოებს სტატისკური მონაცემების მოძიებას კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ და ეს რიცხვიც საკმაოდ მზარდია წინა წლებთან შედარებით. 2013 წელს სტუდენტთა რიცხვი შეადგენდა 50 სტუდენტს, 2014 წელს კი 53 სტუდენტს, 2015 წელს 90 სტუდენტს. მატება აღინიშნება 2015-2016 წლებში.

პროფესიული კოლეჯ „ერქვანის" წარმომადგენლის თქმით, კოლეჯის ადმინისტრაცია ახორციელებს სხვადასხვა სახის პიარ კამპანიებს ადგილობრივი სტუდენტების მოზიდვის მიზნით, აქტიურად იყენებს კოლეჯის ვებგვერდს, ფეისბუქს, ატარებს ღია კარის დღეებს და სასკოლო ექსკურსიებს კოლეჯის ტერიტორიაზე. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე მწვავე პრობლებად რჩება სასწავლო სახელოსნოების და საერთო საცხოვრებლის არ არსებობა, რაც ასევე საკმაოდ აფერხებს სწავლების პროცესს და ხარისხს.

განსახვავებული სურათი გვიჩვენა მესტიაში პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდში" ჩატარებულმა გამოკითხვამ. კოლეჯის წარმომადგენელთან საუბრისას გამოვლინდა, რომ ამ ეტაპზე ძირითად პრობლემას წარმოადგენს რეაბილიტაციის პროცესის შეფერხება და საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ მესამე საფეხურის არსებობა. კოლეჯს აქვს სურვილი და ამბიცია მოიპოვოს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება და ჩაერთოს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდში“ ყველაზე მოთხოვნადი პროფესიებია: სასოფლო სამეურნეო, ხალხური რეწვის, IT ტექნოლოგიების, სასტუმრო საქმიანობის, სარესტორნო საქმიანობის, მზარეულის, გიდის და ბუღალტრის. მესტიაში ამ პროფესიების მოთხოვნის ზრდა გამოწვეულია ქვეყანაში ტურიზმის განვითარებით. რაც შეეხება კოლეჯის ადგილმდებარეობას, ის მდებარეობს მესტიის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილზე და ხელსაყრელია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე, მასწავლებლებისათვის და კოლეჯის თანამშრომლებისათვის.

კოლეჯი აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ბაზებით, თუმცა საჭიროებს დამატებით ინფრასტრუქტურულ შევსებას. კოლეჯის წარმომადგენლის თქმით, ამ ეტაპზე სწავლობს 128 სტუდენტი. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ეს რიცხვი ისევე, როგორც კურსდამთავრებულთა დასაქმების რიცხვიც, გაზრდილია წინა წლებთან შედარებით. 2013 წელს სწავლობდა 67 სტუდენტი, 2014 წელს - 134, 2015 წელს - 121 სტუდენტი. ამ კოლეჯში გასულ წელთან შედარებით აღინიშნება სტუდენტთა რაოდენობის მომატება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენთა ინტერესი საკმაოდ გაზრდილია წინა წლებთან შედარებით. კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის პიარ კამპანიებში სტუდენტების მოზიდვის მიზნით, იმართება შეხვედრებს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, საზოგადოების ფართო წრესთან პროფესიული კოლეჯის საქმიანობის გაცნობის მიზნით. კოლეჯი ასევე იყენებს მასმედიის საშუალებებს კოლეჯის პოპულარიზაციის კუთხით, ხშირად იწვევს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს პროფ/ორიენტაციის მიზნით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემებით ამბროლაურის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 10,900, მესტიაში კი - 9,400. ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ამბროლაურის პროფესიულ კოლეჯ “ერქვანში” ამჟამად 62 სტუდენტი სწავლობს, რაც 51%-ით ნაკლებია ვინდე მესტიის კოლეჯ „თეთნულდში“. თუმცა, მოსახლეობის რიცხვი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში უფრო მაღალია.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული ვითარების შესასწავლად აღებული იყო რამოდენიმე წყარო როგორიცაა: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მუნიციპალიტეტის საკონსულტაციო საინფორმაციო ცენტრი, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და მუნიციპალიტეტში მოძიებული ინფორმაცია. მუნიციპალიტეტის ინფორმაციით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ბოლო წლების განმავლობაში იკვეთება მოსახლების კლება, მოსახლეობის რიცხვიანობის კლების ტენდენცია ძირითადად განპირობებულია მიგრაციული პროცესებით. მიგრაცია ძირითადად ახალგაზრდების ხარჯზე მიმდინარობს და ერთ-ერთი უარყოფითი მაჩვენებელია მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურისათვის, მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ძირითად ნაწილს 35-65 წლამდე ასაკის ადამიანები შეადგენენ, შესაბამისად ეს ასახულია სტუდენტების რაოდენობაზე. ახალგაზრდების მიგრაციის პროცესები ძირითადად გამოწვეული სამუშაო ადგილების უკმარისობით, დაბალი შემოსავლით, სოციალური და კულტურული ინფრასტრუქტული სიმწირით, მუნიციპალიტეტს გარეთ უფრო მეტი შემოსავლების მიღების შესაძლებლობით.

მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 49%-ს, აქედან 55% დასაქმებულია სახელმწიფო სექტორში, ხოლო დანარჩენი 45% კი - კერძო სექტორში. სახელმწიფო სექტორში ჭარბობს ადმინისტრაციული სამსახურები, ხოლო კერძო სექტორში ვაჭრობა არის პირველ ადგილზე. მესტიის მუნიციპალიტეტისგან განსხვავებით ამბროლაურში არ არის სათანადოდ განვითარებული ტურიზმი, სავარაუდოდ ამაზე მეტყველებს სტუდენტების რიცხვობრიობის განსხვავება ამ ორ მუნიციპალიტეტში. ბოლო წლების მანძილზე მესტიაში გაიხსნა უამრავი კერძო ტიპის სასტუმრო, კვების ობიექტი, კაფე, რესტორანი, ადგილობრივი ხელნაკეთი სუვენირების მაღაზია, მარკეტები და ა.შ. წლის ყველა სეზონზე მესტია მასპინძლობს უამრავ ქართველ და უცხოელ ტურისტს. მიუხედავად იმისა, რომ მესტიაში მოსახლეობის რაოდენობა უფრო მცირეა ამბროლაურის მუნიციპალიტეტთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა გაცილებით დიდია ისევე,

როგორც პროფესიულ სასწავლებელში არსებული სტუდენტებისა. ეს განპირობებულია მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში ტურიზმის განვითარებით. შესაბამისად, მოთხოვნადი პროფესიები ტურიზმთან არის დაკავშირებული, რადგან ამ პროფესიების მქონე ადამიანების დასაქმების პერსპექტივა დიდია. ამგვარად, მესტიაში მოსახლეობის სიმცირე არ აფერხებს სტუდენტების ინტერესს სწავლის მიმართ, რაც კარგად გამოჩნდა კვლევაში სტუდენტთა რიცხვის მიხედვით.

მაღალმთიან და დაბალმთიან რეგიონებს შორის განსხვავების დასანახად კვლევა ჩატარდა კახეთის რეგიონში არსებულ პროფესიულ კოლეჯ "აის"-ში. შესაბამისი კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა კოლეჯის წარმომადგენელი და შედეგად გამოვლინდა რამოდენიმე პრობლემა, მაგალითად, კოლეჯს აქვს გარკვეული სირთულეები პროფესიონალი კადრების მოზიდვის კუთხით, უჭირს სტუდენტების და სამიზნე აუდიტორიის მობილიზება, არ გააჩნია საკმარისი გამოცდილება დამსაქმებელთან შედეგებზე ორიენტირებული ურთიერთობის საკითხებში. კოლეჯში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიებია - მზარეული, ფილამწყობი, ელექტრიკოსი, ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი და სტილისტი. ამჟამად კოლეჯში სწავლობს 800-მდე სტუდენტი, 2015 წელთან შედარებით ეს რიცხვი თითქმის გაორმაგებულია. კაჭრეთის გარდა კოლეჯს აქვს ფილიალები დედოფლისწყაროში, ალვანში და ლაგოდეხში. ალვანის ფილიალს გააჩნია უფასო საერთო საცხოვრებელი 350 სტუდენტისათვის, რაც განაპირობებს კოლეჯის ადგილმდებარეობი- სადმი სტუდენტთა დადებით დამოკიდებულებას და ხელს უწყობს ტრანსპორტირების პრობლემების გადაჭრას. კოლეჯის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა იდეალურია როგორც სტუდენტებისათვის ასევე მომუშავე პერსონალისათვის. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ლაგოდეხის ფილიალში ამჟამად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროფესიული კოლეჯის „აის"-ის წარმომადგენლის თქმით, კოლეჯის ადმინისტრაცია ახორციელებს სხვადასხვა სახის პიარ კამპანიებს ადგილობრივი სტუდენტების მოზიდვის მიზნით, აქტიურად სტუმრობს სხვადასხვა სკოლებს, კაჭრეთის ფილიალში

ხშირად ტარდება სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენები, ასევე კაჭრეთის ფილიალი ხშირად მასპინძლობს სხვადასხვა დონორ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ძირითადან განათლების და მეცნიერების სამინისტრო ადგილზე ატარებს პიარ კამპანიებს.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ რეგიონში პროფესიონალების ნაკლებობაა და არსებულ პერსონალს სჭირდება უნარების ამაღლება. ასევე დაბალია ახალ ცოდნასა და უნარებზე ხელმისაწვდომობა, ადმინისტრაცია კონცენტრირებულია მხოლოდ ადგილობრივ მუშახელზე, რაც გარკვეულწილად ჩაკეტილ წრეს ქმნის და წარმომადგენლის თქმით ეს არასახარბიელოა ახალი ცოდნის შეტანისა და გავრცელებისათვის.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არამარტო მაღალმთიან რეგიონებში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც პროფესიული კადრების ნაკლებობაა, რაც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას, როგორც განათლების, ასევე პროფესიული კუთხით. რეგიონების ინფრასტრუქტურას რომ გადავხედოთ, უკეთესი სურათია დაბალმთიან რეგიონში - კახეთში. ეს შესაბამისად აისახება სტუდენტთა რიცხვის ზრდაზე, სწავლის დონეზე, სტუდენტთა მოტივაციაზე.

რეგიონების განსავითარებლად საჭიროა შემდეგის გათვალისწინება:

- ქსელური ურთიერთქმედების საგანმანათლებლო ორგანიზაციებს ეფექტური მოდელის შექმნა, რომლებიც ახორციელებენ ზოგად საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების პროგრამებს;
- ქსელური პროფესიული საგანმანათლებლო ორგანიზაციების საკადრო პოტენციალის გაზრდა;
- რეგიონულ ეკონომიკასთან განათლების ინტეგრაციის გაზრდა;
- პროფესიული განათლების მომსახურებისას განსახორციელებელი ნომენკლატურის ოპტიმიზაცია.
- ქსელური პროფესიული საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფარგლებში ელექტრონული სწავლების ეფექტური მოდელის შექმნა.
- პროფესიული განათლების პროფესიების და სპეციალობების პრესტიჟის ასამაღლებლად, ახალგაზრდებისათვის სამეცნიერო -

ტექნიკური შემოქმედების მიმართულებით ქსელური ურთიერთ-ქმედების პირობების შექმნა;

- საგანმანათლებლო ორგანიზაციების ინტეგრირების, თანამშრომ-ლობის და კომპლექსირების ქსელური მოდელები;
- პროფესიული განათლების სისტემის საგანმანათლებლო რესურსე-ბის უფრო ეფექტური გამოყენება;
- პროფესიული განათლების კადრების ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირება;
- ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდა განათლების სისტემაში;
- პროფესიული განათლების ერთიანი ელექტრონული სასწავლო გარემოს შექმნა;
- პროფესიული განათლების ეფექტური ინტეგრირება რეგიონულ ეკონომიკასთან;
- რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საგანმანათ-ლებლო მომსახურების შესაბამისობის ნომენკლარურის შეფასების მექანიზმები;
- ბავშვებისათვის და ახალგარდებისათვის სამეცნიერო - ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება;

მოქნილობა, ადაპტაცია. ყოველი რეგიონი ქმნის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელურ სტრუქტურას რაც თანხვედრაშია რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ასევე ქმნის ქსელური პროგრამების რეალიზაციის პირობებს.

პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაციის რეგიონული პროექტების განვითარება უნდა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

- პროგნოზირების ინსტრუმენტის შეყვანა დამსაქმებელთან ერთობ-ლივად ადამიანური რესურსების საჭიროებების გათვალისწინებით, მათი განაწილება გადამზადება და უკვე მომუშავე პერსონალის გა-დამზადება;
- დაწესებულებების, საწარმოების, საჯარო ადმინისტრაციის სტრუქ-ტურების ფუნქციონირება და განვითარება სასწავლო პროგრამების

კორექტირებისათვის ეკონომიკური პროგნოზის საფუძველზე და წარმოების სექტორიდან სწავლების მიზნით ადამიანების მოზიდვა;

- რეგიონებში პროფესიული განათლების სისტემის ახალი სტრუქ-ტურის და პროგრამული ქსელის განვითარება, რეგიონში არსებული ყველა რესურსის გამოყენებით;
- პროფესიული განათლების კვლევების, სხვადასხვა სახის ინტეგრა-ციის განათლების, მეცნიერების და წარმოების სექტორის გამოყე-ნებით მეწარმეობის განვითარება.

პროფესიული განათლება მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორისთვის, რადგან აქ არსებულ საწარმოებს პროფესიონალი კადრები სჭირდება. სწორედ ამიტომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის პროფესიული კოლეჯების გაძლიერება ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ განათლების საშუალებით ახალგაზრდა კვალიფიციურ კადრებს საშუალება ეძლევათ, დაეუფლონ ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს და, რაც მთავარია, არა მხოლოდ თბილისში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონული ცენტრების გაძლიერებას, როგორც სასწავლო ბაზის, ისე ტექნიკური აღჭურვილობების თვალსაზრისით.

რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, კადრები ადგილზე ითვი-სებენ პროფესიას და ადგილზევე საქმდებიან. სხვადასხვა პროფილის საწარმოებსა და კერძო კომპანიებში საქართველოს მასშტაბით მოქმედი პროფესიული კოლეჯების ასობით სტუდენტია დასაქმებული და პროფესი-ული განათლების მქონე ახალგაზრდებით დაინტერესება კიდევ უფრო იზრდება (იხ. დანართი 8, 9 და 10).

თავი 5. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის გზები და საშუალებები

ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის რეალიზაციაა. პოლიტიკისა, რომლის არსია მოქალაქეთა უზრუნველყოფა მაღალხარისხიანი, კონკურეტუნარიანი განათლებით, რის გარეშეც შეუძლებელია ეფექტიანი ეკონომიკისა და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა.

პროფესიული განათლება, რომელიც შეესაბამება თანამედროვე საზოგადოებას, ასრულებს რიგ მნიშვნელოვან ფუნქციას: ხელს უწყობს პიროვნების სოციალურ და პროფესიულ განვითარებას, წარმოადგენს სოციალური დაცვის და სოციალური აღზრდის ინსტიტუტს. ამავე დროს, ცუდი ხარისხის პროფესიულმა განათლებამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ნეგატიური სოციალური მოვლენების გავრცელება, როგორებიცაა პროფესიული არაადეკვატური სოციალიზაცია და ა.შ. ამიტომ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყანაში პროფესიული განათლების ფენომენის შესწავლა, ქვეყნის ისტორიაში მისი სოციალური როლის განსაზღვრა.

პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციისათვის საჭიროა შესაბამისი სტრუქტურის განახლება და დღევანდელ რეალობაზე მორგება. სახელმწიფომ მუდმივ რეჟიმში უნდა ატარებდეს როგორც სამეცნიერო, ასევე შრომის ბაზრის კვლევებს სისტემური ხარვეზების და პრობლემების აღმოსაფხვრელად. სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოება მთავრობასთან ერთად თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ პროფესიული განათლების სისტემის მართვაში, პოლიტიკის შემუშავებაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მარეგულირებელი, მასტიმულირებელი, ფინანსურ-ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმების განსაზღვრა და განხორციელება. სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიანი ეროვნული, მოქნილი ქსელი უნდა აერთიანებდეს ეფექტური დაფინანსებისა და მართვის მქონე, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ქსელი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი

პირისათვის მისი ასაკის, სქესის, ეთნიკური თუ სოციალური ჯგუფისადმი მიკუთნებულობის, საცხოვრებელი ადგილის, ფსიქიკური თუ ფიზიკური შესაძლებლობისდა მიუხედავად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეესაბამოდეს საქართველოს მზარდ და ცვალებად შრომის ბაზარს, არსებულ და სამომავლო მოთხოვნებს. პროფესიული მასწავლებლების გადამზადება უნდა ხდებოდეს თანამედროვე მიდგომებისა და სფეროს უახლესი მიღწევების შესაბამისად. მათ პროფესიონალიზმის ამაღლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების უმაღლეს დონეზე მომზადებას და თვითრეალიზებას. უკეთესად უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულებს მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებაში ან საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები მომზადებულები უნდა იქნენ მათთვის საინტერესო, ღირებულ პროფესიებში მაღალანაზღაურებადი დასაქმების, კარიერის შემდგომი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირება საჭიროებს ღრმა კვლევას, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ობიექტურ ანალიზს, ევროკავშირის ქვეყნების ჩართულობას პროფესიული განათლების კუთხით.

საჭიროა განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაფინანსების გაზრდა და დაფინანსების მოდელების ოპტიმიზაცია. განათლებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარება და შედეგების ხარისხობრივი გაუმჯობესება მნიშვნელოვნად განპირობებული იქნება განათლების ყველა საფეხურზე დაფინანსების ეტაპობრივი ზრდით და ადეკვატური ინვესტირებით. ერთ მოსწავლეზე/სტუდენტზე გათვლილი დაფინანსების პარალელურად, უნდა დაინერგოს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შედეგზე დაფუძნებული ინსტიტუციური დაფინანსების მექანიზმები. ეს ხელს შეუწყობს დაწესებულებების გაძლიერებას და მათ მიერ ხარისხის უზრუნ-

ველყოფის უფრო ეფექტური პოლიტიკის გატარებას. ასევე ღონისძიებები უნდა გატარდეს განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოსაზიდად. უნდა შეიქმნას პროფესიული განათლების ყოვლისმომცველი და ერთიანი სისტემა დასაქმების სამსახურების, სხვა სოციალური მომსახურების და ფედერალური სააგენტოების ერთობლივი თანამშრომლობით, რაც დღეს საქართველოში არ არსებობს.

ქვეყნის ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საჭიროებს მაღალი დონის პროფესიული კადრების მომზადებას, რისი მიღწევაც შესაძლებელია პროფესიული სასწავლებლების გადასვლით ინოვაციური განვითარების გზაზე, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეფექტური და მდგრადი ფუნქციონირების საშუალებას მისცემს.

პირველ რიგში უნდა გავაცნობიეროთ, რომ პროფესიული განათლება მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური სფერო, რომლის გარეშეც შეუძლებელია ქვეყნის გაძლიერება და განვითარება. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა რამდენად აუცილებელია მისი განვითარების ხელშეწყობა.

მეორე რიგში საჭიროა მისი რეგულირება და ხელმისაწვდომობის ახლებურ შედეგებთან და საგანმანათლებლო პროგრამებთან, ადაპტირება ახალ ტექნოლოგიებთან, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები.

მესამე რიგში საჭიროა პიროვნული პროფესიული განვითარება, რაც გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების, სფეროების, პროფესიების მუდმივ განვითარებას და ფორმირებას.

პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაში, ასევე, აუცილებელია სხვა სახის პროფესიული საქმიანობისათვის ზრდასრული მოსახლეობის ფართო ფენების გადამზადების ფუნქციის ჩართვა. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს დასაქმებისა და სოციალური ინტეგრაციის პრობლემის გადაწყვეტას.

დასკვნა

ნათელია, რომ უკანასკნელ პერიოდში გატარებული რეფორმებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროფესიული განათლების სფეროში. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს გადასაწყვეტი პრობლემები და მნიშვნელოვანი ამოცანები. ჩემი აზრით, მათგან ერთ-ერთი ბარიერი, რომელიც არსებობს პროფესიულ განათლებაში. ეს არის სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან არგანთავისუფლება. პროფესიული სასწავლებ-ლის სტუდენტი გაწვევის შემთხვევაში თავს ანებებს სწავლას და ჯარის დასრულების შემდეგ არ ბრუნდება სასწავლებელში, აქედან გამომდინარე გამოდის, რომ სახელმწიფო სრულიად უშედეგოდ ხარჯავს სახელმწიფო ბიუჯეტს. ვფიქრობ, ეს საკითხი დარეგულირებას მოითხოვს.

პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციონირების პროცესის და მიღწეული შედეგების ანალიზმა, რაც წარმოადგენდა სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანს, საშუალება მოგვცა, გაგვეკეთებინა დასკვნები საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მდგომარეობის შესახებ და გამოგვეკვეთა პრობლემები.

- ✓ სისტემის მართვის მეთოდები საჭიროებს დახვეწას, რადგან ვერ უზრუნველყოს პროფესიული განათლების განვითარებაში დასახულ-ლი მიზნების განხორციელებას, არ არის შესაბამისი რესურსები, რათა ეფექტიანად მოხდეს სისტემის მართვა და მონიტორინგი, ინფორმაციის მობილიზება და გაცვლა, ასევე, მიზნების მიღწევის ღონისძიებების რეგულარული შეფასება;
- ✓ სახელმწიფოებრივ/საზოგადოებრივი მართვის ფორმა, რაც მნიშვნე-ლოვნად ხელს უწყობს პროფესიული განათლების განვითარებას, დაინერგა, მაგრამ ჯერ ძალიან სუსტია და საჭიროებს მეტ მობილი-ზაციას;
- ✓ შრომის ბაზრის კვლევა არ არის სისტემური და ყოვლისმომცველი;
- ✓ სასწავლებლების მიერ შეთავაზებული პროფესიული საგანმანათ-ლებლო პროგრამების უმრავლესობა მორგებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, თუმცა, გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს. მაგრამ

ჯერ არ არსებობს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სპეციალისტის მოსამზადებელი პროგრამა მიუხედავად იმისა, რომ ამას მოითხოვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და შრომის ბაზარი;

- ✓ პროფესიული განათლების იმიჯი საქართველოში კვლავ დაბალია მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების შანსს იძლევა. ამის ერთ-ერთი მიზეზი მენტალიტეტია. მშობლები და ახალგაზრდები პროფესიულ განათლებას არაპრესტიჟულად მიიჩნევენ და უპირატესობას უმაღლეს განათლებას ანიჭებენ. გამონაკლისია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კრიმინალისტ“-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევა, სადაც სტუდენტების დიდი ნაწილისთვის პროფესიულ სასწავლებელში სწავლა საინტერესოა და პრესტიჟულია, ხედავს დასაქმების პერსპექტივას;
- ✓ პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად საქართველოს რეგიონებში (უფრო მეტად მაღალმთიან რეგიონებში) კიდევ არსებობს ბევრი პრობლემა: პედაგოგიური კადრების ნაკლებობა და არასათანადო კვალიფიკაცია, კოლეჯების არასაკმარისი მატერიალური უზრუნველყოფა და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. იქ სადაც აღნიშნული პრობლემები შედარებით ნაკლებია, მაგალითად კახეთში, დადებითად აისახება სტუდენტთა რიცხვის ზრდაზე, სწავლის დონეზე, სტუდენტთა მოტივაციაზე.

გამოტანილი დასკვნების საფუძველზე შემუშავებულ იქნა რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია:

- ➢ პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული მიზნისა და სისტემის მართვის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა; სისტემის ეფექტიანი მართვისთვის, მონიტორინგისთვის, ინფორმაციის მობილიზება/გაცვლისთვის და მიზნების მიღწევის ღონისძიებების რეგულარული შეფასებისთვის შესაბამისი რესურსების მოძიება;

- მართვის სისტემის დეცენტრალიზება;
- სახელმწიფოებრივ/საზოგადოებრივი მართვის ფორმის დანერგვა და განვითარება;
- შრომის ბაზრის ყოველწლიური კვლევის ჩატარება;
- საორგანიზაციო სტრუქტურების ხარჯზე პროფესიული განათ-ლების ინოვაციური ინიციატივების დაფინანსება, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო მართვის ოპტიმიზაცია;
- ეკონომიკის საჭიროებიდან გამომდინარე, მოთხოვნადი პროფესიების კორექტირება და შრომის ბაზარზე მათი მორგება;
- განათლების და დამსაქმებლის შორის ურთიერთთანამშრომ-ლობის სისტემის დანერგვა და გაძლიერება;
- პროფესიულ/საზოგადოებრივ კოლეჯების ინფრასტრუქტურის განვითარება, არსებული საერთო საცხოვრებლების ფუნქციონი-რების სრულყოფა, სასწავლო სახელოსნოებისა და დამხმარე შენობების აგება; მატერიალურ-ტექნიკურად აღჭურვა;
- ადამიანური რესურსების (პედაგოგების) მოზიდვა და წახალისება;
- არსებული ადამიანური რესურსების გადამზადება, მასწავლებ-ლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩატარება, გამოცდილებისა და პრობლემების გაზიარების მიზნით კოლეჯებში მომუშავე პერსონალისათვის გაცვლითი პროგრამების შემუშავება;
- შესაბამისი დარგების მიხედვით თანამედრო სასწავლო მასალების მოძიება;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით ადგილობრივ მოსახლეო-ბისთვის პიარ-კამპანიების ჩატარება მასმედიის საშუალებებით, საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება, ღია კარის დღეების მოწყობა, სასწავლო პროგრამებზე ინფორმაციის გავრცელება, გამოფენების მოწყობა;
- სტუდენტების მოზიდვის მიზნით სკოლებთან და არსებულ სას-

წავლო დაწესებულებებთან აქტიური თანამშრომლობა;

- რეგიონებში ყოვლისმომცველი კვლევის ჩატარება და საჭიროებებზე და მოთხოვნებზე დაყრდნობით ახალი პროგრამების შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“ საქართველოს მთავრობა, თბილისი 2013, 110 გვ.
2. „საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობა, თბილისი 2005, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/10372 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017
3. „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია“ (2013-2020 წლები) 38 გვ. http://gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017
4. „მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“ - სიტუაციური ანალიზი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი, 2015, 45 გვ.
5. Глонты К., Эджибадзе А., Микаия Л., Нацвлишвили Э., Имедашвили М., Микеладзе А. „Профессиональное образование и обучение в Грузии (2002) ETF“, Европейский Фонд Образования, Тбилиси 2002, 37 стр.
6. „პროფესიული განათლება საქართველოში მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები“ ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში მიმდინარე ნომერი №66/00, თბილისი, 2013, 57 გვ.
7. ასათიანი ა. „პროფესიულ-ტექნიკური განათლება საქართველოში“ საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, თბილისი 1990, 144 გვ.
8. „Профессиональное образование в Финляндии Профессиональные навыки, знания и умения для трудовой жизни и дальнейшего обучения“ Национальное управление образования, Helsinki 2010, 28 стр.
9. Олейникова О., Муравьева А., Аксенова Н., „Обеспечение Качества Профессионального Образования и Обучения в Европе“ Современное Состояние и Основные Тенденции Москва, 2011, 100 стр.
10. Силла Э. Целевой фонд Innove „Как развивается профессиональное образование в Европе“ Лучшее практики профессионального образования. 2016, www. esqa.eu. გვ. 6 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017
11. „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება“ №199/ნ ქ. თბილისი 2013, გვ. 8
12. „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტი თბილისი, 2017, 26 გვ.
13. „თავისუფლება სწრაფი განვითარება კეთილდღეობა“ სამთავრობო პროგრამა 2016-2020 თბილისი, 2016, 51 გვ.

14. ზაქარეიშვილი მ., ბაგრატიონი-გრუზინსკი მ., ტაბიძე ნ., ცხოვრებაშვილი ბ., სურმანიძე გ., „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიულ განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2014-2015, 41 გვ.

15. ჭანტურია რ., გორგოძე ს., ჩხაიძე თ. „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში“ალტერნატიული ანგარიში სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი თბილისი, 2016, 70 გვ.

16. „პროფესილი განათლების სტატისტიკა“ 2013-2015, თბილისი, გვ. 98 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2101&lang=geo უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

17. ჩარკვიანი თ. სტატია „სახელმწიფო დასაქმების პორტალი Worknet vs. უმუშევრობის პრობლემა” თბილისი, 2016, https://idfi.ge/ge/worknet-employment უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

18. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო „სიტუაციური ანალიზი და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების ანგარიში“ თბილისი, 2015 http://iswd.ge/uploads//Situational%20Analysis%20and%20Report% 20on%20the%20QA%20Requirements%20of%20the%20Georgian%20TVET%20System_GEO.pdf. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

19. Муратов В.С. „Возможности дуальной системы образования при подготовке товароведов-экспертов“ Успехи современного естествознания. Самара 2008, № 7 91 стр.

20. „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვის კონცეპცია“ UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა თბილისი, 2016, 36 გვ.

21. „საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ“ საქართველოს პარლამენტი ქუთაისი 2015, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

22. „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების წლიური კონსოლიდირებული ანგარიში“ საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო თბილისი, 2015, გვ. 9-72

23. „ევროკავშირის სტრატეგია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისთვის 2014 – 2017 წწ“. დამტკიცებულია ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოების მიერ თბილისი, 2014, 41 გვ.

24. Алехина С.В., СемагоН.Я., ФадинаА.К. Инклюзивное образование. Выпуск 1. –М .: Центр«Школьнаякнига» Москва 2010, 272 стр.

25. ზაქარეიშვილი მ., ბაგრატიონი-გრუზინსკი მ., ტაბიძე ნ., ცხოვრებაშვილი ბ., სურმანიძე გ., „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიულ განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2014-2015, 41 გვ.

26. რიჩარდ რ., გარნერი ფ., ტომასი ე., სომბი ჰ. „საქართველოში ინკლუზიური პროფესიული განათლების სისტემის განვითარების შეფასება“ 2013-2016 წწ. Hedmark University of Applied Sciences, 2016, 66 გვ.

27. არეშვილი ა. „ანტისოციალური პოლიტიკა საქართველოში განათლება და შრომის ბაზარი“ ნაწილი II თბილისი, 2016, 22 გვ.

28. „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“, თბილისი, 2007, 17 გვ. https://emis.ge/acts/profesiuli%20ganatlebis%20shesaxeb.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

29. გოგლიძე ა., „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის მდგომარეობისა და მართვის ანალიზი“ თბილისი, 2010, 21 გვ.

30. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ თბილისი 2010, https://matsne.gov.ge/ka/document/view/93088 უკანასკნელი გადამოწმებულია 26.04.2017

31. Колыванова Л., Носова Т., Караханян Л. „Инклюзивное профессиональное образование в области безопасности жизнедеятельности студентов с нарушением зрения” // Молодой ученый 2015, №6.4., стр. 27-30

32. Грозная Н., „Инклюзивное образование за рубежом от мечты к реальности“ журнал «International Journal of Inclusive Education» 2011, № 1, vol.15. / http:// http://www.docme.ru/doc/35169/inklyuzivnoe-obrazovanie-za-rubezhom. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

33. Алехина С., Семаго Н., Фадина А., „Инклюзивное образование“. Выпуск 1. М .: Центр «Школьная книга» 2010, 300 стр.

34. „პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფცია“ პროექტი, UNDP თბილისი, 2013, 15 გვ.

35. „საქართველოს მთავრობა ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2007-2010“. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3_cc5fe4d163605.4.fc__ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

36. მუსხელიშვილი მ. „განათლების რეფორმა“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა თბილისი, 2007, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a= d&

c=civil2&cl=CL2.7&d=HASHc562e01b 3cc5fe4d163605.4.6, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

37. Троценко, С.А. „Правовое регулирование инвестиционной деятельности в сфере высшего профессионального образования“ Москва, 2011, 191 стр.

38. აბუაშვილი თ. „საქართველოს განათლების სისტემა და ევროკავშირის როლი“ სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, თბილისი 2014, 19 გვ.

39. რუხაძე ნ. „ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი“ თბილისი 2016, 144 გვ.

40. „Кириленко Ю. „Основные Тренды Развития Системы Профессионального Образования Германии“ Томск 2012, გვ. 21-27.

41. გელიტაშვილი ნ. „ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში“ თბილისი 2011, გვ. 25-136.

42. მაისურაძე მ. „განათლება და კულტურა კახეთში ცარიზმის პერიოდში (1801-1917 წლებში)“ თელავი 2014, გვ. 64-130

43. Ванян А. „Обзор инклюзивного образования за рубежом“, Информационный бюллетень "Перспектива", №33, 2006, http://turrion.net/default.asp?src=library&id=001 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

44. ლექვინაძე ი. „შრომის ბაზრი საქართველოში“ კვლევა, თბილისი, 2015, http://forbes.ge/blog/79/Sromis-bazari-saqarTveloSi, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

45. ნარმანია დ., „განათლების სისტემა საქართველოში“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სტატია, თბილისი, 2010 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.2&d=HASH01102d428fe5f220a31b5580&gt=2, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

46. ჭინჭარაული თ. ჯავახიშვილი ნ. „ინკლუზიური განათლების მაჩვენებლები საქართველოში“- INCLUSIVE EDUCATION INDICATORS IN GEORGIA - კვლევის ანგარიში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013, გვ. 1-20

47. Государственный комитет совета министерствов грузинской ССР по профессионально-техническому образованию, „справочник для поступающих в профессионально-технические и технические училища грузинской сср“ тбилиси 1976, 137 стр.

48. ჭყონია ნ, „მრავალმხრივი განათლების შინაარსის თანამედროვე პრობლემები“ ბათუმი 2013, 150 გვ.

49. „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,

ბრძანება №8/ნ თბილისი, 2011, გვ.3

50. „TORINO PROCESS 2016-2017“ European Training Foundation Communication Department, Turin, 2016. www. etf.europa.eu უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

51. შამუგია ა. „ეკონომიკის სტიმულირების მექანიზმი საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში“ თბილისი, 2014, 197 გვ.

52. ქიტიაშვილი ზ. „ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში/1991-2013 წლები/“ თბილისი, 2016, გვ. 57-128

53. „დამსაქმებლის დამოკიდებულებების შესწავლა შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა დასაქმების მიმართ“ თვისებრივი კვლევის ანგარიში, თბილისი, 2013, 32 გვ.

54. ზაქარეიშვილი მ., ბარაბაძე ლ., მიდელაური ვ. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება“ გზამკვლევი, თბილისი, 2015, გვ. 83-85.

55. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №199/ნ 2013, თბილისი, 8 გვ.

56. Аносова Н., „Сравнительный анализ современного состояния реализации институционального механизма профессионально-общественной оценки коротких программ непрерывного образования в России и за рубежом“ г. Йошкар-Ола, „Российская Федерация Казанский педагогический журнал“ № 5 2014, 94-99 стр.

57. http://federalbook.ru/files/FSO/soderganie/Tom%206/V/anisimov.pdf უკანასკ-ნელად იქნა გადამოწმებული 26.04. 2017

58. http://vml.antat.ru/files/4e%20Chteniya/Optimizaciya%20obrazovatelnyh%20sistem%20na%20osnove%20celostnogo%20podhoda.pdf. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04. 2017

59. http://www.vestnik.mgimo.ru/sites/default/files/pdf/strigunenko.pdf უკანასკნე-ლად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

60. https://www.monographies.ru/ru/book/section?id=4299 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

61. http://www.aup.ru/books/m1524/2_1.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმე-ბული 26.04.2017

62. http://pnu.edu.ru/media/disser/referat_listopadova.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

63. http://www.relga.ru/Environ/WebObjects/tgu-www.woa/wa/Main?textid=1126_&level1=main&level2=articles უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

64. http://www.dissercat.com/content/optimizatsiya-struktury-professionalnogo-obra

zovaniya-v-transformiruyushchemsya-obshchestve- უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017

65. http://www.dissercat.com/content/sovershenstvovanie-sistemy-upravleniya-vysshim-professionalnym-obrazovaniem-regiona-sotsiolo#ixzz4e230S6xP უკანასკ-ნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017
66. http://www.dissercat.com/content/sovershenstvovanie-sistemy-upravleniya-vysshim-professionalnym-obrazovaniem-regiona-sotsiolo#ixzz4e22UcS1P უკანასკ-ნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017
67. http://ecsocman.hse.ru/data/375/682/1219/Chapt_3.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017
68. http://www.aupam.narod.ru/pages/deti/inklyuzivnoe_obrazovanie_deteyj_invalidov/oglavlenie.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 26.04.2017